

ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2024, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2024, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2024, №5

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2024, №5

გადაწყვეტილებების შერჩევა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

ავტომობილის უკანონოდ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება	4
უკანონო ბრალდების შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება	33
მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ სასარჩელო ხანდაზმულობა	45

2. მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო დაკავების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება	62
უკანონო ადმინისტრაციული დაკავების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება	113

3. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო ადმინისტრაციული დაკავების გამო მიუღებელი შემოსავლის და მორალური ზიანის ანაზღაურება	144
რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება	174

1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

ავტომობილის უპანონოდ სახელმწიფო საკუთრებაში მიტყევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

გადანყვებითება საქართველოს სახელით

№ბს-532(კ-22)

8 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 21 მარტს ა. მ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 26 ივნისს მან რ. ს-ასგან შეიძინა „...“ მოდელის ავტომანქანა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში კანონიერად დაარეგისტრირა მასზე საკუთრების უფლება. ავტომობილს მიენიჭა სახელმწიფო ნომერი – ... და ა. მ-ას სახელზე გაიცა ტექ. პასპორტი. ზემოხსენებული ავტომანქანა 2009 წლის 2 სექტემბერს მისგან ამოიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისხლის სამართლის №009090024 საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. გამოძიების წარმოების პროცესში, დადგინდა, რომ აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება არ იყო მოპარული, არ იძებნებოდა და საზღვარგარეთიდან კანონიერად იყო შემოყვანილი. მოსარჩელის მითითებით, გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ ავტომანქანის სიჩქარის გადაცემის კოლოფი და უკანა ხიდი წარმოადგენს მოპარული, საზღვარგარეთ ძებნაში არსებული სხვა ავტომობილის ნაწილს.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გამო, არ არსებობდა ზემოხსენებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის კანონ-

ნიერი საფუძველი. გამოძიება ვალდებული იყო, სატრანსპორტო საშუალება დაებრუნებინა კანონიერი მფლობელისათვის, სიჩქარის კოლოფი და უკანა ხიდი კი, როგორც სხვა მოპარული ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები, შეენახა ნივთმტკიცების შენახვის დადგენილი წესების მიხედვით.

მოსარჩელე თვლის, რომ აღნიშნულის ნაცვლად, პროკურორმა ბოროტად გამოიყენა თანამდებობრივი მდგომარეობა, კერძოდ, ა. მ-ასთვის ავტომანქანის ჩამორთმევისა და მისი სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში აღძრა შუამდგომლობა (05.10.2011წ.) სატრანსპორტო საშუალების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ და, სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით, შუამდგომლობაში განზრახ შეიტანა სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემები, რომ სატრანსპორტო საშუალება „მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით“ და „ვერ იქნა დადგენილი მისი კანონიერი მფლობელი“. აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალება, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, მიაქცია სახელმწიფო საკუთრებაში. შედეგად, იგი 2011 წლის 18 ოქტომბრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მფლობელობაშია.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ხსენებული განჩინების გასაჩივრების უფლების არქონის გამო, გადაწყვეტილების სასამართლო წესით გაუქმება და ა. მ-ას დარღვეული უფლების აღდგენა ვერ მოხერხდა.

შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ პროკურორის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას ჩადენილი განზრახი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით მას მიაღდა მატერიალური ზიანი.

ამდენად, მოსარჩელემ მოპასუხე – საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის მის საკუთრებაში რეგისტრირებული ავტომობილის უკანონოდ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შედეგად 44 400 ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-ას სარჩელი

დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებული ავტომობილის უკანონოდ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შედეგად მიყენებული ზიანის მოსარჩელე ა. მ-ას სასარგებლოდ 44 400 ლარის ოდენობით ანაზღაურება დაევალა.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 6 თებერვლის წერილით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სატრანსპორტო საშუალება „...“ (VIN: ...) 2007 წლის 22 ივნისს გაცემული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე, 2007 წლის 26 ივნისს საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მოქალაქე რ. ს-ას სახელზე, რომელმაც იმავე დღეს, შედგენილი ერთობლივი განცხადების საფუძველზე, იგი გადააფორმა ა. მ-ას სახელზე და რეგისტრაციის შედეგად აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას მიენიჭა სახელმწიფო ნომერი

სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსმა პროკურორმა და მიუთითა, რომ ვინაიდან ვერ იქნა დადგენილი სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების – ავტომობილ „MERCEDES-BENZ“ მარკის სახელმწიფო ნომრით ...-ის კანონიერი მფლობელი, უნდა განხორციელებულიყო მისი სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორ შ. ზ-ის შუამდგომლობა და სისხლის სამართლის №0090900024 საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება ა/მანქანა „...“, სახელმწიფო №..., საიდენტიფიკაციო ნომრით „...“, მიექცა სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო სააგენტო“ მეშვეობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტომ 2018 წლის 18 ოქტომბერს გააუქმა ა. მ-ას კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე „...“, სახელმწიფო №..., დარეგისტრირებული ა. მ-ას საკუთრების უფლება და მასზე დაარეგისტრირა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრების უფლება, გაიცა ტექნიკური პასპორტი ... და მიენიჭა სახელმწიფო ნომერი

შპს „...ის“ მიერ 2007 წლის 1 ივლისს გაცემული დოკუმენტით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. მ-ამ ... სახელმწიფო ნომრის მანქანას დაუყენა სხვადასხვა ნაწილი და შიდა დიზაინი, ჯამში – 10 170 აშშ დოლარის ღირებულების.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (2011 წლის 15 ივნისის მდგომარეობით მოქმედი რედაქცია), თუ ნივთიერი მტკიცებულება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არის სატრანსპორტო საშუალება – საგანი, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით, წერილობით შესთავაზებს საგნის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, თუ ასეთი პირი ცნობილია, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი საგანი. საქმის მწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს საგნის მესაკუთრეს (მფლობელს) მისი ვინაობის დადგენისთანავე. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე საგნის მესაკუთრის (მფლობელის) ხელმოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისად ოჯახის წევრის ან/და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. საგნის მესაკუთრე (მფლობელი) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 45 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას. თუ საგნის მესაკუთრე (მფლობელი) აღნიშნულ ვადაში არ დაიბრუნებს თავის კუთვნილ საგანს, საქმის მწარმოებელი ორგანო უზრუნველყოფს მის შენახვას არა უმეტეს 2 თვისა. თუ ასეთ შემთხვევაში საგნის მესაკუთრე (მფლობელი) გადანაცვებს საგნის დაბრუნებას, იგი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის ამ საგნის შენახვისა და მოვლის ხარჯებს, რომელთა დღიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი საბაზრო ღირებულების 1%-ს. 3 თვის გასვლის შემდეგ პროკურორი ამ საგნის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა განიხილავს შუამდგომლობას. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საგნის განკარგვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, უდავო იყო, რომ მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცა იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა ავტომატობის მესაკუთრე, მაშინ, როდესაც, საქმეში წარმოდგენილი

დოკუმენტაციით უტყუარად დასტურდება, რომ სატრანსპორტო საშუალება „...“ (VIN: ...) 2007 წლის 22 ივნისს გაცემული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე 2007 წლის 26 ივნისს საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა მოქალაქე რ. ს-ამ, რომელმაც იმავე დღეს, შედგენილი ერთობლივი განცხადების საფუძველზე, იგი გადააფორმა მოსარჩელე ა. მ-ას სახელზე და რეგისტრაციის შედეგად აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას მიენიჭა სახელმწიფო ნომერი

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 207-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, 408-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 409-ე მუხლზე და მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ა. მ-ას მოპასუხის უკანონო ქმედების გამო შეუწყდა საკუთრების უფლება ავტომობილზე, რის გამოც მას უნდა მიეცეს შესაბამისი ფულადი ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...ის“ მიერ 2007 წლის 1 ივლისს გაცემული დოკუმენტით დასტურდებოდა, რომ ა. მ-ამ ... სახელმწიფო ნომრის მანქანას დაუყენა სხვადასხვა ნაწილი და შიდა დიზაინი, ჯამში – 10170 აშშ დოლარის ღირებულების. შესაბამისად, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებაზე განეული ხარჯი და თვით სატრანსპორტო საშუალების ღირებულება გონივრულ შესაბამისობაში იყო სასარჩელო მოთხოვნის ოდენობასთან.

რაც შეეხება მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურის განმარტებას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ან/და შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ან/და აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ა. მ-ა საქართველოს გენერალურ პროკურატურას პერიოდულად მიმართავდა მის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების დაბრუნების მოთხოვნით, ხოლო ბოლო მიმართვიდან არ იყო გასული კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

ამრიგად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს გენერალური პროკურატურის კანონსაწინააღმდეგო ქმედებით ა. მ-ასთვის ავტომობილის უკანონოდ ჩამორთმევის გამო, მოსარჩელეს მიადგა ზიანი და არსებობს პირობები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების დავალებასთან დაკავშირებით, რის გამოც სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო და მოპასუხეს უნდა დავალებოდა ა. მ-ას სასარგებლოდ ავტომობილის ღირებულების – 44 400 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატაც, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მათ არ მიეცათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამასთან, მეტი სიცხადისთვის პალატამ ქრონოლოგიურად მიუთითა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კიდევ უფრო ნათელს გახდიდა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლებს.

საქმის მასალებით, კერძოდ, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 6 თებერვლის წერილით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სატრანსპორტო საშუალება „...“ (VIN: ...) 2007 წლის 22 ივნისს გაცემული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე, 2007 წლის 26 ივნისს საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მოქალაქე რ. ს-ას სახელზე, რომელმაც იმავე დღეს, შედგენილი ერთობლივი განცხადების საფუძველზე, იგი გადააფორმა ა. მ-ას სახელზე და რეგისტრაციის შედეგად აღნიშნულ სატრანსპორტო სა-

შუალეზას მიენიჭა სახელმწიფო ნომერი

პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით დგინდება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №009090024 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში, შუამდგომლობის თანახმად, 2009 წლის 2 სექტემბერს ამოღებული იქნა ავტომანქანა „MERCEDES-BENZ“ მითითებულია, რომ ავტომანქანის საიდენტიფიკაციო ნომრის დასადგენად ჩატარდა კომპლექსური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა.

საქმეზე ჩატარებული კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტომობილი „MERCEDES-BENZ“ მარკის სახელმწიფო ნომრით ...-ის საიდენტიფიკაციო ნომერი გამოკვლევამდე არის ..., ხოლო გამოკვლევის შემდეგ –

ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტომობილი „MERCEDES-BENZ“ მარკის სახელმწიფო ნომრით ...-ის საიდენტიფიკაციო ნომერი გადაკეთებამდე იყო

ავტომობილი წარდგენილ იქნა შპს „ა...ში“, სადაც კომპიუტერთან მიერთების შედეგად დადგინდა, რომ პროცესორში დამახსოვრებული ნომერია ..., ავტომობილის გადაცემათა კოლოფის ნომერია ..., უკანა ხიდის ნომერი კი ..., ძრავაზე ნომერი არ იკითხება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსმა პროკურორმა და მიუთითა, რომ ვინაიდან, ვერ იქნა დადგენილი სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების ავტომობილ „MERCEDES-BENZ“ მარკის სახელმწიფო ნომრით ...-ის კანონიერი მფლობელი, უნდა განხორციელებულიყო მისი სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ სხდომაზე გამოძახებულ იქნა ა. მ-ა და სასამართლომ მოისმინა მისი პოზიცია ავტომობილის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევასთან დაკავშირებით. 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორ შ. ზ-ის შუამდგომლობა და სისხლის სამართლის №009090024 საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება ა/მანქანა „...“, სახელმწიფო №..., საიდენტიფიკაციო ნომრით „...“ მიექცა სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო სააგენტოს“ მეშვეობით.

პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ-
ღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელ-
მწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მო-
სამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.
სააპელაციო საჩივარზე მსჯელობის ფარგლებში, კერძოდ, მოსარჩე-
ლე მხარის მიერ აღძრული სარჩელის, დაფიქსირებული სასარჩელო
მოთხოვნისა და მითითებული მოპასუხე მხარის გათვალისწინებით, პა-
ლატამ მართებულად მიიჩნია უპირველესად ემსჯელა საქართველოს
გენერალური პროკურატურის, როგორც მოპასუხის, არასათანადოო-
ბის თაობაზე.

სადავო გარემოებიდან გამომდინარე, პალატამ ყურადღება გაამახ-
ვილა საკითხისადმი რელევანტურ საკანონმდებლო ნორმაზე, კერძოდ
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვარი № 150
ბრძანებით დამტკიცებულ „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრა-
ციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინსტრუქციის“ 41-ე მუხ-
ლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარეგისტრაციო სამსახუ-
რებში წარმოდგენილ დოკუმენტში ან/და სარეგისტრაციო ნიშანზე ან/
და ნომრიან აგრეგატზე უზუსტობის, შეუსაბამობის, გადასწორების,
დაზიანების კვალის ან სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შემ-
თხვევაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალება ან/და თანდართუ-
ლი დოკუმენტაცია ექვემდებარება დამატებით შემოწმებას. ამავდროულ-
ად მე-2 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის პირველი
პუნქტით განსაზღვრული გარემოების შესწავლა სცილდება სააგენტოს
კომპეტენციის ფარგლებს ან შემოწმების შედეგად ვერ დგინდება აღ-
მოჩენილი გარემოებების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, სააგენ-
ტო წყვეტს რეგისტრაციის პროცესს უფლებამოსილი ორგანოს მიერ
საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აქვე, პალატამ მიუთითა სა-
დავო პერიოდში მოქმედ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
2007 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ „სატრანსპორტო სა-
შუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინ-
სტრუქციის“ მე-5 მუხლით განერილ სააგენტოს უფლებამოსილებებზე
და აღნიშნა, რომ მითითებული საკანონმდებლო რეგულაცია ითვალის-
წინებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების
სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ დოკუმენტებთან
სატრანსპორტო საშუალების რეკვიზიტების შედარების საჭიროებას და
სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო რეაგირებას. განსახილ-
ველ შემთხვევაში მოსარჩელის (მონინალმდეგე მხარის) მიერ სატრან-
სპორტო საშუალების შესყიდვამდე ავტომობილს ჰყავდა მესაკუთრე
(რ. ს-ა) და საკუთრების აღრიცხვის მიზნით ორგანოს მიერ განხორციე-

ლებული სარეგისტრაციო წარმოებისას არ გამოვლენილა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება, არ დადგენილა სხვაობა წარდგენილ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებსა და ავტომობილის რეკვიზიტებს შორის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლსა და მე-3 მუხლის პირველ ნაწილზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლზე და აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, კერძოდ 2022 წლის 1 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე, მოსარჩელე მხარეს (მონინალმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე განემარტა, რომ მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა არა საქართველოს გენერალური პროკურატურა, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, ასევე ყურადღება გამახვილდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-477-474(კ-17) განჩინებაზე, თუმცა მოსარჩელე მხარე (მონინალმდეგე მხარე) არ დაეთანხმა არასათანადო მოპასუხის (საქართველოს გენერალური პროკურატურის) სათანადო მოპასუხით (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო) შეცვლას.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის და მხარეთა პოზიციების შეჯერების შედეგად, პალატამ გაიზიარა საჩივრის ავტორის ის მოსაზრება, რომ სახეზე არ იყო საქართველოს პროკურატურის მხრიდან ა. მ.-ასათვის ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე სათანადო წესით არ იყო დადგენილი საქართველოს პროკურატურის მხრიდან განხორციელებული ქმედებების უკანონობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინება დღეის მდგომარეობით იმყოფება კანონიერ ძალაში და მისი გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. პალატამ არ გაიზიარა ა. მ.-ას წარმომადგენლის განმარტება, რომ ვინაიდან პროკურატურამ სასამართლოს არ მიაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ა. მ.-ა იყო ავტომანქანის მესაკუთრე, ეს წარმოადგენდა პროკურორის უკანონო ქმედებას და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ა. მ.-ა მონაწილეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის განხილვაში, მის მიერ გაჟღერებული პოზიცია მითითებული იყო განჩინებაში, რომ ა. მ.-ა არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განმარტა, რომ მან ავტომანქანა კეთილსინდისიერად შეიძინა. ამდენად, მითითება, რომ სასამართლოსათვის არ იყო ცნობილი ა. მ.-ას უფლებრივი მდგომარეობა სადავო ავტომანქანაზე, საფუძველს მოკლე-

ბული იყო. პალატამ მიიჩნია, რომ არ იყო დადასტურებული საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან უკანონო ქმედების ჩადენის ფაქტი, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს აღნიშნულ დავაში. ყოველივე აღნიშნული კი, კანონმდებლის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლში გაკეთებული ჩანაწერის გათვალისწინებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არის იურიდიულად სრულად დასაბუთებული, სწორი და კანონიერი. აპელანტს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულება, გარემოება ან არგუმენტი არ წარუდგენია. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას პროკურატურა ითხოვდა თავისი პირვანდელი არგუმენტების საფუძველზე.

კასატორი საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა როგორც სააპელაციო საჩივარში, ასევე, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს ეთანხმებოდა და სადავოდ არ ხდიდა მოსარჩელის პოზიციას, რომ შუამდგომლობაში, რომელიც გახდა სასამართლოს 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინების საფუძველი, პროკურორმა შეიტანა არასწორი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოსდა სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვერ იქნა დადგენილი. ასევე, აპელანტს სადავოდ არ გაუხდია, რომ პროკურორმა იცოდა ა. მ-ის მიერ სატრანსპორტო საშუალების კანონიერად შეძენისა და მასზე საკუთრების უფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დარეგისტრირების ფაქტი, თუმცა აღნიშნული მან სასამართლოს დაუმალა. პროკურატურა არც იმას უარყოფს, რომ ა. მ-ა საქმის განხილვისას სასამართლოში რაიმე სტატუსს არ ფლობდა და შესაბამისად, რაიმე პროცესუალური უფლება არ ჰქონდა. სააპელაციო სასამართლომ კი, ნაცვლად იმისა, რომ გაერკვია აღნიშნულის მიზეზი, გამოიყენა სწორედ ეს ფორმულირება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ არგუმენტად.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლზე და აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის მოთ-

ხოვნის გამოყენების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადან-
ყვეტილებაში მოუწევდა იმის დაფიქსირება, რომ პროკურორმა განზრახ
დაარღვია კანონის მოთხოვნა, რამაც გამოიწვია ა. მ-ასთვის ზიანის მი-
ყენება. სასამართლომ ამ მოვალეობის შესრულებას თავი აარიდა და
მიზეზობრივ კავშირზე ჰიპოთეტური მსჯელობით სცადა საკუთარი
მცდარი დასკვნის გამართლება.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარ-
ღვია როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის მოთხოვნები. კერძოდ, გადანყვეტილებაში არ განიხილა და შე-
აფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი მტკიცებულებები და
გარემოებები, როგორიცაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს მიერ სატრანსპორტო საშუალებაზე 2007
წლის 26 ივნისის რეგისტრაციის წარმოება. კასატორი აღნიშნავს, რომ
სააგენტო მხოლოდ მარეგისტრირებული ორგანოა და შესაბამისად, სა-
კუთრებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში იგი დამოუ-
კიდებლად არ შეიძლება იყოს მხარე. კასატორის მოსაზრებით, სასა-
მართლოს მსჯელობა შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იან-
ვრის № 150 ბრძანებასთან დაკავშირებით, რომ თითქოს სააგენტომ არ
შეამოწმა მისი მოთხოვნა დოკუმენტაციის დამატებით შემოწმებასთან
დაკავშირებით, საქმესთან მიმართებით სრულიად უსაფუძვლოა.

კასატორი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო პალატის მი-
თითებაზე, რომ მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხე უნდა იყოს არა
საქართველოს გენერალური პროკურატურა, არამედ საქართველოს ში-
ნაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო. კასატორი აღ-
ნიშნავს, რომ მოპასუხე მხარე – საქართველოს გენერალური პროკურა-
ტურა არ თვლის, რომ სააგენტომ კანონის რაიმე მოთხოვნა დაარღვია,
იგი სულ სხვა საფუძვლით ამბობს უარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.
კასატორი მიუთითებს, რომ სატრანსპორტო საშუალება საქართველოში
შემოყვანილ იქნა კანონიერად, ამასთან, მასზე უფლების რეგისტრაცია
განხორციელდა კანონიერად. აღნიშნულით ვინმეს უფლება არ დარღვე-
ულა. თუკი სასამართლო მაინც თვლიდა, რომ სააგენტომ დაარღვია კა-
ნონი, მაშინ მას უნდა მოეპოვებინა ამის დამადასტურებელი მტკიცებუ-
ლებები და მხარეთა მონაწილეობით გამოეკვლია ისინი, რაც არ განხორ-
ციელებულა. სასამართლო კონკრეტულად ვერ უთითებს, თუ რა მიზე-
ზობრივი კავშირი შეიძლება არსებობდეს მომსახურების სააგენტოს მი-
ერ მინისტრის ბრძანებით დაკისრებული ფუნქციის განხორციელებასა
და ა. მ-ას საკუთრების უფლების ხელყოფას შორის.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ სა-
ხეზე არ არის საქართველოს პროკურატურის მხრიდან ა. მ-ასათვის ზი-
ანის მიყენების ფაქტი. კასატორი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს სა-

აპელაციო პალატის შეფასებაზე, რომ თითქოს სათანადო წესით არ არის დადგენილი საქართველოს პროკურატურის მხრიდან განხორციელებული ქმედების უკანონობა. კასატორისათვის გაურკვეველია, რა იგულისხმება ქმედების უკანონობაში. პროკურატურის ან პროკურორის ქმედების კანონიერება-უკანონობის დადგენას უნდა ემსახუროდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესი.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატის არგუმენტი, რომ ა. მ-ა საქმის განხილვაში მონაწილეობდა, იგი არ დაეთანხმა შუამდგომლობას სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევის თაობაზე, ვერ იქნება გადაწყვეტილების დასაბუთების კანონიერი საფუძველი, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ა. მ-ა პროცესს ესწრებოდა ყოველგვარი პროცესუალური სტატუსის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ მას რაიმე პროცესუალური უფლება ან მოვალეობა არ გააჩნდა. კასატორი მიიჩნევს, რომ პროცესუალური უფლება ან მოვალეობა უკანონო ქმედებისათვის კანონიერი სახის მიცემის მიზანს ემსახურებოდა. ამდენად, იგი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი საფუძველი ვერ იქნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. მ-ას საკასაციო საჩივარი. დასაშვებობის შემოწმება დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის განჩინებით ა. მ-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დადგინდა მხარეთა დასწრებით 2022 წლის 15 დეკემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე კასატორი ა. მ-ა, მხარეთა შორის მორიგების მიღწევის მიზნით, თანხის ანაზღაურების ნაცვლად ავტომობილის დაბრუნებას დაეთანხმა. აღნიშნულიდან გამომდინარე ა. მ-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა გადაიდო 2023 წლის 26 იანვარს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის სხდომიდან, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა, ა. მ-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმება გადაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 იანვრის განჩინებით ა. მ-ას საკასაციო საჩივარი

მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

2023 წლის 15 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. მიმართვაში საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტომ 2018 წლის 18 ოქტომბერს გააუქმა ა. მ-ას კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე „...“, სახელმწიფო ნომრით №..., დარეგისტრირებული ა. მ-ას საკუთრების უფლება და მასზე დაარეგისტრირა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრების უფლება, გაიცა ტექნიკური პასპორტი ... და მიენიჭა სახელმწიფო ნომერი ...

საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ კასატორი ა. მ-ა, მხარეთა შორის მორიგების მიღწევის მიზნით, თანხის ანაზღაურების ნაცვლად ავტომობილის დაბრუნებას დაეთანხმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილისა და 34¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამართლებრივი მდგომარეობის შესაძლო შეცვლის გამო, მოწვეულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში დანიშნულ ა. მ-ას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

2023 წლის 23 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ს“ მიმართა. მიმართვაში დამატებით აღინიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 23 თებერვლის სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ზემოხსენებული ავტომანქანა შინაგან საქმეთა სამინისტროზე რეგისტრირებულია 2011 წლის 18 ოქტომბრიდან და დღეის მდგომარეობით, ირიცხება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ზე“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციის მიხედვით, მოცემულ დავაში ჩასაბმელ მესამე პირს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ წარმოადგენს.

ამდენად, საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ კასატორი ა. მ-ა, მხარეთა შორის მორიგების მიღწევის მიზნით, თანხის ანაზღაურების ნაცვლად ავტომობილის დაბრუნებას დაეთანხმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილისა და 34¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“,

სამართლებრივი მდგომარეობის შესაძლო შეცვლის გამო, მოწვეულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში დანიშნულ ა. მ-ას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 30 მარტის საოქმო განჩინებით განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში სავალდებულო მოწვევის მესამე პირად, მისივე თანხმობით, ჩაბმულ იქნა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“. თუმცა საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ ა. მ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნორმატიული მოწესრიგება საქართველოს კონსტიტუციიდან იღებს სათავეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ანალოგიური შინაარსის დათქმას ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამ ნორმით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე, პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც – ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმე-

დების ვინრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამომწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-3).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა განამტკიცებს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას. საგულისხმოა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამდგენი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმა მიემართება უკანონო ქმედების შედეგად ზიანის მიყენების შემთხვევებს და ანაზღაურების ფარგლებსაც სწორედ ამ პირობებით ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის კონსტრუქცია და მისი შინაარსი, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იმისათვის, რათა წარმოიშვას სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების მოთხოვნის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, არსებითია დადასტურებულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედების უკანონობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით (207-ე-208-ე მუხლები) გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დამდგენი საკანონმდებლო მოწესრიგება სრულად ასახავს კანონმდებლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით (ძველი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი) გამოხატულ სულისკვეთებას. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთ-

ვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გამახვილოს საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, დადგენილია, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 6 თებერვლის წერილით დასტურდება, რომ სატრანსპორტო საშუალება „...“ (VIN: ...) 2007 წლის 22 ივნისს გაცემული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე 2007 წლის 26 ივნისს საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა მოქალაქე რ. ს-ამ, რომელმაც იგი, იმავე დღეს შედგენილი ერთობლივი განცხადების საფუძველზე, გადააფორმა ა. მ-ას სახელზე და რეგისტრაციის შედეგად აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას მიენიჭა სახელმწიფო ნომერი

საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით დგინდება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №009090024 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში, შუამდგომლობის თანახმად, 2009 წლის 2 სექტემბერს ამოღებულ იქნა ავტომანქანა „MERCEDES-BENZ“ მითითებულია, რომ ავტომანქანის საიდენტიფიკაციო ნომრის დასადგენად ჩატარდა კომპლექსური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა.

საქმეზე ჩატარებული კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტომობილი „MERCEDES-BENZ“ მარკის სახელმწიფო ნომრით ...-ის საიდენტიფიკაციო ნომერი გამოკვლევამდე არის ..., ხოლო გამოკვლევის შემდეგ

ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტომობილი „MERCEDES-BENZ“ მარკის სახელმწიფო ნომრით ...-ის საიდენტიფიკაციო ნომერი გადაკეთებამდე იყო

ავტომობილი წარდგენილ იქნა შპს „ა...ში“, სადაც კომპიუტერთან მიერთების შედეგად დადგინდა, რომ პროცესორში დამახსოვრებული ნომერია ..., ავტომობილის გადაცემათა კოლოფის ნომერია ..., უკანა ხიდის ნომერი კი ..., ძრავაზე ნომერი არ იკითხება.

2011 წლის 6 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსმა პროკურორმა და მიუთითა, რომ რამდენადაც ვერ იქნა დადგენილი სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების ავტომობილ – „MERCEDES-BENZ“ მარკის სახელმწიფო ნომრით ...-ის კანონიერი მფლობელი, უნდა განხორციელებულიყო მისი სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა პროკურორ შ. ზ-ის შუამდგომლობა და სისხლის სამართლის №0090900024 საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება – ა/მანქანა „...“, სახელმწიფო №..., საიდენტიფიკაციო ნომრით „...“, მიექცა სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო სააგენტოს“ მეშვეობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტომ 2018 წლის 18 ოქტომბერს გააუქმა ა. მ-ას კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე – „...“, სახელმწიფო №..., დარეგისტრირებული ა. მ-ას საკუთრების უფლება და მასზე დაარეგისტრირა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრების უფლება, გაიცა ტექნიკური პასპორტი ... და მიენიჭა სახელმწიფო ნომერი

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციაზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს აღნიშნულ დავაში, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის გათვალისწინებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნიდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სათანადო მოპასუხე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, რომელმაც დაარღვია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციი-

სა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინსტრუქციის“ დანაწესები, კერძოდ, მითითებული საკანონმდებლო რეგულაცია ითვალისწინებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილ დოკუმენტებთან სატრანსპორტო საშუალების რეკვიზიტების შედარების საჭიროებას და სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის (მონინალმდგე მხარის) მიერ სატრანსპორტო საშუალების შესყიდვამდე ავტომობილს ჰყავდა მესაკუთრე (რ. ს-ა) და საკუთრების აღრიცხვის მიზნით ორგანოს მიერ განხორციელებული სარეგისტრაციო წარმოებისას არ გამოვლენილა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება, არ დადგენილა სხვაობა წარდგენილ დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებსა და ავტომობილის რეკვიზიტებს შორის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და მის საწინააღმდეგოდ მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინსტრუქციის“ 41-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სარეგისტრაციო სამსახურებში წარმოდგენილ დოკუმენტში ან/და სარეგისტრაციო ნიშანზე ან/და ნომრიან აგრეგატზე უზუსტობის, შეუსაბამობის, გადასწორების, დაზიანების კვალის ან სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში მექანიკური სატრანსპორტო საშუალება ან/და თანდართული დოკუმენტაცია ექვემდებარება დამატებით შემოწმებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გარემოების შესწავლა სცილდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს ან შემოწმების შედეგად ვერ დგინდება აღმოჩენილი გარემოებების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, სააგენტო წყვეტს რეგისტრაციის პროცესს უფლებამოსილი ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი დანაწესი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ სააგენტოს მხრიდან სათანადო რეაგირების ვალდებულება წარმოიშობა და ავტოსატრანსპორტო საშუალება ან/და თანდართული დოკუმენტაცია დამატებით შემოწმებას ექვემდებარება ზემოაღნიშნული რომელიმე კვალის აღმოჩენის შემთხვევაში. შესაბამისად, მომსახურების სააგენტოს ვალდებულება შემოსაზღვრულია კონკრეტული პირობით (უზუსტობის, შეუსაბამობის, გადასწორების, დაზიანების კვალის ან სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის გამოვლენით), რომლის დადასტურების გარეშეც, ცხადია, მომსახურების სააგენტოს არ აქვს წარდგენილ მონაცემებში ეჭვის შეტანის საფუძველი, რის გამოც, ასეთ

დროს, მას არ აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შეფერხების ფაქტობრივ-სამართლებრივი შესაძლებლობა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, იყო თუ არა ვიზუალურად ხილული და სააგენტოსათვის ცხადად აღქმადი ის გარემოება, რომ სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოპარული გადაცემათა კოლოფისა და უკანა ხიდის ნომერი იყო გადასწორებული. სააპელაციო პალატას არ შეუფასებია, ემჩნეოდა თუ არა სატრანსპორტო საშუალების აღნიშნულ ორ ნაწილს ნომრის გადასწორების კვალი.

უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში თავად სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განხორციელებული გადასწორებების გამოსავლენად, საჭირო გახდა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე კომპლექსური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება. ამასთან, იგი მიერთებულ იქნა კომპიუტერზე შპს „ა...ში“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს რაიმე ბრალი მიუძღვის მოსარჩელე ა. მ.-ასათვის ზიანის მიყენებაში. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ფაქტობრივად გასცდა სარჩელის მოტივებს. მეტი სიცხადისათვის, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სათანადო მოპასუხით შეცვლის შეთავაზება დაიშვება მაშინ, როდესაც კონკრეტულად სარჩელის საფუძვლებიდან გამომდინარე დგინდება მოპასუხის არასათანადოობა, რაც ცხადია, აფერხებს მოსარჩელის მიზნის მიღწევას და წარმოშობს სათანადო მოპასუხის განსაზღვრის საჭიროებას. თუმცა მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ, სათანადო მოპასუხის საკითხის გადაწყვეტამდე, რადიკალურად შეცვალა უშუალოდ სარჩელის საგანი. მოსარჩელე სარჩელის წარდგენის ეტაპიდანვე ხაზს უსვამდა საქართველოს გენერალური პროკურატურის ქმედებათა უკანონობას, იგი თვლიდა, რომ მის საკუთრებაში არსებული მანქანის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა იყო უკანონო, რასაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო საქართველოს გენერალური პროკურატურის მოქმედება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მოსარჩელემ დავა წამოიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალების მის საკუთრებაში მოქცევის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებით, კონკრეტულად, პროკურატურის ქმედების უკანონობის მტკიცებით. თუმცა სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით, მოსარჩელე მხარისაგან დამოუკიდებლად სარჩელს შეუცვალა საფუძველი, დაადგინა,

რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა უშუალოდ მომსახურების სააგენტოს ბრალით ა. მ-ას სახელზე ავტოსატრანსპორტო საშუალების უკანონოდ რეგისტრაციას. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ავტომანქანის ჯერ კიდევ ა. მ-ას სახელზე აღრიცხვამდე პერიოდზე და ჩათვალა, რომ იგი არასწორად იქნა აღრიცხული მოსარჩელის საკუთრებაში, რაზე პასუხისმგებელიც სწორედ მომსახურების სააგენტო იყო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობა ქმნის აბსოლუტურად განსხვავებული სარჩელის შემადგენლობას, სადაც, ცხადია, განსხვავებულად განისაზღვრება მოპასუხე მხარეც. თუმცა მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელი ცალსახად მიემართება საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მისი მხრიდან განხორციელებული ქმედების უკანონობის მტკიცებას, რის გამოც სასამართლოსათვის ცხადი უნდა ყოფილიყო სათანადო მოპასუხის ვინაობა. ამასთან, ჰიპოთეტური დაშვება, რომ სარჩელი შესაძლოა სხვაგვარი საფუძვლით, ფორმულირებითა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ყოფილიყო ინიცირებული, არ ქმნიდა საქართველოს გენერალური პროკურატურის არასათანადო მოპასუხედ კვალიფიკაციისა და მხოლოდ ამ საფუძვლით ა. მ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის მოტივებიდან გამომდინარე, მოსარჩელე ცდილობს სწორედ საქართველოს გენერალური პროკურატურის ქმედებათა უკანონობის დადასტურებას, ა. მ-ა თვლის, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო ქმედებების შედეგია მისი კუთვნილი ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა, რამაც შედეგობრივად, მისთვის ზიანის მიყენება გამოიწვია. ამდენად, საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის მიზნებისათვის, სათანადო მოპასუხედ სწორედ საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება, როგორც დინამიურად გადაადგილებადი ნივთი, შედგება მრავ-

ვალი არსებითი და არაარსებითი ხასიათის ნაწილისაგან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ არსებით ნაწილთა გამოცალკევებით ავტოსატრანსპორტო საშუალება კარგავს თავის დანიშნულებას, განსხვავებით არაარსებითი ხასიათის ელემენტებისაგან, რომელთა გარეშე ავტომანქანას მაინც უნარჩუნდება მისი ძირითადი ფუნქცია. საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ა. მ-ას მიერ შეძენილი სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალება არ ყოფილა მოპარული. როგორც გამოძიებით იქნა დადგენილი, მოპარული იყო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე არსებული მხოლოდ ორი ნაწილი – გადაცემათა კოლოფი და უკანა ხიდი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დასახელებული ნაწილები არის ცვეთადი, ცვლადი ნაწილები, რომელთა ჩანაცვლება დასაშვებია საჭიროების შემთხვევაში. მართალია, აღნიშნული ორი ნაწილი უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას, თუმცა მათი ჩანაცვლებადი ბუნება საკასაციო სასამართლოს აძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ხსენებული ნაწილები არის არაარსებითი განსახილველი დავის მიზნებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 6 თებერვლის წერილის თანახმად, სატრანსპორტო საშუალება „...“ (VIN: ...) 2007 წლის 22 ივნისს გაცემული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე, 2007 წლის 26 ივნისს საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მოქალაქე რ. ს-ას სახელზე, რომელმაც იმავე დღეს, შედგენილი ერთობლივი განცხადების საფუძველზე, იგი გადააფორმა ა. მ-ას სახელზე და რეგისტრაციის შედეგად აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას მიენიჭა სახელმწიფო ნომერი

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოძიების ფარგლებში ამოღებულ იქნა 2009 წლის 2 სექტემბერს. თუმცა იგი სახელმწიფო საკუთრებაში მიექცა მხოლოდ 2011 წლის 6 ოქტომბერს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ა. მ-ას კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება იყო ამოღებული, თუმცა იმის მიუხედავად, რომ სატრანსპორტო საშუალებიდან მხოლოდ ორი პოტენციურად ჩანაცვლებადი ნაწილი იყო მოპარული და გამოძიებაც სწორედ ამ ნაწილებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას (წინამორბედი – საქართველოს მთავარი პროკურატურა) არ უზრუნია ავტოსატრანსპორტო საშუალებისაგან მოპარული ნაწილების გამოცალკევებასა და მოსარჩელისათვის ავტომანქანის დაბრუნებაზე. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის შუამდგომლობაში საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის

უფროსმა პროკურორმა მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ვერ დგინდებოდა ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების კანონიერი მფლობელი, მაშინ, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალება მოსარჩელის მფლობელობაში იყო და ამავდროულად, იგი მომსახურების სააგენტოში სწორედ მის სახელზე იყო აღრიცხული. ამასთან, კომპანია, რომელიც წარმოადგენს სადავო ორი მოპარული ნაწილის მესაკუთრეს, პრეტენზიას არ აცხადებს მათ დაბრუნებაზე, რაც ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე ცნობილი იყო პროკურატურისათვის.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას არ მოჰყოლია რაიმე სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, საქმეზე არ დადგენილა არა თუ მსჯავრდებული, არამედ ბრალიც კი არ წარდგენია არავის. შესაბამისად, 10 წელზე მეტი დროის განმავლობაში, გამოძიება მიმდინარეობს უშედეგოდ, ხოლო ნივთმტკიცების სახით ამოღებულ ავტომობილს არ შეუსრულებია არავითარი ფუნქცია დამნაშავე პირის გამოვლენაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი), რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქ-

ტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონცისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლით (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი) განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ქონებრივ უფლებათა განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს,

რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. ხსენებული დანაწესი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების კვალიფიციურ დაცვას, ამასთან, მუხლი სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს ფართო დისკრეციას, ჩაერიონ ამ უფლებაში: უშვებს პირის საკუთრების ჩამორთმევას „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე „სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ“, რომელშიც ყურადღება დაეთმო სხვადასხვა საკითხების და მათ შორის, გამოძიების ფარგლებში საკუთრების ჩამორთმევით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების შეფასებას. მოხმობილ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პირველი ოქმის პირველი მუხლის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომ საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაში საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევა იყოს კანონიერი. კერძოდ, პირველი მუხლის მეორე აბზაცი, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღიარებს სახელმწიფოთა მიერ საკუთრებით სარგებლობის კონტროლის უფლებას, ამ უფლების განხორციელებას უქვემდებარებს „კანონების“ მიღების პირობას. გარდა ამისა, კანონიერების პრინციპი ითვალისწინებს, რომ შიდასახელმწიფო სამართლის შესაბამისი დებულებები იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი და ზუსტი, ხოლო მათი გამოყენება – განჭვრეტადი (იხ., მაგალითად, ბაკლანოვი რუსეთის წინააღმდეგ, №68443/01, §§39-40, 2005 წლის 9 ივნისი, შემდგომი მითითებებით).

სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპიუტერის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება დაეფუძნა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებაში ნივთმტკიცებათა გამოყენების საკითხს არეგულირებს. გამომძიებელს ჰქონდა დისკრეციული უფლება, გაეცა ბრძანება ნებისმიერი საგნის ჩამორთმევისა, რომელსაც იგი სასარგებლოდ მიიჩნევდა გამოძიებისათვის, როგორც ეს იყო განმცხადებლის კომპიუტერის შემთხვევაში.

სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, რომ ნივთიერი მტკიცებულების ჩამორთმევა შესაძლოა საჭირო იყოს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისთვის, რაც არის საზოგადოების „საერთო ინტერე-

სებში“ შემავალი „კანონიერი მიზანი“. თუმცა მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას უცილობლად უნდა არსებობდეს გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის, ინდივიდუალურ პირთა საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის გამიზნული ღონისძიებების ჩათვლით. ეს მოთხოვნა გამოხატულია ცნებით „სამართლიანი ბალანსი“, რომელიც დაცული უნდა იქნეს საზოგადოების საერთო ინტერესების მოთხოვნებსა და ინდივიდუალური პირის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის (იხ. ედვარდსი მალტის წინააღმდეგ, №17647/04, §69, 2006 წლის 24 ოქტომბერი, შემდგომი მითითებებით).

სასამართლო დაეთანხმა განმცხადებლის მოსაზრებას, რომელზედაც არ დავობდა მთავრობა, რომ თავად კომპიუტერი არ იყო რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის იარაღი, საგანი ან პროდუქტი (შეადარე საქმეს ფრიზენი რუსეთის წინააღმდეგ, №58254/00, 29-31, 2005 წლის 24 მარტი). გამოძიებისათვის ღირებული და გამოსადეგი იყო ხისტი დამაგრებელზე მოთავსებული ინფორმაცია. 2000 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებიდან ჩანდა, რომ გამოძიებელმა ინფორმაცია შეისწავლა, ამოებეჭდა და საქმის მასალებს დაურთო. ამ გარემოებებში სასამართლომ ვერ შეძლო გამოერჩია რომელიმე აშკარა საფუძველი, რომლის გამოც გაჭიანურდა ცენტრალური ნაწილის ჩამორთმევის პერიოდი. ასეთი საფუძველი არც შიდასახელმწიფო სასამართლო განხილვებზე და არც სასამართლოში არ წარუდგენიათ. მიუხედავად ამისა, კომპიუტერის ცენტრალური ნაწილი იმ დღემდე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ინახებოდა, ანუ ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპიუტერი იყო განმცხადებლის პროფესიული ინსტრუმენტი, რომელსაც იგი იყენებდა იურიდიული დოკუმენტების შესაქმნელად და კლიენტთა ფაილების შესანახად. კომპიუტერის ჩამორთმევით განმცხადებელმა არა მხოლოდ პირადი დისკომფორტი განიცადა, არამედ ასევე ხელი შეეშალა მის პროფესიულ საქმიანობას; ამას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესაძლოა ემოქმედა მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ვერ დაიცვა „სამართლიანი ბალანსი“ საერთო ინტერესების მოთხოვნებსა და განმცხადებლის მიერ მისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების დაცვის მოთხოვნას შორის. ამრიგად, დაირღვა პირველი ოქმის პირველი მუხლი (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ, Smirnov v. Russia, no. 71362/01, §§ 55-59, 2007 წლის 7 ივნისი)

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში,

გამოძიების არაგონივრულმა გაჭიანურებამ არაეფექტურად აქცია თავად გამოძიების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებაც – ავტოსატრანსპორტო საშუალების ამოღება. საქართველოს გენერალური პროკურატურა ვერ უთითებს იმგვარ უტყუარ გარემოებაზე, რომელმაც საჭირო გახადა ავტოსატრანსპორტო საშუალების სრულად, მოპარულ ნაწილთა გამოცალკევების გარეშე ჩამორთმევა. საგულისხმოა, რომ კონკრეტულად ავტოსატრანსპორტო საშუალება არ წარმოადგენს არც დანაშაულის იარაღს და არც დანაშაულის საგანს. მიუხედავად აღნიშნულისა, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალება იმყოფებოდა სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე და გამოიყენებოდა კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად. საკასაციო პალატა, თავის მხრივ, საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ მოსარჩელე ა. მ-ა აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას შემოსავლის მისაღებად, ეკონომიკური საქმიანობისათვის იყენებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან სისხლის სამართლის საქმის გამოძიების არაეფექტურად წარმართვამ საქმეზე მიზეზედგოვრივად გამოიწვია მოსარჩელე ა. მ-ას საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული საკუთრების უფლების შელახვა. გამოძიების არაგონივრული ვადით განგრძობამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელი შეუშალა ა. მ-ას მისი საკუთრებით სათანადოდ სარგებლობაში. აქვე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოსათვის გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების კანონიერ მფლობელს სწორედ ა. მ-ა წარმოადგენდა. შესაბამისად, უკიდურეს შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებს ხდიდა მისთვის ავტომანქანის მოპარული ნაწილებისაგან გამოცალკევებით დაბრუნების შესაძლებლობას, რაც საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან არ განხორციელებულა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა ა. მ-ას საკუთრების უფლება. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, მართოდენ ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნებით ვერ ხერხდება მოსარჩელის შელახული უფლების პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რამდენადაც როგორც ზემოთ აღინიშნა, წლების მანძილზე, აღნიშნული ავტომანქანა ირიცხებოდა სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე. შესაბამისად, იგი აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით. ამდენად, ავტომობილის ცვეთისა და დროთა განმავლობაში მისი ღირებულების თავისთავადი შემცირების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის შელახული უფლების

კომპენსირების ერთადერთ გზას მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს.

თუმცა საკასაციო სასამართლო აქვე დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომებზე ა. მ-ამ გამოთქვა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაბრუნების სურვილი. იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების მოსარჩელისათვის დაბრუნება მასთან მორიგების გზით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სასამართლო სხდომაზე მოიწვია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და განიხილა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილისა და 34¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმეში მისი სავალდებულო მოწვევის მესამე პირად ჩაბმის საკითხი. სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაჟღერებული პოზიციის თანახმად, ავტომობილი ამჟამად იმყოფება სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ ბალანსზე, რის გამოც, ორგანომ აღნიშნა, რომ სწორედ დასახელებული უწყება წარმოადგენდა მოცემულ დავაში ჩასაბმელ მესამე პირს. შედეგად, შემდგომ სასამართლო სხდომაზე მოწვეულ იქნა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, რომელიც, საბოლოოდ, მორიგების მიღწევის მიზნით, მისივე თანხმობით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილისა და 34¹ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული. მიუხედავად აღნიშნულისა, ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან არ იქნა გამოჩენილი მზაობა მოსარჩელე ა. მ-ასთან მორიგების გზით მისთვის ავტომანქანის გადაცემის თაობაზე.

რაც შეეხება უშუალოდ მიყენებული ზიანის ოდენობას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელე ა. მ-ას მიერ მოთხოვნილია საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის ზიანის სახით 44 400 ლარის ანაზღაურების დაკისრება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასახელებული თანხის კალკულაცია ეფუძნება ავტომანქანის შეძენის ღირებულების თაობაზე მოსარჩელის ზეპირსიტყვიერ განმარტებასა და შპს „...ის“ მიერ 2007 წლის 1 ივლისს გაცემულ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება, რომ ა. მ-ამ ... სახელმწიფო ნომრის მანქანას დაუყენა სხვადასხვა ნაწილი და შიდა დიზაინი, ჯამში – 10 170 აშშ დოლარის ღირებულების. თუმცა საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის საექსპერტო დასკვნა ან კომპეტენტური პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომლითაც შეფასებული იქნებოდა ავტომობილის საბაზრო ღირებულება მისი ამოღების ან/და სახელმწიფოს ბალანსზე გადასვლის პერიოდში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112-ის“ მიერ წარმოდგენილ საკასაციო შესაგებელში მითითებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალება „...“ (საიდ. კოდი ...) (ახალი სახ. ნომ. ...) სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 13 ოქტომბრის №1951 ბრძანების საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (ავტომანქანის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 31 000 ლარს).

საკასაციო შესაგებელში, ასევე, აღნიშნულია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 9 ნოემბრის №899 ბრძანებით აღნიშნული ავტომანქანა (სახ. ნომ. ...) გადაეცა სსიპ საქართველოს შსს აკადემიას, ღირებულების 31 000 ლარი. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტის 2019 წლის 30 იანვრის დასკვნის საფუძველზე, ავტომანქანის საბაზრო ღირებულებად განისაზღვრა 23 000 ლარი.

2019 წლის 17 ივლისის (№1/328) ბრძანებით სატრანსპორტო საშუალება (ახალი სახ. ნომრით. №...) გადაეცა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ს“. საკასაციო შესაგებელში მესამე პირი, ასევე, მიუთითებს, რომ შესაგებლის წარმოდგენის მომენტისათვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112-ის“ ბალანსზე რიცხული ავტომანქანის როგორც ქონების საბალანსო ღირებულება არის 0 ლარი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქონების საბაზრო/საბალანსო ღირებულება დადგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი აქტებით, რომელთა თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალებას სახელმწიფოს ბალანსზე პირველადი გადაცემის მომენტში, განესაზღვრა საბალანსო ღირებულება 31 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან ალტერნატიული მტკიცებულებების წარმოუდგენლობის პირობებში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულება შეადგენდა 31 000 ლარს. ამასთანავე, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის მომენტში, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე უკვე განხორციელებული იყო მისი გაუმჯობესების სამუშაოები. შესაბამისად, მისი საბალანსო ღირებულება განისაზღვრა სწორედ ამ გაუმჯობესებათა მხედველობაში მიღებით, რის გამოც, არ არსებობს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში დასახელებული თანხის დამატებით მხედველობაში მიღების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. მ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, საქართველოს გენერალურ პროკურატურას ა. მ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მიყენებული ზიანის – 31 000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარის ანაზღაურება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის 44 400 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება. ა. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – 31 000 ლარის ნაწილში. ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის – ა. მ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ საქალაქო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3552 (1332+2220) ლარიდან სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული თანხის – 2480 (ორი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. საქართველოს გენერალურ პროკურატურას ა. მ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მიყენებული ზიანის – 31 000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარის ანაზღაურება;

5. საქართველოს გენერალურ პროკურატურას ა. მ-ას სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ საქალაქო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2 480 (ორი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უკანონო ბრალდების შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-300(კ-21)

22 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე;
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 4 ივლისს ი.ფ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის სახით – 101 015 ლარის (სამსახურებრივი სარგო – 2007 წლის 12 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 მარტამდე) და მორალური ზიანის სახით – 10 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიის 2018 წლის 9 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ი.ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა ი.ფ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი.ფ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 თებერვლის განჩინებით ი.ფ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 20 აპრილის №992 ბრძანებით, კაპრალი ლეიტენანტი ი.ფ-ი განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსად (შტატი №...).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 8 მაისის №1718 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ყოფილი ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსი, კაპიტანი ი.ფ-ი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსად 2007 წლის 8 ივნისიდან (შტატი №...).

ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის 2007 წლის 28 სექტემბრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების (სისხლის სამართლის საქმე №06073877) თანახმად, ი.ფ-ი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პა-

სუხისგებაში ბრალდებულის სახით და წარედგინა ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

2007 წლის 5 ოქტომბერს ი.ფ-მა პატაკით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ...ის დეპარტამენტის უფროსს. პატაკში აღნიშნული იყო, რომ იგი ითხოვდა ოჯახური პირობების გამო სამსახურიდან გათავისუფლებას და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის №3530 ბრძანებით დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ...ის დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსი (შტატი №...), კაპიტანი ი.ფ-ი საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადებით) თანახმად. ბრძანების საფუძველად მიითითებულია ...ის დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობა (№11635, 10.10.07წ.) და ი. ფ-ის პატაკი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 მარტის განაჩენით (საქმე №1/4521-08), ი. ფ-ი საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – გამართლდა, საქართველოს სსკ-ის 504-ე მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ი.ფ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და დადგინდა გირაოს სახით გადახდილი ფულადი თანხის 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის დაბრუნება გირაოს შემტანი პირისთვის განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენით ქ. თბილისის პროკურორატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 მარტის განაჩენი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განჩინებით პროკურორის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის 2018 წლის 7 მაისის №MOD 3 18 00444107 ცნობის თანახმად, ი. ფ-ი 2006 წლის 20 აპრილიდან 2007 წლის 12 ოქტომბრამდე მსა-

ხურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტში და მასზე რიცხული ხელფასი თვეების მიხედვით შეადგენდა: 2006 წლის მაისის თვეში – 1347,30 ლარს; 2006 წლის ივნისიდან – აგვისტოს ჩათვლით – 1129,00 ლარს; 2006 წლის სექტემბერში – 1139,06 ლარს; 2006 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით – 1135,00 ლარს; 2007 წლის იანვრიდან-აპრილის ჩათვლით 1135,00 ლარს; 2007 წლის მაისის თვეში – 1147 ლარს; 2007 წლის ივნისის თვეში – 1141,00 ლარს; 2007 წლის ივლისის თვეში – 1042,07 ლარს; 2007 წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში – 1085,00 ლარს; ხოლო 2007 წლის ოქტომბრის თვეში – 444 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ განსახილველ საქმეზე იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით და იმავე კოდექსის 207-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიუთითა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის 1 000 ლარის დაკისრება ი.ფ-ისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნის პროპორციულად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიუთითა საქმეზე დადგენილად მიჩნეულ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის №3530 ბრძანებით ი.ფ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადებით) შესაბამისად. გათავისუფლების ბრძანების კანონიერება მას კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია, რის გამოც, აღნიშნული ბრძანება კვლავ ითვლებოდა სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტად.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია, რომ ვინაიდან მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა სასამართლოში მტკიცებულება მისი სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნის პატაკის იძულებით დაწერის შესახებ, აღნიშნული

ფაქტის დადასტურების გარეშე კი სასამართლო დადასტურებულად ვერ ჩათვლიდა ი.ფ-ის სამსახურიდან გათავისუფლებასა და მის მიმართ წარდგენილ სისხლის სამართლის ბრალდებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას, რადგან შეიარაღებული რიგებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებაში მითითებული იყო ი.ფ-ის დათხოვნის განსხვავებული საფუძველი – პირადი განცხადება. ამდენად, მიზეზობრივი კავშირის კომპონენტის დადგენის გარეშე შეუძლებელი იყო მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი.ფ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იგი 2006 წლიდან მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ...ის დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2007 წლის 27 სექტემბერს იგი და მისი 6 თანამშრომელი სრულიად უკანონოდ იქნენ დაკავებული, მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და 2007 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით წარედგინათ ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მას და მასთან ერთად დაკავებულ, მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს აღკვეთის სახედ შეეფარდათ გირაო 2500-2500 ლარი. პატიმრობიდან გათავისუფლდა გირაოს გადახდის შემდეგ და მეორე დღეს სამსახურში გამოცხადდა, სადაც გაგრძელდა მისი და მისი თანამშრომლების დევნა და იძულება, რომ მას და მასთან ერთად დაკავებულ, მის დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს (კ.კ-ე, მ.ჩ-ა, გ.პ-ი, თ.ნ-ი, გ.გ-ი, გ.ჩ-ე) დაენერათ პატაკი სამსახურიდან საკუთარი ნებით წასვლაზე ოჯახური პირობების გამო. ყველა პატაკი ხელმოწერილი და დათარიღებულია 2007 წლის 3 ოქტომბრით.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ არ შეაფასა სამსახურიდან წასვლის – პატაკის გამომწვევი მიზეზები, არ დაადგინა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სამსახურიდან წასვლასა და სისხლისსამართლებრივ დევნას შორის, მაშინ როდესაც მასსა და მასთან ერთად დაკავებულ 6 თანამშრომელს ერთსა და იმავე დღეს „ოჯახური პირობების“ გამო გაუჩნდათ სურვილი სამსახურის დატოვების. აღნიშნულთან მიმართებაში კასატორი მიუთითებს საქმეზე №10058-15 მიღებულ გადაწყვეტილებაზე და მიიჩნევს, რომ კ. ჩ-ას და კ. კ-ის დავაში დადგენილი ფაქტები სასამართლომ უნდა გამოიყენოს, როგორც პრეიუდიციული ფაქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 23 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი.ფ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული ი.ფ-ის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 20 აპრილის №992 ბრძანებით, კაპრალი ლეიტენანტი ი. ფ-ი განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსად (შტატი №...).

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 8 მაისის №1718 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ყოფილი ...ის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსი, კაპიტანი ი. ფ-ი დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსად 2007 წლის 8 ივნისიდან (შტატი №...).

ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის 2007 წლის 28 სექტემბრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების (სისხლის სამართლის საქმე №06073877) თანახმად, ი.ფ-ი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და წარედგინა ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

2007 წლის 5 ოქტომბერს ი.ფ-მა პატაკით მიმართა საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ...ის დეპარტამენტის უფროსს. პატაკში აღნიშნულია, რომ იგი ითხოვს ოჯახური პირობების გამო სამსახურიდან გათავისუფლებას და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის №3530 ბრძანებით დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ...ის დეპარტამენტის ... განყოფილების უფროსი (შტატი №...), კაპიტანი ი.ფ-ი საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადებით) თანახმად. ბრძანების საფუძველად მიითითებულია ...ის დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობა (№11635, 10.10.07წ.) და ი.ა.ფ-ის პატაკი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 მარტის განაჩენით (საქმე №1/4521-08), ი. ფ-ი საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – გამართლდა, საქართველოს სსკ-ის 504-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ი. ფ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და დადგინდა გირაოს სახით გადახდილი ფულადი თანხის 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის დაბრუნება გირაოს შემტანი პირისთვის განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენით ქ. თბილისის პროკურორატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა – უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 მარტის განაჩენი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განჩინებით პროკურორის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტის 2018 წლის 7 მაისის №MOD 3 18 00444107 ცნობის თანახმად, ი. ფ-ი 2006 წლის 20 აპრილიდან 2007 წლის 12 ოქტომბრამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ...ის დეპარტამენტში და მასზე რიცხული ხელფასი თვეების მიხედვით შეადგენდა: 2006 წლის მაისის თვეში – 1347,30 ლარს; 2006 წლის ივნისიდან – აგვისტოს ჩათვლით – 1129,00 ლარს; 2006 წლის სექტემ-

ბერში – 1139,06 ლარს; 2006 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით – 1135,00 ლარს; 2007 წლის იანვრიდან-აპრილის ჩათვლით 1135,00 ლარს; 2007 წლის მაისის თვეში – 1147 ლარს; 2007 წლის ივნისის თვეში – 1141,00 ლარს; 2007 წლის ივლისის თვეში – 1042,07 ლარს; 2007 წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში – 1085,00 ლარს; ხოლო 2007 წლის ოქტომბრის თვეში – 444 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ხოლო 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამას-

წორეული სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს ქმნის მოსარჩელის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა და შემდგომ მისი რეაბილიტირება (მსგავს საქმეებზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება; 2009 წლის 8 აპრილის №ბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ი.ფ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით – 1000 ლარის დაკისრებას და აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (*Patsuria v. Georgia*; *Nikolaishvili v. Georgia*; *Jashi v. Georgia*). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არსებული ფაქტობრივი მოცემულობის (სამართალწარმოების ხანგრძლივობა, ინტენსივობა და ა.შ.) გათვალისწინებით პროპორციულად მიიჩნევს, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ – 1000 ლარის დაკისრებას.

რაც შეეხება, მოპასუხისათვის ი. ფ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის დაკისრებაზე უარის თქმის საფუძვლიანობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უკანონო ბრალდების/მსჯავრდების შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დადგენილია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, რეაბილიტირებული პირისათვის, გათვალისწინებულია მატერიალური ზიანის სახით იმ თანხის ოდენობით ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების არ არსებობის პირობებში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 7 ოქტომბრის №ბს-306(2კ-20) განჩინება; 2021 წლის 2 ივნისის №ბს-873(2კ-20) განჩინება; 2018 წლის 15 ნოემბრის №ბს-496-496(კ-18) განჩინება).

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლო-თა შეფასებას იმ გარემოებასთან მიმართებაში, რომ ი.ფ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუსაჩივრებლობის პირობებში, შესაბამისი ბრძანება ითვლება სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტად, თუმცა საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ – გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნით (აღდგენის მოთხოვნით), არამედ სარჩელი სრულად ეფუძნება მის მიმართ განხორციელებული სისხლისამართლებრივი დევნის ფარგლებში დამდგარი და წარმოშობილი შედეგების რეაბილიტაცია/კომპენსაციას.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მის მიმართ მიმდინარე უკანონო სისხლისამართლებრივი დევნის პირობებში, იგი იძულებული გახდა (აიძულეს) დაენერა პატაკი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. კასატორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მის მიმართ განხორციელებულ იძულების ფაქტს კიდევ უფრო ნათელს ხდის და ამყარებს ის გარემოება, რომ მას და მასთან ერთად დაკავებულ 6 თანამშრომელს ერთსა და იმავე დღეს, 2007 წლის 3 ოქტომბერს (რეგისტრირებული 5 ოქტომბერს) ერთდროულად „ოჯახური პირობების“ გამო გაუჩნდა სამსახურიდან წასვლის სურვილი. ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ მისი სამსახურიდან წასვლა და მისთვის შესაბამისი მატერიალური ზიანის მიყენება პირდაპირ და უშუალო კავშირშია, სწორედ მის მიმართ მიმდინარე სისხლისამართლებრივ დევნასთან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის №3/10058-15 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც კ. კ-ის და მ. ჩ-ას (ი. ფ-ის თანამშრომლები) სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს მთავარ პროკურატურას მოსარჩელე მ. ჩ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 56 364 (ორმოცდათექვსმეტი ათას სამას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით; მოპასუხე საქართველოს მთავარ პროკურატურას მოსარჩელე კ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 73 073 (სამოცდაცამეტი ათას სამოცდაცამეტი) ლარის ოდენობით და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მარტის განჩინებით, (რომლითაც საქართველოს მთავარი პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება).

კ. კ-ისა და მ. ჩ-ას საქმეზე (ი. ფ-ის თანამშრომლები) სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ „მოსარჩელეთა მიერ გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერა განპირობებული იყო იძულებით, კერძოდ, მათი უფროსი – ი. ფ-ი დაიბარეს და განუმარტეს, რომ უნდა წასულიყვნენ სამსახურიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია მათ მიმართ გამოყენებული ყოფილიყო იძულების უფრო მძიმე ღონისძიება. ი. ფ-ს თანამშრომლებთან, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა სისხლისამართლებრივი დევნა გაატანეს განცხადებები გათავისუფლების მოთხოვნის შესახებ.“

ამდენად, საკასაციო სასამართლო, საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისა და სხვა მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მხრიდან, მისი თანამშრომლების მსგავსად, 2007 წლის 3 ოქტომბერს (2007 წლის 5 ოქტომბერს რეგისტრირებული) ოჯახურ მდგომარეობაზე მითითებით სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ პატაკის დაწერა არ შეესაბამებოდა მის თავისუფალ ნებას და გამომდინარეობდა მის მიმართ მიმდინარე სისხლისამართლებრივი დევნიდან, რისი უსაფუძვლობაც, 2014 წლის 31 მარტის კანონიერ ძალაში შესული გამამართლებელი განაჩენით იქნა დადასტურებული. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში იკვეთება მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის – ანაზღაურების საფუძველი.

ამასთან, რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების ოდენობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი ითვალისწინებს ქონებრივი ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად დამდგარ (რეალურ) ქონებრივ დანაკლისსა და მიუღებელ შემოსავალს. სკ-ის 408.1 მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ. ამდენად, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ზიანის მოცულობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება, პირის იმაზე უკეთეს ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩენა, ვიდრე იგი იქნებოდა ზიანის გამომწვევი ქმედების არ არსებობის შემთხვევაში (სუსგ №ბს-1031(კ-20), 21.06.2021წ.).

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ი.ფ-ისათვის მატერიალური ზიანის სახით ანაზღაურებელი თანხის ზუსტ ოდენობაზე და მოპასუხის მიერ ზიანის 2014 წლის 31 მარტამდე (გამამართლებელი განაჩენი) ანაზღაურების ვალდებულებაზე, ვინაიდან, დაუდგენელია ის ფაქტობრივი გარემოებები, რა პერიოდამდე არსებობდა ი.ფ-ის მიერ დაკავებული თანამდებობა, 2014 წლის 31 მარტამდე ხომ არ განხორციელდა შესაბამის სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან სხვაგვარი ცვლილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დასადგენია რა ეტაპამდე და რა ოდენობით არსებობდა ი.ფ-ის მიერ შესაბამისი სამსახურებრივი სარგოს ობიექტურად მიღების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებში წარმოდგენილი არასაკმარისი მტკიცებულებებისა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოცემულ საკითხზე ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მოპასუხისათვის ი.ფ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და დაკისრების საკითხზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი.ფ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოპასუხისათვის ი.ფ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი და დამატებით მოძიებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შესწავლისა და მათი ანალიზის საფუძველზე სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ. ამასთან, ი.ფ-ის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის გაზრდის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება (მოპასუხისათვის მორალური ზიანის სახით 1000 ლარის დაკისრების შესახებ).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. მოპასუხის საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. ი. ფ-ის საკასაციო საჩივარი მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის გაზრდის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 თებერვლის განჩინება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ სასარჩელო ხანდაზმულობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1448(კ-22)

18 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ხ-მა 2021 წლის 22 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად, მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისთვის მატერიალური ზიანის სახით 73000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 2 აგვისტოს №15.60.2020 გადაწყვეტილებით, ლ. ხ-ს ქალაქ თბილისში, ...ის ...-ში, მე-2 მ/რ-ის №... კორპუსის მე-3 სადარბაზოს მე-4 სართულზე, მარჯვენა მხარეს გადაეცა 42.21 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. მოსარჩელის მითითებით, 1990-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, საბინაო ფონდი გაუქმდა, ბინათმშენებლობის პროცესი შეჩერდა და კანონმდებლობაში წარმოიქმნა ხარვეზი, რის გამოც მან საცხოვრებელ ბინაში შესახლება ვერ შეძლო. ამის შემდეგ სადავო კორპუსში არსებული ბინები თვითნებურად დაიკავეს დევნილებმა, ასევე მიიერთეს სხვა უძრავი ქონებაც.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2016 წელს სადავო უძრავი ფართი დაარეგისტრირა სახელმწიფო საკუთრებად, თუმცა დარეგისტრირებამდე არ გამოურეგისტრირა ვის ბალანსზე იყო უძრავი ნივთი, რა ტიპის ბინათმშენებლობას წარმოადგენდა იგი, ან აღნიშნული შენობა იყო საერთო საცხოვრებელი, საუწყებო, კოოპერატიული თუ სამსახურებრივი ბინათმშენებლობა. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სადავო ფართი დარეგისტრირების შემდეგ გადასცა დევნილთა სამინისტროს, ხოლო ამ უკანასკნელმა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაასხვისა თ. და გ. გ-ებზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, ვინაიდან სადავო ფართი უკვე გასხვისებულია და ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც კი, სადავო ბინის მოსარჩელისთვის დაბრუნება შეუძლებელი იქნება კეთილსინდისიერი შემძენების გამო, შესაბამისად, შეუძლებელი იქნება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელემ სადავო ფართის სანაცვლოდ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის არქივის 2019 წლის 22 ოქტომბრის №... საარქივო ცნობის თანახმად, დასტურდება, რომ ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის აღმასკომის 1989 წლის 2 აგვისტოს №15.60.2020 გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქალაქე ლ.ხ-ი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ბინით. დასახელებული გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელეს, ქალაქ თბილისში, ...ის ...-ში, მე-2 მ/რ-ის №... კორპუსის მე-3 სადარბაზოს მე-4 სართულზე, მარჯვენა მხარეს, სამ სულზე, აღრიცხვიდან მოხსნით, გამოეყო 42.21 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. გადაწყვეტილებაში ასევე მიეთითა, რომ დანარჩე-

ნი წევრების ბინით დაკმაყოფილება განხორციელდებოდა 2-ოთახიანი ნომენკლატურის ბინების მიღების შემდეგ;

– სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 19 ოქტომბრის წერილით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-01/07//26124 წერილის პასუხად ეცნობა, რომ იგი არ იყო წინააღმდეგი ქალაქ თბილისში, ...ის 3-ში, მე-2 მ/რ-ში მდებარე №33, №34, №35, №36 და №37 კორპუსებში არსებულ იმ უძრავ ქონებაზე, რომელზეც არ გაცემულა საკუთრების უფლების მოწმობა და არ მიმდინარეობდა საქმისწარმოება საკუთრების უფლების დადგენასთან დაკავშირებით, განხორციელებულიყო დევნილთა განსახლებისა და მათთვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. სამინისტროს ასევე ეცნობა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ იყო წინააღმდეგი ამავე სამინისტროს განხორციელებინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ზემოაღნიშნული უძრავი ქონების და მასზე დამატებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრების რეგისტრაცია და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა (გარდა შენობა-ნაგებობის კუთვნილი ნაკვეთის ფართის ცვლილებისა);

– დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 მაისის №... გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადება და ქალაქ თბილისში, ...ის დასახლება ...-ში, მე-2 მ/რ-ის კორპუს №33-ში, შენობა №1-ის მე-4 სართულზე მდებარე №15 ბინაზე (ფართი 62,07 კვ/მ) განხორციელდა სახელმწიფოს უფლების რეგისტრაცია;

– სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 ივლისის ამონაწერით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება დარეგისტრირდა თ. და გ. გ-ების სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მითითებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, დამონშების თარიღი: 21.07.2016წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

– საქმის მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ ლ. ხ-მა 2021 წლის 14 აპრილს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და აღნიშნა, რომ სადავო №15 ბინა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 აპრილის №1/1-1370 ბრძანების საფუძველზე, დარეგისტრირდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელზე. აღნიშნული კორპუსის საცხოვრებელი ბინები ჯერ კიდევ ქალაქ თბილისის 26 კომისიის სახ. რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 2 აგვისტოს №15.60.2020 გადაწყვეტილებით განაწილდა მოქალაქეებზე, მათ

შორის, ლ. ხ-ზე. ამავე განცხადებით, მან მოითხოვა წერილობითი ინფორმაცია, თუ ვის ბალანსზე იყო ზემოაღნიშნული მშენებარე კორპუსი 2016 წლამდე, რის საფუძველზე გადაეცა ის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სად ინახებოდა აღნიშნულ კორპუსთან დაკავშირებით რაიკომის გადაწყვეტილებები და რატომ არ იქნა მოსარჩელის სახელზე არსებული დოკუმენტები გათვალისწინებული აღნიშნული კორპუსის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემისას;

– სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ სადავო ფართი 2016 წლის 4 მაისიდან 2016 წლის 25 ივლისამდე რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებაში (საფუძველი: №1/1- 1370 ბრძანება, დამოწმების თარიღი: 26.04.2016 წ. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო). 2016 წლის 25 ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე კი, სადავო ფართზე რეგისტრირებულია თ. გ-ას და გ. გ-ას თანასაკუთრების უფლება (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 21.07.2016წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; უფლების რეგისტრაციის მონაცემები: რეგ. ნომერი ...; თარიღი 25.07.2016 წელი). ამავე წერილით ლ.ხ-ს განემარტა, რომ ინფორმაცია, თუ ვინ იყო 2016 წლამდე მესაკუთრე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ იყო დაცული და სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას აღნიშნულზე გაეცა ინფორმაცია;

– საქმეში წარმოდგენილია ასევე ი/მ დამოუკიდებელი ექსპერტის, აუდიტორის – დ.რ-ის 2021 წლის 14 მაისის №... დ.რ. ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ ქალაქ თბილისში, ...ის დასახლება ...ში, მე-2მ/რ-ის კორპუსი №33-ში არსებული 42.41 კვ.მ საცხოვრებელი ბინა, რომელიც უნდა გადაეცათ მოქალაქე ლ.ხ-ისათვის, დღეისათვის მომატებული ფართითაა რეგისტრირებული (ს/კ №...), მისი ფართობი შეადგენს 62,07 კვ.მ-ს და მისი მესაკუთრეები არიან გ-ები, ხოლო ამ კორპუსში არსებული №15 საცხოვრებელი ბინის (ფართით 42,41 კვ.მ) ღირებულება, რომელიც უნდა გადაეცათ ლ.ხ-ისათვის, განისაზღვრება 73000 ლარით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-19, 31-ე მუხლებზე, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება დგებოდა იმ შემთხვევაში თუ ფაქტობრივი ზიანი დადგებოდა აღნიშნული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონსაწინააღმდეგო,

მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედებით და იარსებებდა მიზეზობრივი კავშირი განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ზიანს შორის. ამასთან, თავისთავად ზიანის არსებობის ფაქტი არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოსათვის ამ ზიანის დაკისრების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უნდა ეარსება მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ქმედებასა (მოქმედება/უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს შორის, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა. შესაბამისად, სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ იყო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მხრიდან ბრალეული ქმედება, ვინაიდან სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 აპრილის №1/1-1370 ბრძანების საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 მაისის №... გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ...ის დასახლება ...-ში, მე-2 მ/რ-ის, კორპუს №33-ში, მე-4 სართულზე მდებარე №15 ბინა, ფართობით, 62.07 კვ.მ, ს/კ №..., დარეგისტრირდა სახელმწიფოს სახელზე, შესაბამისად, სახეზე არ იყო ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ასევე არ არსებობდა დამდგარი ზიანი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას შორის, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტები, რომლებითაც სადავო ფართი თავდაპირველად აღირიცხა სახელმწიფოს სახელზე, შემდეგ კი დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, კანონიერი იყო და არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება მათი ბათილად ცნობის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების არც ერთი წინაპირობა.

საქალაქო სასამართლომ ასევე გაიზიარა მოპასუხის აპელირება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 130-ე მუხლებზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოსთან ერთად ხანდაზმულიც იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;

მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 73000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას, ამასთან, მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე, 992-ე, 1005-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას, ამასთანავე, ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისაკენ, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენების ბრალი და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

სააპელაციო პალატის მსჯელობით, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევა – უძრავი ქონების უფლებრივი მდგომარეობის არასაკმარისი გამოკვლევა-შეფასების კუთხით. კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის მოთხოვნამდე სათანადოდ არ შეამოწმა თუ ვის სახელზე იყო გადაცემული პირველადად უძრავი ქონება, აღნიშნული კი ნათლად ადასტურებს პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირის არსებობას, კერძოდ, კავშირს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობასა და საკუთრების უფლების შეზღუდვას შორის. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, აღნიშნულ ნაწილში პალატამ მიუთითა ი/მ დამოუკიდებელი ექსპერტის, აუდიტორის – დ.რ.-ის 2021 წლის 14 მაისის №... დ.რ. ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ...ის დასახლება ...-ში, მე-2 მ/რ-ის კორპუს №33-ში არსებული 42.41 კვ.მ საცხოვრებელი ბინა, რომელიც უნდა გადაეცათ მოქალაქე ლ.ხ.-ისათვის, დღეისათვის მომატებული ფართითაა რეგისტრირებული (ს/კ ...), მისი ფართობი შეადგენს 62,07 კვ.მ-ს და მისი მესაკუთრეები არიან გ-ები, ხოლო ამ კორპუსში არსებული №15 საცხოვრებელი ბინის (ფართობი 42,41 კვ.მ) ღირებულება, რომელიც უნდა გადაეცათ ლ.ხ.-ისათვის, განისაზღვრა 73000 ლარით. ამდენად, საქმის

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა – მატერიალური ზიანის სახით 73000 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. სააპელაციო პალატამ მითითებულ სამართლებრივ ნორმათა და საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს არგუმენტირება მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან 2016 წელს სადავო კორპუსის მესაკუთრე უცნობი იყო, შესაბამისად, მოსარჩელეს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაესახელებინა მოპასუხე – მონინა აღმდეგე მხარე. იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარისათვის 2021 წლის 20 აპრილს გახდა ცნობილი უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილია 2021 წლის 22 აპრილს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება უკანონო იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების შედეგად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომელმაც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებები უკანონოდ მიიჩნია. კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტოსთვის ზიანის დაკისრების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობისა და მოქმედების შეფასებაში მდგომარეობს, კერძოდ,

პირის მოქმედება იყო განზრახი თუ გაუფრთხილებელი. შესაბამისად, ზიანის ფაქტის დადგენა სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შეფასებისა და შემდგომ მათი ბათილად ცნობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მიღებულია შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდიდა სახელმწიფო სახელზე რეგისტრაციის ფაქტს, არამედ ადასტურებდა, რომ სახელმწიფო უფლებამოსილი იყო აღერიცხა თავის სახელზე სადავო უძრავი ქონება. მოსარჩელე მატერიალური ზიანის დაკისრების საფუძველად მიუთითებდა სადავო უძრავი ქონების შემდგომი განკარგვის კანონიერებაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ კი, სააპელაციო სასამართლო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო სახელზე რეგისტრაციის მოთხოვნამდე სათანადოდ არ შეამოწმა თუ ვის სახელზე იყო გაცემული პირველადად უძრავი ქონება. კასატორის მოსაზრებით, გადანყვეტილება მიღებულია შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით, სასამართლომ იმ ფაქტზე მითითებით გადაწყვიტა დავა, რომელსაც მოსარჩელე სადავოდ არ ხდიდა. თუმცა, იმ პირობებშიც კი, თუ იგი სადავოდ გახდიდა სახელმწიფო სახელზე რეგისტრაციის კანონიერებას, მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იქნებოდა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრაცია არ განხორციელდებოდა თუ დადგინდებოდა არსებითი წინააღმდეგობა სარეგისტრაციოდ წარდგენილ მოთხოვნასა და უკვე რეგისტრირებულ უფლებას შორის უძრავ ნივთებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციისას. რეგისტრაციისას კი მასზე კერძო პირის საკუთრების უფლება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ ფიქსირდებოდა და არ არსებობდა რეგისტრაციის დამაბრკოლებელი რაიმე სახის ფაქტობრივი გარემოება. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, უძრავ ნივთზე რეგისტრირებული უფლება გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა უფლების რეგისტრაციას.

რაც შეეხება სასამართლოს მითითებას სარჩელის ხანდაზმულობაზე, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებები ზედაპირულად შეაფასა და მხოლოდ ფორმალური მიდგომით დაადგინა, რომ მოსარჩელემ დაიცვა ხანდაზმულობის ვადა. პალატამ უფლების დარღვევის ფაქტის შეტყობინებად მიიჩნია 2021 წლის 21 აპრილი, როდესაც ლ.ხ-ს საჯარო რეესტრის №... წერი-

ლით განემარტა სადავო უძრავი ნივთის უფლებრივი მდგომარეობა.

კასატორი მიიჩნევს, რომ ლ. ხ-მა 2021 წლის 21 აპრილამდე იცოდა ან უნდა შეეტყო აღნიშნული უფლების დარღვევის შესახებ, ვინაიდან იგი სარჩელში დეტალურად აღწერს, რომ ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე საბინაო ფონდი გაუქმდა, ბინათმშენებლობის პროცესი შეჩერდა და კანონმდებლობაში წარმოიქმნა ხარვეზი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მან საცხოვრებელ ბინაში შესახლება ვერ შეძლო. სადავო კორპუსში არსებული საცხოვრებელი ბინები თვითნებურად დაიკავეს დევნილებმა და მიიერთეს სხვა ფართებიც. შესაბამისად, ლ.ხ-ს უნდა სცოდნოდა აღნიშნული უფლების დარღვევის შესახებ, რის გამოც სარჩელი ხანდაზმულად უნდა ჩათვალოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი როგორც კანონიერი საფუძვლის არარსებობის პირობებში, ისე ხანდაზმულობის კუთხით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 23 ივნისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილული იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობების არსებობა, ასეთი წინაპირობების არსებობის დადასტურების

შემთხვევაში კი – ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა. ამასთან, მოცემული გარემოებების დადგენამდე და შეფასებამდე, პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, რამეთუ, ზოგადად, „ვადის უფლებანარმომშობი და უფლებააღმკვეთი თვისება გამოკვეთილია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, არამედ იგი დამახასიათებელია მთელი სამართლისათვის. დრო იწვევს სამართლებრივი სინამდვილის ტრანსფორმაციას, უფლების წარმოშობას, შეწყვეტას, უფლების სუბიექტის შეცვლას. მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული... სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურსამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობა შეზღუდულია ნორმატიულად იმპერატიულად განსაზღვრული ვადებით. კანონმდებლობით გათვალისწინებულია დროის ის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც უნდა მიმართოს მხარემ სასამართლოს თავისი დარღვეული თუ სადავო ქცეული უფლების დასაცავად. სასარჩელო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების შემოღების ერთ-ერთ მიზანს საქმის სწორად გადაწყვეტა წარმოადგენს. კერძოდ, „გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხე-

ბისგან...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე – „ისრაელის მოქალაქეები – „თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21, 23).

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღება მიზნად ისახავს უფლების დაცვის ვადების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა უფლება დაუსრულებლად, განუსაზღვრელად არ იყოს საეჭვოობის ხასიათის მატარებელი. ამასთანავე, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების დროული განხორციელება ემსახურება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. თავის მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არაჯეროვანი გამოყენება, სასამართლოსათვის ვადის დარღვევით მიმართვა წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს. კერძოდ, მოთხოვნის უფლება აგრძელებს არსებობას, მაგრამ, მისი საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვერ დაექვემდებარება იძულებით აღსრულებას და დარღვეული უფლების აღდგენა მხოლოდ დამრღვევის მიხედულებაზე იქნება დამოკიდებული. უფრო მეტიც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლებით გათვალისწინებული შეცდომებითი და მავალდებულებელი სარჩელის წარდგენისას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვა წარმოადგენს სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმს და ასეთი ვადის დაუცველობა საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობას ქმნის. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მითითებული ვადების მხარეთა მიერ დაცვის ფაქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს, რომ ლ.ხ-ს ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 2 აგვისტოს №15.60.2020 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, ...ის ...-ში, მე-11 მ/რ-ის №33 კორპუსში, მე-3 სადარბაზოს მე-4 სართულზე გამოეყო 42.21 კვ.მ ფართის მქონე სამოთახიანი ბინა, რომელიც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენ-

ტოს 2016 წლის 26 აპრილის № 1/1-1370 ბრძანების საფუძველზე დარეგისტრირდა სახელმწიფოს სახელზე, ხოლო ამ უკანასკნელის მხრიდან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ბინა თანასაკუთრებაში გადაეცათ თ. და გ. გ-ებს. საქმეში წარმოდგენილია 2021 წლის 14 აპრილის განცხადება, რომლითაც ლ. ხ-ის წარმომადგენელმა მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა წერილობითი ინფორმაცია, 2016 წლამდე თუ ვის ბალანსზე იმყოფებოდა ზემოაღნიშნული მშენებარე კორპუსი, რის საფუძველზე გადაეცა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სად ინახებოდა აღნიშნულ კორპუსთან დაკავშირებით რაიკომის გადაწყვეტილებები და რატომ არ იქნა მოსარჩელის სახელზე არსებული დოკუმენტები გათვალისწინებული 2016 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის ეტაპზე. აღნიშნულ განცხადებაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის №... წერილით ლ. ხ-ს ეცნობა, რომ უძრავ ნივთზე 2016 წლის 4 მაისიდან 2016 წლის 25 ივლისამდე რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრების უფლება. 2016 წლის 25 ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე რეგისტრირებულია თ. გ-ას და გ. გ-ას თანასაკუთრების უფლება. ამავე წერილით მხარეს განემარტა, რომ ცნობა 2016 წლამდე კორპუსის მესაკუთრის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ იყო დაცული და სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას აღნიშნულზე გაეცა ინფორმაცია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია რა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, მიუთითა, რომ 2016 წელს მხარისათვის ცნობილი არ იყო სადავო ფართის მესაკუთრე, რის გამოც მას, როგორც მესაკუთრეს, არ შეეძლო დაესახელებინა მოწინააღმდეგე მხარე. ამასთან, უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა 2021 წლის 20 აპრილს, ხოლო სარჩელი წარადგინა იმავე წლის 22 აპრილს. სწორედ აღნიშნული გარემოებების გამო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის ხანდაზმულობაზე მითითება საფუძველს მოკლებული იყო. საკასაციო პალატა კი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, კერძოდ, გამოკვლეული არ არის ის გარემოება, ანუ ფაქტი, როდესაც მოსარჩელემ შეიტყო საკუთარი უფლების დარღვევისა და იმ კონკრეტული ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების თაობაზე, რამაც მისი კანონიერი უფლების შელახვა გამოიწვია. ამრიგად, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი სააპელაციო პალატის მიერ სათანადო წესით შესწავლილი და გამოკვლეული არ არის.

რაც შეეხება დავის ძირითად არსს, საქმის მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის აღმასკომის

1989 წლის 2 აგვისტოს № 15.60.2020 გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქალაქე ლ.ხ-ი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ბინით. მითითებული გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელეს, ქალაქ თბილისში, ...ის 3-ში, მე-2 მ/რ-ის №... კორპუსის მე-3 სადარბაზოს მე-4 სართულზე, მარჯვენა მხარეს, სამ სულზე, აღრიცხვიდან მოხსნით, გამოეყო 42.21 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. გადაწყვეტილებაში ასევე მიეთითა, რომ დანარჩენი წევრების ბინით დაკმაყოფილება განხორციელდებოდა 2-ოთახიანი ნომენკლატურის ბინების მიღების შემდეგ. დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 4 მაისის №... გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადება და ქალაქ თბილისში, ...ის დასახლება ...-ში, მე-2 მ/რ-ის კორპუს №33-ში, შენობა №1-ის მე-4 სართულზე მდებარე №15 ბინაზე (ფართი 62,07 კვ/მ) განხორციელდა სახელმწიფოს უფლების რეგისტრაცია. ამასთან, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 ივლისის ამონაწერით დასტურდება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ზემოაღნიშნული უძრავი ქონება და-რეგისტრირდა თ. და გ. გ-ების სახელზე.

საქმის მასალების მიხედვით, დასტურდება, რომ ლ.ხ-მა 2021 წლის 14 აპრილს განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და აღნიშნა, რომ სადავო №15 ბინა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 26 აპრილის №1/1-1370 ბრძანების საფუძველზე, დარეგისტრირდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელზე. აღნიშნული კორპუსი ჯერ კიდევ ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 2 აგვისტოს № 15.60.2020 გადაწყვეტილებით განაწილდა მოქალაქეებზე, მათ შორის, ლ.ხ-ზე. ამავე განცხადებით, მან მოითხოვა წერილობითი ინფორმაცია, თუ ვის ბალანსზე იყო ზემოაღნიშნული მშენებარე კორპუსი 2016 წლამდე, რის საფუძველზე გადაეცა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სად ინახებოდა აღნიშნულ კორპუსთან დაკავშირებით რაიკომის გადაწყვეტილებები და რატომ არ იქნა მოსარჩელის სახელზე არსებული დოკუმენტები გათვალისწინებული სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემისას. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 20 აპრილის წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ სადავო ფართი 2016 წლის 4 მაისიდან 2016 წლის 25 ივლისამდე რეგისტრირებული იყო სახელმწიფოს საკუთრებაში. 2016 წლის 25 ივლისიდან მიმდინარე პერიოდამდე კი, სადავო ფართზე რეგისტრირებულია თ. გ-ას და გ. გ-ას თანასაკუთრების უფლება. ამავე წერილით ლ.ხ-ს განემარტა, რომ ცნობა 2016 წლამდე კორპუსის მესაკუთრის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ იყო დაცული და სამსახური მოკლებული იყო შესაძლებ-

ლობას აღნიშნულზე გაეცა ინფორმაცია. საქმეში წარმოდგენილია ასევე ი/მ დამოუკიდებელი ექსპერტის, აუდიტორის – დ.რ-ის 2021 წლის 14 მაისის №... დ.რ. ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ ქალაქ თბილისში, ...ის დასახლება ...-ში, მე-2 მ/რ-ის კორპუს №33-ში არსებული 42,41 კვ.მ საცხოვრებელი ბინა, რომელიც უნდა გადაეცათ მოქალაქე ლ.ხ-ისათვის, დღეისათვის მომატებული ფართობითა რეგისტრირებული (ს/კ №...), მისი ფართობი შეადგენს 62,07 კვ.მ-ს და მისი მესაკუთრეები არიან თ. და გ. გ-ები, ხოლო ამ კორპუსში არსებული №15 საცხოვრებელი ბინის (ფართობი 42,41 კვ.მ) ღირებულება, რომელიც უნდა გადაეცათ ლ.ხ-ისათვის, განისაზღვრება 73000 ლარით.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკონკრეტებულია, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.

საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, განმარტავს, რომ კანონმდებლობით ცალსახად არის დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულება, სრულად აანაზღაუროს მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანი, თუკი კუმულატიურად არსებობს ზიანის ანაზღაურების შემდეგი წინაპირობები: 1. საჯარო მოსამსახურის მიერ ჩადენილია მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ქმედება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. უმოქმედობა ატარებს უკანონო ხასიათს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ მოვალეობებს, არ ახორციელებს სავალდებულო მოქმედებას; 2. დამდგარია შედეგი პირისთვის

ზიანის მიყენების სახით; 3. არსებობს პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირი ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. უნდა დადასტურდეს, რომ ზიანი წარმოიშვა სწორედ უკანონო ქმედების შედეგად; 4. ზიანის მიმყენებელი უნდა მოქმედებდეს ბრალეულად.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. იმავე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად კი, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. ამრიგად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრულად, რაც გულისხმობს თავდაპირველად დაზარალებულისთვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის საკითხის განხილვას, ხოლო თუ ეს ფაქტობრივად შეუძლებელია ან არათანაზომიერ დანახარჯებს საჭიროებს, მაშინ – ზიანის ფულადი სახით სრულად ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მიუთითოს სადავო პერიოდში მოქმედ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. დასახელებული კანონის პირველი მუხლის მე-6 ნაწილით, კანონმდებელმა სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის განმახორციელებელ ორგანოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მიიჩნია. ამავე კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ფორმებია: ა) აუქციონი; ბ) პირდაპირი მიყიდვა: ბ.ა) პირდაპირი მიყიდვა; ბ.ბ) პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე; გ) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით, ⁶³ და მე-10 მუხლებით დადგენილი წესით და პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ქონების მმართველის მიერ, ამავე კანონის 18¹ მუხლით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელე მატერიალური ზია-

ნის ანაზღაურებას ითხოვს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედებების საფუძველზე. აღნიშნული მოთხოვნის დასასაბუთებლად მოსარჩელე მიუთითებს, რომ 1990-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, საბინაო ფონდი გაუქმდა, ბინათმშენებლობის პროცესი შეჩერდა და კანონმდებლობაში წარმოიქმნა ხარვეზები, რის გამოც მან საცხოვრებელ ბინაში შესახლება ვერ შეძლო. ამის შემდეგ სადავო კორპუსში არსებული ბინები თვითნებურად დაიკავეს დევნილებმა, ასევე მიიერთეს სხვა ფართებიც. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2016 წელს სადავო უძრავი ფართი დაარეგისტრირა სახელმწიფო საკუთრებად, თუმცა დარეგისტრირებამდე არ გამოურკვევია მისი სამართლებრივი მდგომარეობა. სააგენტომ სადავო ფართი დარეგისტრირების შემდეგ გადასცა დევნილთა სამინისტროს, ხოლო ამ უკანასკნელმა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაასხვისა თ. და გ. გ-ებზე. მოსარჩელემ, იმ გარემოების მხედველობაში მიღების შედეგად, რომ სადავო ფართი უკვე გასხვისებულია და ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის შემთხვევაშიც კი, სადავო ბინის მოსარჩელისთვის დაბრუნება შეუძლებელი იქნება კეთილსინდისიერი შემძენების გამო, ფართის სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

საკასაციო პალატა, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებებისა და კასატორის პოზიციის მხედველობაში მიღებით, მიიჩნევს, რომ თავდაპირველად ხანდაზმულობის საკითხის შეფასების, შემდეგ კი მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობისა და მისი ოდენობის დადგენამდე, შესაფასებელი და შესამოწმებელია რიგი საკითხები, რომლებზეც სააპელაციო პალატას საერთოდ არ უმსჯელია. კერძოდ, გამოსარკვევია, სადავო კორპუსში დევნილები სახელმწიფოს მიერ არიან შესახლებული თუ თვითნებურად; 1990-იანი წლებიდან მოყოლებული რატომ არ მოითხოვა ლ.ხ-მა სადავო ფართის პრივატიზება; ამასთანავე, დასადგენია, არის თუ არა მოსარჩელის სახელზე პრივატიზებული სხვა ფართი, რაც მოცემულ შემთხვევაში გამორიცხავდა სადავო ბინის პრივატიზებას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული საკითხები სრულყოფილად არ არის შესწავლილი, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენასა და შეფასებას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის. ფაქტების სწორად დასადგენად სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მხარეთა განმარტებებზე, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს მისთვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-19 მუხლებით მინიჭებული მტკიცებულებათა გამოთ-

ხოვის შესაძლებლობა, ვინაიდან სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება დამოკიდებულია გამოსაკვლევი საკითხების სრულყოფილად დადგენაზე, რათა შემდეგ შეფასდეს ზიანის არსებობისა და მისი ანაზღაურების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ იმსჯელა სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებზე, არ შეაფასა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი, ზუსტად არ განსაზღვრა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის მომენტი და ასევე არ გამოიკვლია ზემოთ მითითებული გარემოებები. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო დაკავების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1340(კ-20)

30 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული წესით დაკავების უკანონოდ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 11 იანვარს გ. რ.-ამ და ლ. ხ.-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ქ. თბილისის პროკურატურის, ე. ბ.-ისა და ი. კ.-ის მიმართ.

მოსარჩელებმა სარჩელის არაერთხელ დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მოითხოვეს 2015 წლის 21 ნოემბერს გ. რ.-ას და 2015 წლის 26 თებერვალს ლ. ხ.-ის ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 12 იანვრის №20/11-69939 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 18 თებერვლის №408180 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 8 თებერვლის №MIA71600312487 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 22 თებერვლის №20/11-445400 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის 2016 წლის 13 იანვრის №13/01-2040 გადაწყვეტილების და ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფრო-

სის მოადგილის 2016 წლის 17 თებერვლის №13/01-9788 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის 2016 წლის 15 თებერვლის №13/01-9274 გადაწყვეტილების და ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის მოადგილის 2016 წლის 4 მაისის №13/01-28294 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ძალაში შესვლის დღიდან, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის, თბილისის პროკურატურისა და ე. ბ-ისთვის გ. რ-ას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრება 25000 ლარის ოდენობით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის, თბილისის პროკურატურისა და ი. კ-ისთვის ლ. ხ-ის სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის 25000 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელეთა განმარტებით, გ. რ-ა არის პროფესიით ჟურნალისტი და იგი ამ საქმიანობას ახორციელებს ყოველდღიურად. საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს ...ის მეთაურის – ე. ბ-ის მიერ 2015 წლის 21 ნოემბერს, 08:20 საათზე გ. რ-ა დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით ქ. თბილისში, ... ხეობის – ახალი გზის მიმდებარედ, იმ საფუძველით, რომ მან, სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად, საამისოდ გამოუყოფელ ადგილას თვითნებურად განათავსა პლაკატი. დაკავებას წინ უძღოდა მის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. ორივე ოქმი შეადგინა გ. ბ-ემ. მოსარჩელის განმარტებით, იგი ახორციელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას, კერძოდ, საკუთარი კამერით აფიქსირებდა უკვე განთავსებულ ბანერს და მას ბანერის განთავსებაში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს ...ის მეთაური ე. ბ-ე პატაკში გამოთქვამდა ვარაუდს, რომ „ვინაიდან, გ. რ-ას მხრიდან, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას, იგი დააკავა ადმინისტრაციული წესით“. მოსარჩელის განმარტებით, მისი დაკავების მიზეზი იყო მხოლოდ სამართალდარღვევის სავარაუდო ჩადენა.

2015 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-

ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოდან შევიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები გ. რ-ას მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის თაობაზე. სასამართლოს სხდომაზე ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სახაზო – საპატრულო სამმართველოს ...ის მეთაურმა, ე. ბ-ემ განმარტა, რომ 2015 წლის 21 ნოემბერს, გამთენიისას, ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და მოძრაობდა ...ს ხეობის ტერიტორიაზე ე.წ. ახალ გზაზე, რადროსაც მთაზე შენიშნა რამდენიმე პიროვნება, რომლებიც მთის ფერდზე ბანერს ამონტაჟებდნენ. მათ შორის იყო პირი, რომელიც ვიზუალურად, აღნაგობით, ჩაცმულობით ჰგავდა გ. რ-ას, ხელში ეჭირა ვიდეოკამერა და ეხმარებოდა სხვა პირებს ბანერის განთავსებაში. გზიდან ხსენებულ ფერდობზე ასვლა შეუძლებელი იყო და გაემართა ასასვლელი გზის მოსაძებნად. გზა ვერ ნახა და გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც კვლავ დაბრუნდა ახალ გზაზე, შენიშნა გ. რ-ა, რომელიც გზასთან ახლოს იდგა და ვიდეოკამერა ეჭირა. ამის შემდეგ, გ. რ-ა ადმინისტრაციული წესით დააკავეს. ე. ბ-ემ განმარტა, რომ შორი მანძილის გამო გ. რ-ა სახეზე ვერ დაინახა და ამოცნობას ვერ შეძლებდა, თუმცა ტანისამოსით და აღნაგობით მთაზე შემჩნეული პირი გ. რ-ას ჰგავდა, ამასთან, ვიდეოკამერაც ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით (საქმე №4/7846-15) გ. რ-ას მიმართ დაწყებული №4/7846-15 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, ვინაიდან გ. რ-ას მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არ დადასტურდა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადგინდა, რომ გ. რ-ა ბანერის განთავსებაში მონაწილეობდა. სასამართლოს მითითებით, მხოლოდ აღნაგობა, ტანისამოსი და ვიდეოკამერის არსებობა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პიროვნების იდენტიფიცირების საკმარის მტკიცებულებად.

რაც შეეხება ლ. ხ-ის ეპიზოდს, საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორმა, ი. კ-ემ 2015 წლის 26 თებერვალს, ქ. თბილისში, ...ს ქ. №12-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული წესით დააკავა ლ. ხ-ი, რომელიც დამკავებელი პირის აზრით, ...სთან შეკრებილ მოქალაქეებთან ერთად, ამბობდა უცენზურო სიტყვებს. იგი არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის კანონიერ მოთ-

ხოვნას – დაეცვა წესრიგი და დაკავებისას გაუწია წინააღმდეგობა, რა-ზედაც შედგა ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლებით (პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ამ მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენის საფუძვლით. ორივე ოქმი შედგენილ იქნა პატრულ-ინსპექტორ ი. კ-ეის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2015 წლის 27 თებერვალს, 10:56 საათზე, საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოდან შევიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები ლ. ხ-ის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის დადგენილებით (საქმე №4/1176-15) ლ. ხ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით და ახსნა-განმარტებებით ლ. ხ-ის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არ დადასტურდა. ამასთან, ლ. ხ-ი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და სახდელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 300 ლარის ოდენობით.

საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის დადგენილება (საქმე №4/1176-15) არ გასაჩივრებულა მხარეთა მიერ და შევიდა კანონიერ ძალაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დაწყებული წარმოება გასაჩივრდა ზემდგომ სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის №4/ა-268-15 დადგენილებით საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის №4/1176-15 დადგენილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით ლ. ხ-ის სამართალდამ-

რღვევად ცნობის ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას მიიჩნია, რომ ლ. ხ-ისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არ არსებობდა საკმარისი ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ლ. ხ-ის მხრიდან პოლიციის მუშაკის არც შეურაცხყოფის და არც წინააღმდეგობის გაწევის ფაქტი არ დასტურდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხავი გარემოება – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობა, რის გამოც, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 მაისის დადგენილებით (საქმე №4/2927-15), შეწყდა ლ. ხ-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №აა288104 ოქმის საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 მაისის განჩინებით, 2015 წლის 21 ნოემბერს გ. რ-ას ადმინისტრაციული წესით დაკავების უკანონოდ აღიარების, 2015 წლის 26 თებერვალს ლ. ხ-ის ადმინისტრაციული წესით დაკავების უკანონოდ აღიარების, ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის მიერ 2016 წლის 13 იანვრის №13/01-2040 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის მოადგილის 2016 წლის 17 თებერვლის №13/01-9788 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის 2016 წლის 15 თებერვლის №13/01-9274 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის მოადგილის 2016 წლის 04 მაისის №13/01-28294 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნათა ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს გ. რ-ამ და ლ. ხ-იმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით გ. რ-ასა და ლ. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 მაისის განჩინება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. რ-ასა და ლ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ე. ბ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ გ. რ-ას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ი. კ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ ლ. ხ-ის სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ე. ბ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ გ. რ-ას სასარგებლოდ სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის შესადგენად გაწეული ხარჯის ანაზღაურება 12 ლარის ოდენობით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ი. კ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ ლ. ხ-ის სასარგებლოდ სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობის შესადგენად გაწეული ხარჯის ანაზღაურება 12 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 12 იანვრის №20/11-69939 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 18 თებერვლის №408180 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 8 თებერვლის №MIA71600312487 გადაწყვეტილების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 22 თებერვლის №20/11-445400 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. რ-ამ და ლ. ხ-მა, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ე. ბ-ემ და ი. კ-ემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასა-

ჩივრეს გ.რ-ამ და ლ.ხ-იმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ე. ბ-ეის და ი. კ-ეის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გ.რ-ასა და ლ.ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. გ.რ-ასა და ლ.ხ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე ამ ნაწილში არსებითად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ.რ-ასა და ლ.ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ე. ბ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ გ.რ-ას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ი. კ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ ლ.ხ-ის სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ე. ბ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ გ.რ-ას სასარგებლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის შესადგენად განეული ხარჯის ანაზღაურება 12 ლარის ოდენობით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ი. კ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ ლ.ხ-ის სასარგებლოდ სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის შესადგენად განეული ხარჯის ანაზღაურება 12 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელები ითხოვენ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და მოთხოვნის საფუძველად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ისინი უკანონოდ დააკავეს ადმინისტრაციული წესით საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა. სასამართლოს დადგენილებით შეწყდა საქმის წარმოება სამართალდარღვევის არარსებობის გამო, რაც მათი მოსაზრებით, წარმოადგენს მარეაბილიტირებელ გარემოებას სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლ. ხ-ი დაკავებულ იქნა 2015 წლის 26 თებერვალს, 16:40 საათზე. დაკავების ოქმში დაკავების მოტივად მითითებულია, რომ თბილისში, ...ს ქ. №12-თან იგი იგინებოდა, ამბობდა უცენზურო სიტყვებს, არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას, გაუნია მათ წინააღმდეგობა, რის გამოც დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე მუხლების საფუძველზე. იმავე დღეს ლ. ხ-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №აა288104, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. დადგენილია, რომ 2015 წლის 26 თებერვალს ლ. ხ-ი გათავისუფლდა ხელწერილის საფუძველზე, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის დადგენილებით (საქმე №4/1176-15) ლ. ხ-ის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 მაისის დადგენილებით (საქმე №4/2927-15) შეწყდა ლ. ხ-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №აა288104 ოქმის საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოება. საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი გახდა ლ. ხ-ის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დაუდასტურებლობა.

ამასთანავე, დადგენილია, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს, 08:20 საათზე, დაკავებულ იქნა გ. რ-ა. დაკავების ოქმში დაკავების მოტივად მითითებულია, რომ გ. რ-ამ, დაუდგენელ პირებთან ერთად, საამისოდ გამოუყოფელ ადგილას თვითნებურად განათავსა პლაკატი. იმავე დღეს გ. რ-ას მიმართ შედგენილია №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. გ. რ-ა გათავისუფლდა 2015 წლის 21 ნოემბერს ხელწერილის საფუძველზე. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით (საქმე №4/7846-15) გ. რ-ას მიმართ დაწყებული №4/7846-15 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, რადგან მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა არ დადასტურდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული დავის სწორად გადაწყვეტისათვის უნდა განიმარტოს, რამდენად ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირზე და ადმი-

ნისტრაციული დაკავების უკანონობა გულისხმობს თუ არა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან საქართველოს პროკურატურაში დაკავების გასაჩივრების შედეგად დაკავების უკანონოდ ცნობას, რამეთუ მოპასუხეთა წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ მოსარჩელების მოთხოვნა – ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან, მართალია, მათ მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, მაგრამ ადმინისტრაციული დაკავება უკანონოდ არ არის ცნობილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ასკ-ის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ჩარევა თავისუფლების ძირითად უფლებაში, ემსახურება ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორიცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, საქმის დროული და სწორი განხილვა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილების აღსრულება. პირის ადმინისტრაციულ დაკავებას კანონი მხოლოდ მას შემდეგ ითვალისწინებს, როცა ამოიწურება ზემოქმედების სხვა ზომები. პირის ადმინისტრაციული დაკავება არის ოქმის შემდგენისთვის მინიჭებული შესაძლებლობა, კანონით დადგენილ შემთხვევაში და წესით დააკავოს პირი სამართალდარღვევის აღსაკვეთად, სამართალდარღვევაზე რეაგირების მოსახდენად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოქმედების სხვა ზომები ამოწურულია. კანონმდებლობით, ასევე, გათვალისწინებულია დაკავების გასაჩივრების წესი. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელებმა, ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრების მიზნით, მიმართეს როგორც პროკურატურას, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა მათ მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ადგილი არ ჰქონია უკანონო ადმინისტრაციულ დაკავებას.

სასამართლოს განმარტებით, მართალია, მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავება კანონიერად არის მიჩნეული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის პროკურატურის მიერ, თუმცა დაკავების გასაჩივრებასა და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, რაც იმთავითვე არ გამორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები შეწყდა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, რადგან იგი კანონით დადგენილი წესით ვერ დადასტურდა, რაც ავტომატურად განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. ადმინისტრაციული დაკავება ემსახურება კონკრე-

ტულ მიზნებს – მართლწესრიგის დაცვას, სამართალდარღვევის აღკვეთას, სამართალდამრღვევი პირის მიმართ შესაბამისი სანქციის შეფარდების შესაძლებლობის განხორციელებას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სამართალდარღვევის აღკვეთისთვის საჭირო ფართო უფლებამოსილებებით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ პირის მიმართ ზემოქმედების ისეთი ზომების გამოყენებას, რომლებიც იწვევს პირისთვის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეზღუდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო წესრიგის დაცვა შეუძლებელი იქნება და მოხდება პირთა კანონით დაცული ინტერესების შელახვა. ამასთან, ადმინისტრაციული დაკავებისას არსებული ფაქტობრივი გარემოებები შესაძლებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებს უქმნიდეს დასაბუთებულ ეჭვს, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა და აუცილებელია მისი დაკავება, მაგრამ საქმის განხილვისას და სასამართლო დადგენილებით დადგინდეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია. სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებისთვის პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილების მიღება, ვინაიდან ამგვარი აქტი ადასტურებს, რომ გამართლებულ პირს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მის უფლებებში აღდგენას – მის რეაბილიტაციას. რაც შეეხება აღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს – ქმედების უკანონობას, ქმედების უკანონობა არ უნდა შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევის დადგენით, გამართლებულ პირს უნდა მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა. სასამართლოს განმარტებით, მართალია, პირის ადმინისტრაციული დაკავება ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, უფლებამოსილი ორგანო წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა, პირს, რომლის ქმედებაშიც სამართალდარღვევის ნიშნების არსებობა არ დადასტურდა, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მარეაბილიტირებელი გარემოება და აქედან გამომდინარე, ქმედების უკანონობაც, რაც არ უნდა იქნეს გაიგივებული მხარის მიერ დაკავების

გასაჩივრების აუცილებლობასთან. პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეწყვეტით დასტურდება, რომ პირს არ ჩაუდენია სამართალდარღვევა, რომლის აღკვეთის ან რომელზეც სათანადო რეაგირების მოხდენის მიზანსაც ემსახურება ადმინისტრაციული დაკავება. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გარემოებების არსებობა საკმარისია პირისთვის ზიანის ანაზღაურებისთვის და აუცილებელი არ არის, პირს გასაჩივრებული ჰქონდეს ადმინისტრაციული დაკავება ან დაკავება უკანონოდ იქნეს აღიარებული შესაბამისი ორგანოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს არ ექნებოდა ზიანის ანაზღაურების რეალური შესაძლებლობა.

ამდენად, საქალაქო სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ დაკავებასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას შორის განსხვავება არის მის ინტენსივობასა და ხარისხში, ამასთან, ადმინისტრაციული დაკავება არის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის სახეს, თუმცა თავისი არსით, პირისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების – თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა და დამდგარი ნეგატიური შედეგებით, რაც გამოიხატება კონკრეტულ დაწესებულებაში გარკვეული დროით მოთავსებაში, პირის რეპუტაციაზე გავლენის მოხდენაში, უარყოფითი გავლენის წარმოქმნაში, ისინი ერთმანეთს ჰგვანან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული დაკავება არ ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში.

სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. კანონით ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურება პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისას, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისას. ამდენად, პირის კანონით დაცული სხვა უფლებების შეზღუდვა არ წარმოშობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც გამოწვეულია მორალური ზიანის სპეციფიკით, რამეთუ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული სიკეთის ხელყოფისას პირი გან-

საკუთრებულად განიცდის სულიერ თუ ფიზიკურ ტანჯვას.

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავებით მოხდა ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ უფლებათა შელახვა, რაც წარმოადგენს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე. ამასთან, ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად უნდა დაეკისროთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და ადმინისტრაციული დაკავების უშუალოდ განმასხორციელებელ პირებს – ე.ბ.-ესა და ი. კ-ეს.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), კერძოდ: შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის ან სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენის ან შენახვის ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების, ოჯახში ძალადობის ჩადენის, შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის, პროსტიტუციის, საზოგადოებრივი ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის და ცხოველთა სამყა-

როს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

კონკრეტულ ვითარებაში კი, ადმინისტრაციული დაკავება განახორციელებს სწორედ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, შესაბამისად, დამდგარი ზიანი სწორედ მათი ქმედების პირდაპირი და გარდაუვალი შედეგია და ზიანის მიმყენებლებს წარმოადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ე. ბ-ე და ი. კ-ე.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას, სასამართლოს განმარტებით, მას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია, სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად, არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მოპასუხის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.

საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელები რამდენიმე საათის განმავლობაში იყვნენ დაკავებულნი, რა დროსაც შეიზ-

ლუდა მათი თავისუფალი მიმოსვლის უფლება, შეილახა პირის ღირსება, თუმცა, რადგან ისინი გათავისუფლდნენ ხელწერილის საფუძველზე, სამართალდარღვევის მასალები გონივრულ ვადაში და დროულად იქნა წარდგენილი სასამართლოში, მიიჩნია, რომ მორალური ზიანის ოდენობა, თითოეული მოსარჩელისათვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს უფროსის 2016 წლის 12 იანვრის №20/11-69939 წერილით გ. რ-ას განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის შინაარსი, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ზომად ადმინისტრაციულ დაკავებას ითვალისწინებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის, ინსპექტირებისა და ფინანსური დარღვევების შემოწმების მთავარი სამმართველოს დისციპლინური დევნის პირველი სამმართველოს უფროსის 2016 წლის 8 თებერვლის №MIA71600312487 წერილით ი. პ-ის, №2891077 და №2891161 განცხადებებთან დაკავშირებით, ეცნობა, რომ შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, შს სამინისტროს მოსამსახურის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 18 თებერვლის №408180 გადაწყვეტილებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 22 თებერვლის №20/11-445400 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან მიმართებაში საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 18 თებერვლის №408180 წერილით გ. რ-ას, 2016 წლის 5 თებერვლის №287296 ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად, ეცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე ადმინისტრაციული დავის ადმინისტრაციული წესით დაკავების უკანონოდ აღიარების თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის 2016 წლის 22 თებერვლის №20/11-445400 წერილით ლ. ხ-ისა და გ. რ-ას ადვოკატს - ი. პ-ის, 2016 წლის 5 თებერვლის №289790 ადმინისტრაციული საჩივრისა და №290046 განცხადების პასუხად, ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვე-

პუნქტის თანახმად არსებობდა საჩივრისა და განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

მითითებული ნორმებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია მოსარჩელების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული დაკავების ოქმები და საჩივრის განხილვის ფარგლებში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 22 თებერვლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 18 თებერვლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, ე. ბ-ემ და ი. კ-ემ, ასევე, გ. რ-ამ და ლ. ხ-იმ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს გ. რ-ამ და ლ. ხ-იმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ე. ბ-ის და ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გ. რ-ასა და ლ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ე. ბ-ისა და ი. კ-ის სააპელაციო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების მიზნით ყურადღება გაამახვილა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებაზე, რომლის თანახმად, პოლიციელის საქმიანობის კონტროლის წესი დადგენილია „პოლიციის შესახებ“ კანონის IX თავით. აღნიშნული კანონის 56-ე მუხლი ითვალისწინებს პოლიციელის ქმედების გასაჩივრების პროცედურას, რომლის პირველი პუნქტით პირს, რომელიც მიიჩ-

ნევს, რომ პოლიციელის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში. იმავე მუხლის მე-3 პუნქტით საპოლიციო ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე ხორციელდება, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრების შესაძლებლობას დაინტერესებული პირის მიერ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურატურაში (სუსგ №ბს-1143-1137(2კ-17), 02.10.2018წ.).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად იმსჯელა მოსარჩელეების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული დაკავების ოქმების კანონიერებაზე და დაადგინა საჩივრის განხილვის ფარგლებში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონშესაბამისობა. სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. სააპელაციო სასამართლომ მოიხმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატის 2018 წლის 2 ოქტომბრის (№ბს-1143-1137(2კ-17)) და 2014 წლის 10 აპრილის (№ბს-648-623(2კ-13)) გადაწყვეტილებები, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი პირადი არაქონებრივი უფლებების მატერიალური სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზების საშუალებას იძლევა მხოლოდ ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებიდან და არსებობდეს ბრალეული, განზრახი ან უხეშო გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული ორგანოს მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას ან/და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ამდენად, მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

სააპელაციო პალატამ სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მიზნით მიუთითა მსგავსი კატეგორიის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის (საქმე №ბს-1143-1137(2კ-17)) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ შემდეგ განმარტებაზე: „საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილია სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ მოვალეობის დარღვევის შესახებ ფაქტის დადგენის შესაძლებლობა, ქმედების გასაჩივრების წესი და პროცედურა. აღნიშნული წესით პოლიციელის მიერ განხორციელებული ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საფუძვლად დაედოს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა

და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (ასკ-ის მუხლი 17.1). მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით გ. რ.-ასა და ლ. ხ.-ის დაკავების ფაქტის უკანონობა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჩივრების განხილვის ფარგლებში არ იქნა დადასტურებული, რის გამოც მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ე. ბ.-ის, ი. კ.-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. რ.-ამ და ლ. ხ.-იმ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების განმარტებით, სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით, ასევე, კონვენციის მე-7 ოქმის 3.5 მუხლით

(კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის). აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლშიც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი არის ზოგადი ხასიათის ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირს შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, ზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, ზაკ-ის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

კასატორები მიუთითებენ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამას-

ნორბელი სამუშაოების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უბეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

კასატორები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებენ მათთვის თავისუფლების აღკვეთას, გადაადგილების შეზღუდვას, საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებას, მათ მიმართ პირადი და ნივთების გასინჯვის უკანონოდ ჩატარების ფაქტებს.

კასატორების განმარტებით, სააპელაციო პალატამ ცალკე სამართლებრივი მნიშვნელობა მიანიჭა მოსარჩელეთა დაკავებას და ცალკე სამართლებრივ ქრილში შეაფასა მოსარჩელეთა (კასატორთა) მიმართ საქმის წარმოების დასრულება იმ საფუძვლით, რომ მათ ქმედებებში არ არსებობდა სამართალდარღვევის ნიშნები და ამ ორი საკითხის ცალკე შეფასებით მიიღო ის შედეგი, რომ მოსარჩელეთა დაკავება არ წარმოადგენდა უკანონო ქმედებას, რამეთუ თავად დაკავების ფაქტი (დაკავების საპოლიციო მოქმედება) იყო კანონიერი. რეაბილიტაციის საფუძველს ქმნის არა ცალკეული საპროცესო დოკუმენტის კანონიერ საწყისებზე მიღება, არამედ დამდგარი შედეგი – პირის უკანონოდ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ფაქტი, რაც ამ შემთხვევაში სახეზეა. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის ნორმატიული დანაწესი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას არ უკავშირებს ბრალის არსებობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების იურიდიულ საფუძველს ქმნის არა ცალკეული მოხელის ბრალეულობა, არამედ პირის გამამართლებელი შედეგის დამდგენი სასამართლო აქტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირმა სახელმწიფოსაგან გაუმართლებლად განიცადა ის ზემოქმედება, რაც უკავშირდება მის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში უკანონოდ მიცემას და ამგვარ პასუხისგებაში მიცემის თანმდევად – ადმინისტრაციულ დაკავებას. შესაბამისად, მითითებული მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია, ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ პასუხისგებაში მიცემასთან, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა.

კასატორების განმარტებით, მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის უკანონოდ დაწყება, საქმის სასამართლოში განხილვამდე დაკავების, როგორც იძულების ღონისძიების გამოყენება,

ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს პირისთვის მინიმალური მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, რამეთუ სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოსარჩელებმა მათი უკანონო დაკავება სათანადო წესით და ვადაში გაასაჩივრეს, თუმცა დაკავების კანონიერებაზე საჩივრის განმხილველი ორგანოს უარყოფითი გადაწყვეტილება არ ადასტურებს მათი დაკავების კანონიერებას. კასატორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ უკანონოდ დაკავება არ წარმოშობს ზიანს დაკავებულისათვის.

კასატორების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო აქტებით მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავება კანონიერად არის მიჩნეული, დაკავების გასაჩივრებასა და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, რაც იმთავითვე არ გამორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება, სამართალდარღვევის ფაქტების არარსებობის გამო, რაც ავტომატურად განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. ამდენად, ვინაიდან, დადგენილია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით მოსარჩელეთა მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმის წარმოება შეწყდა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო, ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევა წარმოადგენს თანმდევ შედეგს.

კასატორების განმარტებით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა და მისგან გამომდინარე, დაკავების მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე (გამართლებისთანავე), სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევა უკანონოდ, რადგან ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას.

ამასთან, კასატორების განმარტებით, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მიღებულია მხარეთა სავალდებულო მოწვევის გარეშე, რამეთუ არც მხარეებს და არც მათ წარმომადგენელს არ მიუღიათ კანონით დადგენილი წესით შეტყობინება სასამართლო სხდომის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.

კასატორები შუამდგომლობენ მოწინააღმდეგე მხარისათვის, თითოეული კასატორის სასარგებლოდ, დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად, სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურების დაკისრებას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის დახმარებისათვის – 7000 ლარის ოდენობით.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის – ადვოკატის დახმარებისათვის გადასახდელი თანხის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარი დაუშვებელია მისი გადაუხდელობისა და შესაბამისი ქვითრის საქმეში არარსებობის გამო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებაში (საქმე №ბს-1330-1315(კ-11)) ჩამოყალიბებული, ადვოკატების ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებული ხსენებული მიდგომა თავსებადია და გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული სტანდარტიდან.

კასატორები შუამდგომლობის სახით მიუთითებენ, რომ მოწინააღმდეგე მხარეს, კასატორების სასარგებლოდ, ინდივიდუალურად უნდა დაეკისროს: მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურება – 70 ლარის ოდენობით; ასევე, საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას აპელანტებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება; მტკიცებულებათა მოძიებამოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 20 ლარის ოდენობით; საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად, მე-3 ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცეფლოლოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 70 ლარის, საკასაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 40 ლარის, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისათვის – 0.10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის – 60 ლარის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯის – 10 ლარის, ასევე, აპელანტების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხა-

დების პერიოდში აუცილებელ კვებაზე განეული გაზრდილი დანახარჯების – 100 ლარის, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის საკომპენსაციოდ – 4 000 ლარის ოდენობით ანაზღაურება. საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 500 ლარის ოდენობით.

კასატორები მიუთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე და 53-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე და აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ნორმის საფუძველზე გამოუყენებელ საპროცესო უფლებებზე ცალკე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს კანონი, ანუ სამართლებრივად დაუშვებელია საპროცესო უფლების მატერიალურ უფლებასთან გათანაბრება და თანმდევ საპროცესო უფლებებზე სარჩელის წარდგენა (სუსგ №ბს-1665-1619(კ-08), 02.06.2009წ.).

კასატორები ასევე შუამდგომლობენ საკასაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საბანკო სერვისით მომსახურებაზე განეული 1 ლარის დაკისრებას მოწინააღმდეგე მხარისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის განჩინებით გ. რ-ასა და ლ. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელეთა ინტერესს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მათი ადმინისტრაციული წესით უკანონოდ დაკავების მოტივით, რასაც თან ახლდა პირადი და ნივთების გასინჯვა, გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრება. ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში, უნდა განიმარტოს – წარმოშობს თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, როგორც პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევის საფუძველს და ვრცელდება თუ არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირზე.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, მიზანშეწონილად მიიჩნ

ნევს, გაავლოს პარალელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ თავისუფლების შემზღუდველ ღონისძიებებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სხვადასხვაგვარ მტკიცებით სტანდარტს აწესებს სისხლის სამართლის პროცესის თითოეული სტადიისთვის. ესენია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტერმინები: „დასაბუთებული ვარაუდი“, „ალბათობის მაღალი ხარისხი“ და „გონივრულ ეჭვს მიღმა“, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოადგენენ სახელმძღვანელო სტანდარტებს. თუმცა მათ განსხვავებული დანიშნულება და გამოყენების სხვადასხვა სტადიები აქვთ. სისხლის სამართლის პროცესის თითოეულ სტადიაზე, სწორედ ამ სტანდარტების გამოყენებით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და თუ სასამართლოს ერთობლიობაში შეექმნება საკმარისი კანონიერი საფუძველი, მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. სისხლის სამართლის საქმის განხილვის ყველა ეტაპზე მხარეები თავიანთ პოზიციებს ასაბუთებენ მტკიცებულებების მეშვეობით, რომლებიც ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადცაა წარდგენილი. სამივე სტანდარტი – „დასაბუთებული ვარაუდი“, „ალბათობის მაღალი ხარისხი“ და „გონივრულ ეჭვს მიღმა“, სხვადასხვა ხარისხით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ წარდგენილი მტკიცებულებები საკმარისია დასკვნისათვის – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. ამ მტკიცებითი პროცესის განმავლობაში წარდგენილ ინფორმაციას აფასებს მოსამართლე, რაც საბოლოო ჯამში, ასახვას ჰპოვებს განაჩენში, სადაც მოცემულია სასამართლოს დასკვნა იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერაზე, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო ან სასამართლოს დასკვნა ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლზე, რომლითაც გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის უდანაშაულობის გამოთქმას ან მისი სახელის გამტყვ ფორმულირებებს. მოცემული საქმისათვის მოხმობილი ნორმის დისპოზიცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ პირის გამართლების შემთხვევაში გამოთქმება დასახელებული სამივე სტანდარტით მითითება გამართლებულის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, რადგან უფრო მაღალი სტანდარტით პირის გამართლება, საფუძველს აცლის უფრო დაბალი სტანდარტით გამოთქმულ ვარაუდს დანაშაულის შესახებ.

ჩადენაზე. ამდენად, გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს, რომ აღარ არსებობს მათ შორის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დანაშაულის შესაძლო ჩადენის ან/და ალბათობის მაღალი ხარისხით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა. გამამართლებელი განაჩენი უარყოფს ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის დამადასტურებელ, საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და აღარ ტოვებს სივრცეს რომელიმე სტანდარტის საფუძველზე გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების კანონიერების მტკიცებისათვის. სხვაგვარი განმარტება შეეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებულ უდანაშაულობის პრეზუმფციას.

სისხლის საპროცესო-სამართლებრივი დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებად მიიჩნევს ისეთ საპროცესო ინსტიტუტებს, როგორიცაა აღკვეთის ღონისძიებები, დაკავება, ქონებაზე ყადაღის დადება, თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება, საპროცესო კონფისკაცია და სხვა. (შეადარე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის №2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-21). საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც დაკავების სავალდებულო საფუძვლად მიუთითებს პირის მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ისეთი დანაშაულის ჩადენაზე, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და მხოლოდ ამის შემდგომ ადგენს კანონმდებელი დამატებით სხვა წინაპირობებს, როგორიცაა მიმალვა, სასამართლოში არ გამოცხადება, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა და სხვ. როგორც უკვე აღინიშნა, უფრო მაღალი სტანდარტით პირის გამართლება, საფუძველს აცლის უფრო დაბალი სტანდარტით გამოთქმულ ვარაუდს დანაშაულის შესაძლო ჩადენაზე, რაც ასევე მოიცავს თავისუფლების შემზღუდველ ღონისძიებებს, რომელთა გამოყენებისათვის დაწესებულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. ამდენად, პირის გამართლების შემთხვევაში, რეაბილიტაციის მიზნებისათვის დგინდება, მათ შორის, დაკავების, როგორც თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიების გამოყენების უკანონო და გამართლებულს ეძლევა შესაძლებლობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, სხვა გარემოებებთან ერთად, მიუთითოს უკანონო დაკავების შედეგად წარმოშობილ ზიანზეც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან გან-

სხვაგვებით 1984 წლის 15 დეკემბრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ შეიცავს პირის ადმინისტრაციული დაკავებისა თუ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემისათვის მინიმალურ მტკიცებულებით სტანდარტს, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის 1-ლი ნაწილი დაკავების საფუძველად, სხვა გარემოებებთან ერთად, მიუთითებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის მიზანზე, რაც საკასაციო სამართლოს შეფასებით წარმოადგენს ძირითად საფუძველს თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიების გამოსაყენებლად, რამეთუ თვითნებური დაკავება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილთან, რომლითაც სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. თვითნებური დაკავება ასევე არ არის თავსებადი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლთან.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ასევე არ ითვალისწინებს „გამამართლებელი დადგენილების“ გამოტანას ადმინისტრაციული პასუხისგებაში მიცემული პირის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების დაუდასტურებლობის შემთხვევაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოთვლის დადგენილებათა სახეებს, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს – „დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ (267.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით კანონმდებელი ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა შეწყდეს თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი არ არსებობს (სწორედ დასახელებული ნორმის საფუძველზე შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმის წარმოება ლ. ხ-ისა და გ. რ-ას მიმართ). თუმცა გამამართლებელ განაჩენსა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებას შორის, შედეგობრივი თვალსაზრისით, მსგავსებაზე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს და აცხადებს – „არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და

იმავე დანაშაულისათვის“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება სა-
 ყოველთაოდ აღიარებული „ne bis in idem“ პრინციპის ხორცშესხმაა, რო-
 მელიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და
 ეროვნულ დოკუმენტებში, მათ შორის, 1966 წლის საერთაშორისო პაქ-
 ტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 14, პუნ-
 კტი 7) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის
 ევროპული კონვენციის №7 ოქმში (მუხლი 4). აღნიშნული პრინციპი,
 ერთი მხრივ, იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეო-
 რებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეო-
 რე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულე-
 ბის პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწი-
 ფო ორგანოების ბოჭვას. აღნიშნული პრინციპი სახელმწიფო ორგანო-
 ებს აკისრებს პასუხისმგებლობას სისხლისსამართლებრივი დევნის სა-
 თანადოდ განხორციელებისთვის, რადგან ხელისუფლების ორგანოები
 არ არიან უფლებამოსილნი, წარუდგინონ პირს დამატებითი ან უფრო
 მძიმე ბრალდება იმ ქმედების გამო, რომლისთვისაც პირი უკვე გასა-
 მართლებული იყო. შესაბამისად, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნ-
 კტი ადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტიას ინდივიდების ხელისუფლე-
 ბის თვითნებობისგან დასაცავად, რამდენადაც უზრუნველყოფს, რომ,
 თუ პირს ერთხელ დაეკისრება მსჯავრი და მოიხდის სასჯელს ან გა-
 მართლდება კონკრეტული ქმედებისთვის, ის თავისუფალი უნდა იყოს
 შიშისგან, რომ ხელისუფლება იმავე ქმედების გამო კვლავ განახორცი-
 ელეს მის მიმართ დევნას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტე-
 ბით „...განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპიდან გამონაკ-
 ლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ქმედების გამო სამარ-
 თალწარმოება შეიძლება განახლდეს ახლად გამოვლენილი ან აღმოჩე-
 ნილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც გამოვლინდება სამართალ-
 წარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხ-
 დინა სამართალწარმოების შედეგზე და რაც მისი ხელახლა დაწყების
 საფუძველს ქმნის ნათელი, განჭვრეტადი და წინასწარ მიღებული კა-
 ნონმდებლობის საფუძველზე. თუმცა აღნიშნული გამონაკლისების გარ-
 და, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი აბსოლუტურ და
 იმპერატიულ კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. ერთი და
 იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება წარმოადგენს
 პირის თავისუფლების ცალსახა უგულებელყოფას და აზრს უკარგავს
 სამართლებრივი სახელმწიფოს იმგვარ ფუნდამენტურ პრინციპებს, რო-
 გორიცაა სამართლის განჭვრეტადობა და კანონის გარეშე პასუხისმგებ-
 ლობისა და დასჯის აკრძალვა. თუ პირს კანონით დადგენილი პასუხის-
 მგებლობა ერთი ქმედებისთვის რამდენჯერმე შეიძლება დაეკისროს
 და ხელისუფლება არ იზღუდება ამ მიმართებით, იმპერატიული მოთ-

ხოვნა, რომ პირმა წინასწარ იცოდეს, რა სასჯელი დაეკისრება კონკრეტული ქმედებისთვის და შეეძლოს საკუთარი ქცევის შესაბამისად კონტროლი, თავისთავად აზრს მოკლებული ხდება. შესაბამისად, პირის განმეორებით მსჯავრდება არის კონსტიტუციის და მისი ფუნდამენტური პრინციპების მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაბით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-36). კონსტიტუციური პრინციპი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლითაც არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი პირდაპირ არ არის ასახული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის განმხილველი ორგანოები ვალდებული არიან დაცვან ხსენებული პრინციპი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვისას. ამდენად, სამართლებრივი შედეგის მხრივ კიდევ ერთი მსგავსება „გამამართლებელ განაჩენსა“ და „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არ არსებობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებას“ შორის მდგომარეობს მასში, რომ ორივე შემთხვევაში იმავე ქმედების გამო პირის მეორედ პასუხისგებაში მიცემა არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილება შეიცავს სასამართლოს დასკვნას პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედების დაუდასტურებლობის შესახებ და მათ შორის არ არსებობს განსხვავება დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის თვალსაზრისით, რადგან ორივე საფუძველი წარმოადგენს პასუხისგებაში მიცემული პირის მარეაბილიტირებელ გარემოებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშ-

ნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 დეკემბრის, 2015 წლის 27 თებერვლის და 2015 წლის 19 მაისის დადგენილებები უდავოდ წარმოადგენს მოსარჩელეთა რეაბილიტაციის საფუძველს, რადგან თანმდევნი შედეგის სახით უტყუარად დასტურდება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის უსაფუძვლობა და პირის მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიების არამართლზომიერება.

მართალია, მოსარჩელეთა მიმართ დაკავება განხორციელდა ფორმალურად კანონიერების პრინციპის დაცვის საფუძველზე, თუმცა შეწყდა რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება, დადასტურდა, რომ ლ. ხ-ისა და გ. რ-ას მოუწიათ კონსტიტუციით გაწვდილი უფლებებზე შემზღუდავი ზემოქმედების ატანა თმენის ვალდებულების დაკისრების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რადგან ლ. ხ-ი და გ. რ-ა არ არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირები. სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი თავისუფლების მზღუდავი ღონისძიების – დაკავების გამოყენებისას ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფაქტს, ჩარევის ინტენსივობის სხვაობის მიუხედავად მიაჩნია, რომ დასახელებული ღონისძიებების გამოყენების უკანონობის/უსაფუძვლობის დადგენის შემთხვევაში, საქმეთა კატეგორიის სხვაობის მიუხედავად პასუხისგებაში მიცემულ პირთა დარღვეული უფლებები უნდა დაექვემდებაროს აღდგენას. გასათვალისწინებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება სისხლის სამართლის საქმეებზე, რომ უკანონო მსჯავრდების დადასტურებისას, პირისათვის დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დანაწესის არარსებობის შემთხვევაშიც კი (Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia, 12.09.2012წ., განაცხადი №22999/06 § 51). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არარსებობა (დადასტურებული უკანონო დაკავება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, რადგან ლ. ხ-ისა და გ. რ-ას მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევა უკანონოდ, რადგან ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებუ-

ლი პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას. საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ რეაბილიტაცია არის იმ პირის უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებელად დაექვემდებარა პასუხისმგებლობას. პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაა, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. განსახილველ შემთხვევაში ლ. ხ-ისა და გ. რ-ას მიმართ შეწყდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება და სახეზეა მარეაბილიტირებელი გარემოება. შესაბამისად, სკ-ის 1005.3 მიუხლის მიზნებისთვის არსებობს იმ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ უკანონო დაკავებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არ მოქმედებს ცალკე კანონი, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი დევნის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე პასუხისგებაში მიცემულ პირთა გამართლების თუ საქმის შეწყვეტის შემთხვევაში რეაბილიტაციის საფუძვლებს და პირობებს. აქედან გამომდინარე, მარეაბილიტირებელ გარემოებებს ადგენს სასამართლო. საქმის განმხილველი სასამართლო ვერ გამოიკვლევს გამართლების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს. პირის სრულად გამართლების ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სრულად შეწყვეტის შემთხვევაში ყოველი დაპატიმრება ან დაკავება, რომელიც წინ უძღოდა გამამართლებელ განაჩენს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტას, თანამდევნი შედეგის სახით, გამოიწვევს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას. გამონაკლისი წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი, რამდენიმე ქმედების ჩადენისათვის არის პასუხისგებაში მიცემული და სასამართლოს დასკვნა გამართლების ან საქმის შეწყვეტის შესახებ ეხება მხოლოდ ერთ ეპიზოდს ან ერთი ქმედების შემადგენლობას და გამოყენებული თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიება – დაკავება (პატიმრობა) შესაძლოა, მიეკუთვნოს ქმედების იმ შემადგენლობას, რომელშიც პირი დამნაშავედ ან სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი. თუმცა თითოეული ასეთი შემთხვევა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან და სასამართლომ, რეაბილიტაციის საფუძვლის არსებობის მიუხედავად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეაფასოს დასახელებული გარემოებები. **წინამდებარე** საქმეში საკასაციო პალატა ამ საკითხის შეფასების წინაშე არ დგას, რადგან ლ. ხ-ისა და გ. რ-ას მიმართ სრულად შეწყდა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. რო-

გორც გამამართლებელი განაჩენის, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო ვერ იმსჯელებს „არსებულ ან ჯერ კიდევ არსებულ“ ექვებზე, ასევე ვერ შეაფასებს დაკავების მიზეზებს და გამამართლებელი განაჩენის მიღების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს (მატერიალურ-სამართლებრივ ან/და ფაქტობრივ გარემოებებს), რამეთუ ექვი(ვარაუდი) დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ, როგორც დაკავების კანონიერების მტკიცების საფუძველი, ვერ იქნება გათვალისწინებული სრულად გამამართლებელი განაჩენის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების სრულად შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კომპენსაციის მოთხოვნა, პირადი თავისუფლების აღკვეთის გამო, ასევე მოიცავს შესაბამის კომპენსაციას დაკავების ან დაკავების შედეგად მიყენებული ზიანისათვის. შეუძლებელია, ზუსტად განისაზღვროს „თავისუფლების ფასი“. სწორედ ამიტომ სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს ჩვეულებრივი ცხოვრების შეფერხების მასშტაბს, გამართლებულის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის და მტკიცებულებების საფუძველზე, საქმის თითოეული მნიშვნელოვანი გარემოების შეფასების შედეგად, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, ადამიანის უფლებების დარღვევის პროპორციულად ადგენს ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობას. ზიანის ანაზღაურების პროპორციულობის შეფასებისას კი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირადი თავისუფლების ხელყოფის ფაქტი, რომელიც გამოწვეულია უკანონო დაკავებით ან დაპატიმრების გამოყენებით, დაკავების ხანგრძლივობა და ის გარემოებები, რომლებიც შეიცვალა დაკავების შედეგად, რომელთა მტკიცების ტვირთიც მოსარჩელეს ეკისრება. ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის მნიშვნელობა აქვს არა დაკავების რაოდენობას, არამედ – თავად დაკავების უკანონობის ფაქტს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლებრივი იძულების ღონისძიებები, განსხვავებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებებისაგან, უფლებებში ჩარევას უფრო დიდი ხნით იწვევს, რაც ასევე გავლენას ახდენს კომპენსაციის ოდენობაზე. პირის გამართლება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტა სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო, უფლებრივი თვალსაზრით, მსგავს შედეგს იწვევს რაზედაც მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლი, რომლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონო

ნოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. დაზარალებული პირის ინტერესების დაცვას და სახელმწიფოს სახსრებიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ემსახურებოდა ასევე 13.10.2017წ. ცვლილებამდე მოქმედი კონსტიტუციის 42.9 მუხლი, რომლის მნიშვნელობაც ხაზგასმულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლომ 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „...სახელმწიფო რესურსის მასშტაბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემთხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გამოყენების პრევენციას..“.

საქართველოს კონსტიტუციის 13.6 მუხლი ხაზს უსვამს ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ნორმა კონკრეტულად შეეხება უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდული პირის უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ამავე უფლებას შეეხებოდა კონსტიტუციის 13.10.2017წ. ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლიც – 18.7 მუხლის შესაბამისად, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს მინიჭებული ჰქონდა კომპენსაციის მიღების უფლება). ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებულობას შეეხო საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ დაადასტურა ამ უფლებაში ჩარევის სიმძიმე სხვა უფლებებში ჩარევასთან შედარებით და კონსტიტუციურსა-მართლებრივი შემონმების სიმკაცრის მაღალი ხარისხის საჭიროება. დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნების ფიზიკური თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მისი ყოველმხრივ დაცვის აუცილებლობას ადასტურებს ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 24 მარტის №3გ-ად-329-კ-02 გადაწყვეტილება, სადაც განმარტებულია, რომ „...ეს უფლება ყველა იმ სახელმწიფოებრივი სისტემის ქვაკუთხედი, რომელიც კანონიერების პატივისცემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას აღიარებს. კონვენცია ადგენს კომპენსაციის შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფ-

ლებების ხელყოფისათვის..“. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლთან კავშირშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი, რომლითაც აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. ხოლო, ამავე კონვენციის 5.5 მუხლი ადგენს, რომ ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

საკაცაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლი შეიცავს ზოგად დანაწესს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების სავალდებულოობის თაობაზე, რომლის დეტალური საკანონმდებლო მოწესრიგება მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. 208.3 მუხლის თანახმად კი, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. საქართველოს ზაკ-ის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი „ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო“ (სუსგ №ბს-648-623(2კ-13), 10.04.2014წ.).

საკასაციო სასამართლო განსახილველ საკითხზე მსჯელობისას ეყრდნობა და იზიარებს მსგავს სამართლებრივ დავასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 მაისის №ბს-222(კ-კს-20) გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე. კერძოდ, 1005.3 მუხლის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის (დაემატა 01.06.2017 წლის (ცვლილებით) ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეშო გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. ამ მუხლის მიზნებისათვის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფი-

ლებლად საკმარისია პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დადგინდეს პირობა, ურომლისოდაც ზიანის გამომწვევი შედეგი არ დადგებოდა. შეფასების საგანს სცილდება ბრალეული მიზეზობრიობის (კონკრეტული პირის ბრალეული ქმედების არსებობის) დადგენა, რამაც გამოიწვია ზიანი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992-ე, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.). მომწესრიგებელ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). სკ-ის 1005.3 მუხლიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე უნდა იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, რომლის განსაზღვრებაც 1005.3 მუხლში არ არის მოცემული, რაც, როგორც უკვე განიმარტა, სასამართლოს აძლევს თავისუფლებას, შეაფასოს ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო, კვლავ მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლში ასახული, პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის პირობებში, „უკანონოდ შეფასებადი“ ქმედებების ჩამონათვალი უკავშირდება როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს („მსჯავრდება“, „სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა“, „ალკევის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება“, „ადმინისტრაციული პატიმრობა“, „დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება“). ამასთანავე, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოყენებად თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებებთან მიმართებაში ნორმა უფრო დეტალიზებულია – შეიცავს მითითებას პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემიდან მისთვის სასჯელის შეფარდების ჩათვლით, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი შეიცავს მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელების – „ადმინისტრაციული პატიმრობისა“ და „გამასწორებელი სამუშაოების“ შესახებ ჩანაწერს. „ადმინისტრაციული დაკავება“, როგორც სამართალდარღვევის საქმეზე რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ მისაჩენვი ზემოქმედების ღონისძიება, ნორმაში მითითებული არ არის (სუსგ №ბს-222(კ-კს-20), 27.05.2021წ.).

საკასაციო პალატა მიუთითებს საკასაციო სასამართლოს (სუსგ

№ბს-222(კ-კს-20), 27.05.2021წ.) განმარტებაზე, რომ „რეაბილიტაცია, თავისი არსით, შელახული ღირსების აღდგენას, ჩამორთმეული უფლებების დაბრუნებას გულისხმობს. სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი წარმოადგენს გარანტიას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის საქმეებზე რეაბილიტირებული პირებისათვის, მიიღონ სახელმწიფოსაგან ზიანის ანაზღაურება მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (გამამართლებელი განაჩენი; დადგენილება, რომლითაც დასტურდება, რომ პირს სამართალდარღვევა არ ჩაუდენია), რაც თავის მხრივ, წარმოშობს მარეაბილიტირებელი გარემოების დადგომამდე პირის მიმართ განხორციელებული თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიებების (დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა) უკანონოდ ცნობის წინაპირობას. სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი გამომდინარეობს კონსტიტუციის 13.6 მუხლში ასახული პრინციპიდან, რომელიც ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ნებისმიერ უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდულ პირთან მიმართებაში ადგენს სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი და ამ მუხლთან მიმართებაში ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანის თავისუფლებაში ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ჩარევა და კომპენსაციის ქმედითი უფლების წარმოშობა უკავშირდება ნებისმიერ პირს, ვისაც ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უკანონოდ შეეზღუდება თავისუფლება. საყურადღებოა, რომ კონვენციის მე-5 მუხლში მითითებული ტერმინი „თავისუფლების აღკვეთა“, ზოგადი მნიშვნელობისაა და მოიცავს ნებისმიერი სახის დაკავებას, დაპატიმრებას თუ სხვაგვარ თავისუფლების შეზღუდვას, ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით. კონვენციის სხვა მუხლების მსგავსად, მე-5 მუხლთან მიმართებაშიც ევროპული სასამართლო გასცდა კონვენციის ტერმინების სიტყვასიტყვით განმარტებას. მე-5 მუხლით დაწესებულ შეზღუდვათა განმარტება ვიწრო ფარგლებში მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული, რამდენადაც კონვენციის მიზანია, დაიცვას ადამიანის ნამდვილი უფლებები, მათი რეალური შინაარსის გათვალისწინებით და ფორმალური გარანტიის მინიჭების გამორიცხვით (მაგ.: დისციპლინური სახდელი, რომელიც უკავშირდება ჰაუპტვახტში მოთავსებას, სტრასბურგის სასამართლოს მიერ შემუშავებული სტანდარტებით ერთმნიშვნელოვნად ხვდება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოქმედების არეში (Engel and others v. the Netherlands, 08.06.1976), მიუხედავად იმისა,

რომ ამგვარი შეზღუდვის ფორმაზე კონვენციის მე-5 მუხლში ჩანანერი არ არსებობს)“.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კონსტიტუციის მე-13 მუხლით გარანტირებული სტანდარტები არ იზღუდება სამართლის ერთი დარგით ან ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტით და იზიარებს საკასაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ტერმინი „დაკავება“ კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სახის დაკავებას გულისხმობს, შესაბამისად, ამავე მუხლის საფუძველზე სასამართლოსადმი წარდგენის საპროცესო გარანტია ყველა სახის დაკავებულ თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდულ პირზე ვრცელდება (სუსგ №ბს-222(კ-კს-20), 27.05.2021წ.).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დაკავება, როგორც საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომა, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევას წარმოადგენს. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მიზნებისათვის. ამასთანავე, ადმინისტრაციული დაკავება ექცევა კონვენციის მე-5 მუხლით დაცულ სფეროში, მისი ხანგრძლივობის სიმცირის მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 5.1 მუხლის „ა-ფ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, რომელთა დროსაც გამართლებულია თავისუფლების შეზღუდვა, ცალკე არ მიუთითებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ასპექტებზე, თუმცა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ადასტურებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევების თავსებადობას კონვენციის მე-5 მუხლთან. ამდენად, კონვენციის 5.1 მუხლის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტერმინები: „პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება“, „სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი“, „სამართალდარღვევის ჩადენის აღკვეთის აუცილებლობის საფუძვლიანად მიჩნევა“, კავშირშია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებასთან (S., V. and A. v. Denmark [GC]).

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი აკმაყოფილებს განსაზღვრულობის მოთხოვნებს. აღნიშნული ნორმა თანაბრად ადგენს სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე რეაბილიტირებულ პირთათვის კომპენსაციის გარანტიას, შესაბამისად, ნებისმიერ თავისუფლების შეზღუდვის ფორმას (მათ შორის – ადმინისტრაციულ დაკავებას) უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში. ამდენად, საკასაციო

პალატას მიაჩნია, რომ ისევე, როგორც ადმინისტრაციული პატიმრობა, ადმინისტრაციული დაკავებაც თავის არსით ექცევა სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის შემადგენლობაში. ნორმის ფართოდ განმარტებით, არარელევანტურად უნდა ჩაითვალოს მასში მითითებული შეზღუდვის ფორმების ამომწურავი ხასიათი. 1005.3 მუხლში „ადმინისტრაციული დაკავების“ შესახებ ჩანაწერის არარსებობა არ ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ დაკავებას, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ფორმას, არ გააჩნია მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის (სუსგ №ბს-222(კ-კს-20), 27.05.2021წ.).

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ძირითად უფლებას დაცულად მიიჩნევს პირის თავისუფლების ნებისმიერი ხანგრძლივობით აღკვეთის შემთხვევაში, რაოდენ ხანმოკლეც უნდა იყოს იგი (*Krupko and Others v. Russia*, no. 26587/07, 26.06.2014). ღონისძიების ხანგრძლივობის მიუხედავად, თავისუფლების აღკვეთად იქნა მიჩნეული პირის ნების საწინააღმდეგოდ მისი მიყვანა პოლიციის ოფისში, იზოლატორში მოთავსებით (*Ostendorf v. Germany*, no. 15598/08, 07.03.2013) ან იზოლატორში მოთავსების გარეშე (*Krupko and Others v. Russia*, no. 26587/07, 26.06.2014). თავისუფლების აღკვეთად იქნა მიჩნეული პირის პოლიციის განყოფილებაში 45 წუთის განმავლობაში ყოფნა (*Shimovolos v. Russia*, no. 30194/09, 21.06.2011), ასევე შემთხვევა, როდესაც პირის პოლიციის ოფისში მიყვანა, შემოწმება და იზოლატორში მოთავსება არ აღემატებოდა ერთ საათს (*Novotka v. Slovakia* (dec.), no. 47244/99, 04.11.2003). ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად იქნა მიჩნეული პირის დაკავება ოფიციალური დოკუმენტის გაფორმების გარეშე და სასამართლომ განმარტა, რომ დაკავების ოქმში იმგვარი მონაცემების არარსებობა, როგორიცაა დაკავების თარიღი, დრო და ადგილი, დაკავებულის სახელი და გვარი, დაკავების საფუძვლები და დამკავებლის სახელი და გვარი, შეუთავსებელია კონვენციის მე-5 მუხლის მიზანსა და ამ მუხლით განსაზღვრულ კანონიერების მოთხოვნასთან (*Čamans and Timofejeva v. Latvia*, N42906/12, §129, 28.04.2016; *Arkania v. Georgia* N2625/12 59, 25.06.2020).

რაც შეეხება ადმინისტრაციულ დაკავებას – საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიზნებისათვის, დაკავება წარმოადგენს სასამართლოში სამართალდარღვევის საქმის განხილვის დაწყებამდე და სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტამდე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ იძულებით ღონისძიებას, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი ქმედების გამოვ-

ლენა, მისი აღმოფხვრა და მართლმსაჯულების განხორციელება. აღნიშნული ღონისძიება ემსახურება კონკრეტულ მიზნებს. ამასთან, სხვა სახის შეზღუდვებისაგან ადმინისტრაციული დაკავების განსხვავებულობას ხაზს უსვამს მისი გამოყენების შესახებ გადანყვეტილების იმნუთიერად მიღების შესაძლებლობა და თავად დაკავების ხანგრძლივობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული დაკავების დროს პირი ახორციელებს სავარაუდო დარღვევის შემცველ ქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან/და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებათა გამოვლენის პროცესის უშუალო შემსწრეა, შესაბამისად, იგი ადგილზე იღებს გადანყვეტილებას ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვა სახის ზემოქმედების ზომების ამოწურვის შემდეგ. ასეთ შემთხვევებზე შეიძლება ჩაითვალოს თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების (ასკ-ის 150.1 მუხლი) ან წვრილმანი ხულიგნობის (ასკ-ის 166-ე მუხლი) შემადგენლობის გამოვლენაზე რეაგირება, როდესაც უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელი, ქმედების გამოვლენის პროცესში, მისი აღკვეთის მიზნით, სავარაუდო დამრღვევს ერთ შემთხვევაში მოუწოდებს პლაკატების ისეთ ადგილებზე განთავსებისაგან შეწყვეტაზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი ან მეორე შემთხვევაში სიმშვიდისაკენ, ქმედების შეწყვეტისაკენ და შესაბამისი მითითების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, იყენებს ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიებას. ასკ-ით გათვალისწინებული ქმედების პროცესის აღკვეთაში უფრო მეტად ჩართულობას ადასტურებს ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, რომელიც უშუალოდ ქმედების აღმკვეთი პირისაკენ მიემართება და გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ამ პირის სიტყვიერ შეურაცხყოფას, ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას. ასეთ შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე, ხდება პირის გაფრთხილება, მოწოდება ქმედების შეწყვეტისაკენ, პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებისაკენ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული დაკავება უფლებაში ჩარევის დაბალი ინტენსივობით ხა-

სიათდება, თუმცა პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემამ, მისი ადმინისტრაციული წესით დაკავებამ, შესაძლოა წარმოშვას ნეგატიური განცდები, სტრესული მდგომარეობა, რეპუტაციის შელახვის საფრთხე, რაც თავის მხრივ, წარმოშობს სახელმწიფოს მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას რეაბილიტირებული პირისათვის, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. „...არ დაიშვება ნორმის ისე განმარტება, რომ გამართლებულ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-13 მუხლი), სანინააღმდეგო ინტერპრეტაცია არ თავსდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან..“ (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 413.1 მუხლით დადგენილი ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, ასანაზღაურებელი მორალური ზიანის მოცულობა სასამართლომ უნდა განსაზღვროს გონივრულად და სამართლიანად. სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე (სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი), თავისთავად იმ ფაქტის დადასტურება, რომ მოსარჩელეთა მიმართ უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება, წარმოშობს სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების უფლებას, შესაბამისი ღონისძიების გამოყენებაზე უფლებამოსილი პირის შესაძლო ბრალეულობის დადასტურების გარეშე. ამ შემთხვევაში წარმოიშობა მხოლოდ ზემოქმედების ღონისძიების შინაარსის, მისი ხასიათის და სიმძიმის კვლევის ვალდებულება, იმ მიზნით, რომ არაქონებრივი ზიანის მოცულობასთან დაკავშირებული დასკვნა არ გასცდეს გონივრულობის ფარგლებს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა ინტერესს წარმოადგენს სახელმწიფოსთვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რაც გამომდინარეობს მათთან მიმართებაში მარეაბილიტირებელი გარემოებების დადგენიდან და ამ გარემოებების გათვალისწინებით, სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების მიმდინარეობისას გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიებების უკანონოდ ჩათვლის აუცილებლობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევაში, შეიძლება შეილახოს ადამიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რომლის დაცვის შესაძლებლობაც კანონით არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახ-

ვისაგან). „...პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, სისხლის სამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ქმნის ერთგვარ დისკომფორტულ, სტრესულ სიტუაციას. არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვა.“ (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ასკ-ის 166-ე, 173-ე მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციული დაკავების ფაქტისა და მარეაბილიტირებელი გარემოების (დადგენილების) არსებობა უდავოდ დასტურდება მოსარჩელე ლ. ხ-ის შემთხვევაში. ამავე გარემოებების არსებობა დადასტურებულია ასევე გ. რ-ასთან მიმართებაშიც, ასკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მიმდინარე სამართალდარღვევის საქმის წარმოების ეპიზოდში, კერძოდ:

საქმის მასალების მიხედვით, თბილისში, ...ს ქუჩა №12-თან, 2015 წლის 26 თებერვალს, 16:40 საათზე, ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის პატრულ ინსპექტორმა, ი. კ-ემ ადმინისტრაციული წესით დააკავა ლ. ხ-ი. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის თანახმად, 2015 წლის 26 თებერვალს, ქ. თბილისში, ...ს ქ. №12-თან ლ. ხ-ი მოქალაქეებთან ერთად, საქართველოს ...სთან იგინებოდა უცნაურ სიტყვებით, არ დაემორჩილა პოლიციის არაერთგზის კანონიერ მოთხოვნას შეეწყვიტა ლანძღვა-გინება და წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს. ადმინისტრაციული დაკავების ოქმი შედგენილ იქნა 26.02.2015წ., 16:40 საათზე.

ლ. ხ-ის მიმართ 26.02.2015წ. შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №..., ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 თებერვლის და 2015 წლის 19 მაისის დადგენილებებით ლ. ხ-ის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დაწყებული საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

ადმინისტრაციული დაკავების ოქმით, თბილისში, ...ს ...სთან, ახალი გზის მიმდებარედ, 2015 წლის 21 ნოემბერს, ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის პატრულ ინსპექტორმა ე. ბ-ემ ადმინისტრაციული წესით დააკავა გ. რ-ა. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის თანახმად, 2015 წლის 21 ნოემბერს, ქ. თბილისში, ...ს ...სთან, ... გზის მიმდებარედ, გ. რ-ამ,

დაუდგენელ პირებთან ერთად, საამისოდ გამოუყოფელ ადგილას თვითნებურად განათავსა პლაკატი, რითაც დაამახინჯა თვითმმართველი ერთეულის იერსახე. ადმინისტრაციული დაკავების ოქმი შედგა 21.11.2015წ., 08:20 საათზე.

გ. რ-ას მიმართ 21.11.2015წ. შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №..., ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით გ. რ-ას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 150.1 მუხლით დაწყებული საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. ხ-ისა და გ. რ-ას მიმართ გამოტანილი, საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში არსებული დადგენილებები წარმოადგენს ამ პირების რეაბილიტაციის საფუძველს. დადგენილებებით უტყუარად დასტურდება სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტების არარსებობა, შესაბამისად, მოსარჩელების მიმართ ფორმალურად კანონიერად გამოყენებული ზემოქმედების ღონისძიება – დაკავება, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ. თავის მხრივ, დაკავების უკანონოდ მიჩნევა ადასტურებს, რომ მოსარჩელებს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შემზღუდავი ზემოქმედებების ატანა მოუწიათ შესაბამისი თემნის ვალდებულების დაკისრების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლიდან გამომდინარე, მითითებულ მოსარჩელებს უნდა აუნაზღაურდეთ მიყენებული არაქონებრივი ზიანი.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ ასკ-ის 166-ე, 173-ე და ასკ-ის 150.1 მუხლების საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების პროცესში, მოსარჩელების – ლ. ხ-ისა და გ. რ-ას მიმართ დაკავების ღონისძიება განხორციელდა ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტების საფუძველზე, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებებით შეწყდა საქმეთა წარმოება, სამართალდარღვევის შემთხვევების არარსებობის გამო. ამდენად, დადგენილებებით დადასტურდა მოსარჩელეთა არაბრალეულობა და წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მარ-

თლსანინალმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად, დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მოცემულ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (უკანონო დაკავება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, ვინაიდან დადგენილების გამოტანამდე ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევა უკანონოდ. რაც შეეხება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრების წესს, საკასაციო პალატა იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას საქმეზე №ბს-222(კ-კს-20), 27.05.2021 წელი, რომ დაკავების გასაჩივრებას და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. წინამდებარე შემთხვევაში თავად კასატორები მიუთითებენ, რომ მათ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის და დაკავების უკანონოდ აღიარების მიმართ კანონიერი ინტერესი აღარ აქვთ (იხ. საკასაციო საჩივარი გვ. 8), რამდენადაც მათ მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები შეწყდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შეწყვეტით გამოირიცხა კასატორთა მხრიდან იმ ქმედებების ჩადენა, რომელთა აღკვეთის მიზანსაც ემსახურებოდა ადმინისტრაციული დაკავება. აღნიშნული ფაქტი კი, საკმარისია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარების და სარჩელში მითითებული ადმინისტრაციული აქტების (საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 12 იანვრის №20/11-69939; საქართველოს შსს 2016 წლის 18 თებერვლის №408180; საქართველოს შსს 2016 წლის 8 თებერვლის №MIA71600312487; საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 22 თებერვლის №20/11-445400 ნერილები) ბათილად ცნობის აუცილებლობის გარეშე.

რაც შეეხება ლ. ხ-ისა და გ. რ-ასათვის ასანაზღაურებელი მორალური ზიანის მოცულობას: საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რეალური მოცულობა სასამართლოს შეხედულებით უნდა განისაზღვროს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, ასევე ობიექტური გარემოებები. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდე-

ბის შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). ამდენად, იმისათვის, რომ არ მოხდეს ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის დაუსაბუთებლად ხშირი გამოყენება და შენარჩუნდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობა, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, როგორც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმა, შესაბამისი მოთხოვნის უფლებას გამონაკლისის სახით უშვებს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისთვის. სასამართლომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების ოდენობა უნდა დაადგინოს შემთხვევასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით და სამართლიანობის პრინციპის დაცვით (სუსგ №ბს-222(კ-კს-20), 27.05.2021წ.).

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ლ. ხ-ი ადმინისტრაციული წესით დააკავეს 2015 წლის 26 თებერვალს, 16:40 საათზე და იმავე დღეს გაათავისუფლეს დაკავებიდან ხელწერილის საფუძველზე. ასევე დასტურდება, რომ გ. რ-ა ადმინისტრაციული წესით დააკავეს 2015 წლის 21 ნოემბერს, 08:20 საათზე და ხელწერილით იმავე დღეს გაათავისუფლეს დაკავებიდან. მითითებული ხელწერილებით დასტურდება, რომ ლ. ხ-ისა და გ. რ-ასთან დაკავშირებით თავისუფლების შეზღუდვა მცირე დროის მონაკვეთით შემოიფარგლა. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაკავებიდან გათავისუფლების ხელწერილებზე არ არის დატანილი გათავისუფლების ზუსტი დრო, რომლის მითითება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორთა მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიების ნაკლებად ინტენსიური ხასიათის გათვალისწინებით მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიჩნეულ უნდა იქნეს: ლ. ხ-ის შემთხვევაში – 150 (ასორმოცდაათი) ლარი, გ. რ-ას შემთხვევაში – 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელები არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ როგორც ადმინისტრაციული ორგანოებისაგან (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი), ისე იმ პირებისაგან, რომლებმაც უშუალოდ განახორციელეს მათ მიმართ ადმინისტრაციული დაკავების ღონისძიება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ წვრილმანი ხულიგნობის, პო-

ლიციის მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (166-ე, 173-ე მუხლები) და თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების (150-ე მუხლი) შემთხვევებში სამართალდარღვევის ოქმისა და დაკავების ოქმის შედგენის უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებს (ასკ-ის 239.13 მუხლი, 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამასთან, „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, პოლიცია ფუნქციონირებს სამინისტროს სისტემაში, სადაც დასაქმებულნი არიან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნოდებების მქონე პირები, აგრეთვე სხვა საჯარო მოხელეები. პოლიციის სამსახურები სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებენ სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით.

დადგენილია, რომ ლ. ხ-ისა და გ. რ-ას ადმინისტრაციული დაკავება განხორციელეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, შესაბამისად, მათი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობისას განხორციელებულ ქმედებაზე პასუხისმგებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. უშუალოდ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას, რომელიც მოსარჩელებს ზიანს მიაყენებდა.

რაც შეეხებათ მოპასუხედ დასახელებულ ფიზიკურ პირებს, მართალია, დაკავება უშუალოდ მათი მხრიდან განხორციელდა, თუმცა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისინი სახელმწიფოს სახელით მოქმედებდნენ. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განმტკიცებული პრინციპებიდან გამომდინარე, შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ სახელმწიფო ორგანოს, რომელშიც დასაქმებულია უშუალოდ ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენაში მონაწილე თანამშრომელი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონმდებლობით ასევე გათვალისწინებულია საჯარო მოხელეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა, თუ ისინი მოქმედებდნენ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თუმცა აღნიშნული თავად სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, რომ სათანადო საფუძვლების არსებობისას ზიანის ანაზღაურებით გამოწვეული ზარალი რეგრესის წესით მიიღოს შესაბამისი საჯარო მოხელისაგან. ამდენად, ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას და წარმოშობს რეგრესულ მოთხოვნას საჯარო მოხელის მიმართ, თუკი ეს უკანასკნელი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, რაც

მოცემულ შემთხვევაში არ დადგენილა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს მოპასუხე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ არ იზიარებს კასატორების პოზიციას, მხარეთა სავალდებულო მონვევის გარეშე სააპელაციო პალატის გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, რადგან თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 25 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმით დადგენილია, რომ აპელანტების (მოსარჩელეების) წარმომადგენელი მონაწილეობდა საქმის განხილვაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37.1 მუხლის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

ამავე კოდექსის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55.3 მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე განეულ ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელზე 2016 წლის 11 იანვარს ლ. ხ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი (ბანკის კოდი – TBCBGE22; სახაზინო კოდი – 300773150) უკან დაუბრუნდა ლ. ხ-ის; ასევე, სარჩელზე 2016 წლის 11 იანვარს გ. რ-ას მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი (ბანკის კოდი – TBCBGE22; სახაზინო კოდი – 300773150) დაუბრუნდა გ. რ-ას;

სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში მხარეებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში არ გაუსაჩივრებიათ და შესულია კანონიერ ძალაში. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღარ იმსჯელებს სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხზე.

რაც შეეხება მოთხოვნას სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლი განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მარწმუნებელსა და ადვოკატს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველია დავალების ხელშეკრულება (სკ-ის 709-ე მუხ.), მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სკ-ის 710-ე მუხ.). გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოცემულ შემთხვევაში პრეზიუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების ღირებულება, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად წაგებული მხარეს უნდა დაეკისროს. იურიდიული მომსახურების განევის შემთხვევაში ივარაუდება მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, სანინალმდეგო საჭიროებს დამტკიცებას. ამასთან, მინდობილობა და დავალების ხელშეკრულება ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტებია, შესაბამისად, არ გამოირიცხება მათი ერთ დოკუმენტში – მინდობილობაში მოქცევა. საგულისხმოა, რომ და-

ვალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 709-722-ე მუხლები) გათვალისწინებული არ არის სპეციალური მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის თაობაზე, თუმცა დაცული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის მოთხოვნა, მარწმუნებლის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების მინდობილობის გაცემის შესახებ, რათა წარმომადგენელმა შეძლოს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეს ერთვის 2015 წლის 11 ივნისის სანოტარო წესით დამოწმებული, განუსაზღვრელი ვადით გაცემული რწმუნებულება, რომლითაც ი. პ.-ის ლ. ხ.-ისაგან მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დაიცვას მისი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში. რწმუნებულებაში მითითებულია, რომ დავალებების შესრულების სანაცვლოდ, მარწმუნებელი ვალდებულია რწმუნებულს გადაუხადოს გასამრჯელო, რომლის ოდენობა ურთიერთშეთანხმებით დგინდება.

საქმეში ასევე წარმოდგენილია 2015 წლის 30 ნოემბერს სანოტარო წესით დამოწმებული, 5 წლის ვადით გაცემული რწმუნებულება, რომლითაც ი. პ.-ის გ. რ.-ისაგან მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დაიცვას მისი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში. რწმუნებულება შეიცავს მითითებას, მინდობილი მოქმედების შესასრულებლად განეული აუცილებელი ხარჯების რწმუნებულისათვის ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე.

საქმის მასალებით დასტურდება ადვოკატის მიერ მითითებული მოსარჩელებისათვის იურიდიული მომსახურების განევა შესაბამისი ინსტანციის სასამართლოებში. ამდენად, საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს არა მარწმუნებლების მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების საკითხზე (რაც საქმის მასალებით არ დასტურდება), არამედ საქმის მასალებით დადასტურებულ, ადვოკატის მიერ მარწმუნებლისათვის განეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა (სუსგ №ას-792-1114-07, 11.02.2008წ.), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება განეულია. იურიდიული მომსახურების ანაზღაურების ამსახველი ქვითრის, საგადახდო დავლების შესრულების დოკუმენტაციის წარუდგენლობა, არ გამორიცხ-

ხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუსგ №ბს-1330-1315(კ-11), 09.02.2012წ.; №ას-444-423-2015, 30.10.15წ.; №ას-12-12-2016, 25.03.2016წ.; №ბს-809-805(3კ-17), 17.01.2019წ.; სუსგ №ბს-222(კ-კს-20), 27.05.2021წ.).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ამასთან, საპროცესო ხარჯის ოდენობა უნდა განისაზღვროს საქმეზე დამდგარი საბოლოო შედეგის მიხედვით, სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგის გათვალისწინებით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არსებობს საკასაციო საჩივრის და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, შესაბამის ნაწილში არსებობს ასევე წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების წინაპირობაც. ამდენად, საქმის სირთულისა და მნიშვნელობის, წარმომადგენლობის ინტენსივობის, ინსტანციურობის, დავის გადაწყვეტის შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურების ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103.1 მუხლის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სსკ-ის 102-ე მუხლი).

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოთხოვნას, რომელიც შეეხება მოწინააღმდეგე მხარისათვის მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯის – 70 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრებას. კასატორების მიერ მითითებული დოკუმენტებიდან, საქმის მასალებით დასტურდება მხოლოდ ადვოკატებზე გაცემული რწმუნებულებების სანოტარო წესით დამოწმება, თუმცა არ დასტურდება, რომ მინდობილობები მხოლოდ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის წარმოების მიზნით არის გაცემული, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნება მიჩნეული უშუალოდ განსახილველ საქმეზე განეულ ხარჯად.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქ-

მის განხილვისას აპელანტებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯის – 100 (ასი) ლარის ანაზღაურებას – საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების ყველა ეტაპზე მოსარჩელეთა წარმომადგენლის მონაწილეობა ადასტურებს მისი გადაადგილებისათვის გარკვეული ხარჯის გაწევას. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მგზავრობის მანძილისა და ტრანსპორტის სავარაუდო სახეობის გათვალისწინებით, ამასთან, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, მითითებული ხარჯის ოდენობა საკასაციო სასამართლოს საფუძვლიანად მიაჩნია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორების შუამდგომლობას, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე გახარჯული თანხის, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად (20 ლარი), საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად მე-3 ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ქალაქის ფურცლებისათვის (70 ლარი), საკასაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე (40 ლარი), აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე (0.10 ლარი), საქმის მასალების სასამართლოში საფოსტო კავშირისათვის (60 ლარი), საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად (10 ლარი), აპელანტების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული გაზრდილი დანახარჯის (100 ლარი), სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის (4000 ლარი), საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის (500 ლარი) მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცესის ხარჯები, რომელიც შედეგად სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად) გაწეულ (გასანევ) ხარჯებს, რაც შესაძლებელია, ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა. კასატორებს არ წარმოუდგენიათ დანახარჯების გაწევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია და არც გაწეული ხარჯის დაანგარიშების მეთოდზე (ფურცლების რაოდენობა, ამობეჭდვის/ასლის გადაღების ღირებულება და ა.შ.) მიუთითებიათ სასამართლოსთვის. ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა, სა-

სამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯის მოპასუხე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობაზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება სასამართლოში საქმის წარმოების პერიოდში მარნმუნებლის სახელით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაურკვეველია კასატორების მოთხოვნა, საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საბანკო სერვისით მომსახურებაზე გაწეული 1 ლარის მონინალმდევე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც განსახილველ საქმეზე, კასატორები კანონის საფუძველზე გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, შესაბამისად, საქმეზე არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევისათვის გადახდილი თანხის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ბ ა :

1. ლ. ხ-ისა და გ. რ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. ხ-ისა და გ. რ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გ. რ-ას სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

6. საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დაეკისროს იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული საპროცესო ხარჯის ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და ტრანსპორტირებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

7. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უკანონო ადმინისტრაციული დაკავების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-416(კ-20)

22 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 29 მარტს ზ. კ-ამ, ბ. გ-მა, თ. მ-მა, გ. ჟ-მა და რ. ც-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილების; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარ-

რულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2018 წლის 21 მარტის №MIA41800665210 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

ბ. გ-ის, თ. მ-ის, გ. ჟ-ის, რ. ც-ის ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ ცნობასთან დაკავშირებით წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 7 თებერვლის №MIA11800001/52 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ის, გ. ჟ-ისა და რ. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. კ-ამ, ბ. გ-მა, თ. მ-მა, გ. ჟ-მა და რ. ც-ემ. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს. სააპელაციო საჩივრით ასევე მოთხოვნილ იქნა იმავე სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის განჩინებისა (რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებულ საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანების შესახებ) და 2018 წლის 10 ივლისის განჩინებების (1. განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებული ერთმანეთთან დაუკავშირებელ საქმეთა ერთმანეთისგან გამოყოფის შესახებ და 2. განჩინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე) გაუქმება; აპელანტების წარმომადგენელმა მოითხოვა ასევე საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე მონიშნულმდეგე მხარისათვის სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ის, გ. ჟ-ის და რ. ც-ის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ადგილზე თათბირით მიღებული 2018 წლის 24 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებულ საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანების შესახებ; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ადგილზე თათბირით მიღებული 2018 წლის 10 ივლისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამ-

დგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებული ერთმანეთთან დაუკავშირებელ საქმეთა ერთმანეთისგან გამოყოფის შესახებ; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ადგილზე თათბირით მიღებული 2018 წლის 10 ივლისის განჩინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება; არ დაკმაყოფილდა აპელანტთა წარმომადგენლის მოთხოვნა მოცემულ საქმესთან დაკავშირებული სასამართლოსგარეშე და პროცესის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ დადგენილ პრაქტიკაზე და მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების საფუძვლის არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს დაკავებულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არსებობას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის არსებობა, რაც უნდა შეფასდეს პოლიციელის უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხოლო საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი. პოლიციელის საქმიანობის კონტროლის წესი დადგენილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავით. აღნიშნული კანონის 56-ე მუხლი ითვალისწინებს პოლიციელის ქმედების გასაჩივრების პროცედურას, რომლის პირველი ქვეპუნქტით, პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიციელის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში. იმავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტით საპოლიციო ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე ხორციელდება, საჩივრდება საქართველოს კანონ-

მდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრების შესაძლებლობას დაინტერესებული პირის მიერ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურატურაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის №ბს-1143-1137(2კ-17) გადაწყვეტილება).

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 7 თებერვლის MIA 1 18 00001/52 ბრძანებით ბ. გ.-ის, თ. მ.-ის, გ. ჟ.-ისა და რ. ც.-ის საჩივარი ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ ცნობის მოთხოვნით, დარჩა განუხილველი, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო. ზემოაღნიშნულ ბრძანებაში მითითებული იქნა შემდეგი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან, საჩივრდება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების თავით დადგენილი წესით. იმავე კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისთვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილია სახელმწიფო მოსამსახურის – პოლიციელის მიერ მოვალეობის დარღვევის შესახებ ფაქტის დადგენის შესაძლებლობა, ქმედების გასაჩივრების წესი და პროცედურა. აღნიშნული წესით პოლიციელის მიერ განხორციელებული ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საფუძვლად დაედოს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასება მოსარჩელე – გ. ჟ.-ის სასარჩელო მოთხოვნების უსაფუძვლოდ მიჩნევის თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მა-

სალებით არ დასტურდებოდა გ. ჟ-ის დაკავების ფაქტი და მის მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ერთობლიობაში და ყოველმხრივ შემოწმება-შეფასების შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები.

მოსარჩელეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ასევე არ არსებობდა მათი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები – სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების ნაწილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. კ-ამ, ბ. გ-მა, თ. მ-მა, გ. ჟ-მა და რ. ც-ემ. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორებმა ასევე წარმოადგინეს საკასაციო პრეტენზიები გასაჩივრებული განჩინების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 მაისის განჩინებისა (რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებულ საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანების შესახებ) და 2018 წლის 10 ივლისის განჩინებების (1. განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებული ერთმანეთთან დაუკავშირებელ საქმეთა ერთმანეთისგან გამოყოფის შესახებ და 2. განჩინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე) ძალაში დატოვების ნაწილში. ამასთან, კასატორებმა წარმოადგინეს შუამდგომლობები, საკასაციო ეტაპზე გაწეული სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების მონინალმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო პრეტენზია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინების გაუქმების შესახებ:

კასატორების განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სადავოა როგორც ქვედა ინსტანციაში ფაქტების არასწორად დადგენა, ისე გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების კანონის დარღვევით მიღება. მოსარჩელეებთან მიმართებაში სასამართლომ დაადასტურა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების წარმოება მიმდინარეობდა კანონის დარღვევით, არ არსებობდა მათი ქმედებების კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის საფუძვლები. აღნიშნულით, იმთავითვე დაადასტურდა ხსენებულ პირთა მიმართ გამოყენებული დაკავების ფაქტის უკანონობა, თანმდევი იურიდიული შედეგით.

სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით, ასევე კონვენციის №7 ოქმის მე-3 მუხლით (კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის). აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლშიც.

კასატორები ასევე მიუთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე და 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიიჩნევენ, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა დაკავებისა და მათ მიმართ საქმის წარმოების დასრულების საკითხების ცალ-ცალკე შეფასებით, მოსარჩელეთა დაკავება არ ჩაითვალა უკანონო მოქმედებად, თავად დაკავების ფაქტის (დაკავების საპოლიციო მოქმედების) კანონიერების გამო. მითითებული, ერთმანეთზე დამოკიდებული საკითხები, სააპელაციო სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა საქმეზე უარყოფითი საპროცესო შედეგის განსაზღვრის მიზნით.

კასატორების შეფასებით, ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტების საფუძველზე მათი დაკავება არ ადასტურებს მარეაბილიტირებელი გარემოებების არარსებობას. რეაბილიტაციის საფუძველს ქმნის არა ცალკეული საპროცესო დოკუმენტის კანონიერ საწყისებზე მიღება, არამედ დამდგარი შედეგი – პირის უკანონოდ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის ფაქტი, რაც ამ შემთხვევაში, სახეზეა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია რეაბილიტირებული პირისათვის უკანონოდ პასუხისგებაში მიცემასთან, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რომლებითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა, მისი გონივრული და სამართლიან-

ნი ანაზღაურების კრიტერიუმებით.

კასატორების განმარტებით, მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის უკანონოდ დაწყება, ამგვარი წარმოების გამო, საქმის სასამართლოში განხილვამდე დაკავების, როგორც იძულების ღონისძიების გამოყენება, ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს პირისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს, რამეთუ სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოსარჩელებმა მათი უკანონოდ დაკავება სათანადო წესით და ვადაში გაასაჩივრეს დადგენილი წესით, თუმცა დაკავების კანონიერებაზე საჩივრის განმხილველი ორგანოს უარყოფითი გადაწყვეტილება არ ნიშნავს იმას, რომ მათი დაკავება კანონიერი იყო. მთავარია, რომ სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა მოსარჩელეთა უკანონოდ მიცემა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, რასაც შედეგად მოჰყვა უკანონოდ ადმინისტრაციული დაკავება, როგორც პირისათვის თავისთავად ზიანის მომტანი ქმედება. კასატორები უსაფუძვლოდ მიიჩნევენ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ უკანონოდ დაკავება არ წარმოშობს ზიანს დაკავებულისათვის.

კასატორების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო აქტებით მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავება კანონიერად არის მიჩნეული, დაკავების გასაჩივრებასა და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, რაც იმთავითვე არ გამორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება, სამართალდარღვევის ფაქტების არარსებობის გამო, რაც ავტომატურად განაპირობებს ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის. სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების შეწყვეტის თანმდევი შედეგია ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ მიჩნევა, რადგან ადმინისტრაციული დაკავების კანონიერებას განაპირობებს როგორც ადმინისტრაციული დაკავების კანონით დადგენილი წესების დაცვა, ისე იმ სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურება, რომელზე რეაგირების მიზნითაც მოხდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამდენად, პროკურატურისა და შსს-ს მიერ საჩივრების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ, მოსარჩელებს კანონიერი ინტერესი აღარ გააჩნიათ. მათი ინტერესი უკვე მიღწეული და რეალიზებულია – ადმინისტრაციული დაკავება უკანონოდ არის მიჩნეული ზიანის ანაზღაურე-

ბის მიზნებისათვის (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.2017 წ. განჩინება №3/128-16 საქმეზე).

კასატორების განმარტებით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა და მისგან გამომდინარე, დაკავების მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე (გამართლებისთანავე), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის, მიიჩნევა უკანონოდ, რადგან ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას. მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება კასატორებისათვის უკანონო დაკავებით, უკანონოდ პირადი და ნივთების გასინჯვით ზიანის მიყენება, შესაბამისად, მათ უნდა აუნაზღაურდეთ არაქონებრივი ზიანი, ბრალის მიუხედავად.

ასევე, საკასაციო საჩივრის თანახმად, საქმეზე წარდგენილი იყო არაერთი ვიდეო მტკიცებულება, რომელიც ასახავდა 2017 წლის 29 სექტემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობაში გ. ჟ-ის დაკავების ფაქტს, რაც ასევე გაშუქდა სატელევიზიო ეთერით. კასატორი განმარტავს, რომ პირი დაკავებულად ითვლება, როცა მას ნების საწინააღმდეგოდ და ძალის გამოყენებით შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილება, რასაც ამ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, რამეთუ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გ. ჟ-ი დაკავებული იქნა დაკავების ოქმის შედგენის გარეშე მას არ ეძლეოდა თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა და აღნიშნული ასახულია საქმეში არსებულ, არაერთი რაკურსით ნაჩვენებ ვიდეო ჩანაწერში.

კასატორები ასევე უთითებენ, რომ მათთვის არ მომხდარა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების განმარტება.

საკასაციო პრეტენზიის – სააპელაციო სასამართლოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 მაისის განჩინების (რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებულ საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანების შესახებ) ძალაში დატოვების ნაწილში, კასატორები მიუთითებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავში-

რებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

კასატორების შეფასებით, სასამართლომ დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ თქვა უარი მოცემული საქმის – გ. რ-ას საქმესთან გაერთიანებაზე, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუძემდებლური – ეკონომიურობის პრინციპი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში არსებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი გაერთიანებული საქმის ერთმანეთისაგან გამოყოფის თხოვნაზე წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 ივლისის განჩინების ძალაში დატოვების თაობაზე კასატორები უთითებენ, რომ სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიღო აღნიშნული განჩინება და ფაქტობრივად წინააღმდეგობაში მოვიდა საკუთარ დასკვნებთან საქმეთა გაერთიანებისა და გამოყოფის საფუძვლების შესახებ დასკვნების ურთიერთწინააღმდეგობის კუთხით.

2018 წლის 10 ივლისის განჩინების (საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე) ძალაში დატოვების ნაწილში, კასატორები უთითებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასანწყევტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს.

კასატორების შეფასებით, სასამართლომ საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც საქმე არსებითად რთული გადასანწყევტია, მხოლოდ

შესაბამისი დასაბუთებული განჩინების საფუძველზე არის უფლება-
მოსილი გადადოს გადაწყვეტილების გამოცხადება და არა ყოველ ჯერ-
ზე, როდესაც საკუთარი მიხედვლებით ასეთ გადაწყვეტილებას მიი-
ღებს.

კასატორები შუამდგომლობენ მოწინააღმდეგე მხარისათვის თითო-
ეული კასატორის სასარგებლოდ, დამოუკიდებლად და ინდივიდუალუ-
რად, სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურების დაკის-
რებას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის დახმარები-
სათვის – 9000 ლარის ოდენობით.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოსგარეშე პროცესის ხარ-
ჯის – ადვოკატის დახმარებისათვის გადასახდელი თანხის მოპასუხი-
სათვის დაკისრებაზე უარი დაუშვებელია მისი გადაუხდელობისა და
შესაბამისი ქვითრის საქმეში არარსებობის გამო. საქართველოს უზენ-
აესი სასამართლოს 09.02.2012 წ. №ბს-1330-1315(კ-11) გადაწყვეტი-
ლებაში ჩამოყალიბებული, ადვოკატების ხარჯების ანაზღაურების სა-
კითხთან დაკავშირებული ხსენებული მიდგომა თავსებადია და გამომ-
დინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდ-
რებული ევროპული სტანდარტიდან.

კასატორები მიუთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-
მართლოს მიერ განხილულ საქმეებზე, მათ შორის „ფადეევა, რუსეთის
წინააღმდეგ“ და „გივი ჯანიაშვილი, საქართველოს წინააღმდეგ“, სა-
ქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-69-ე, 709-710-ე მუხლებზე, სა-
ქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.09.2006 წ. №ას-39-489-06 გან-
ჩინებაზე და განმარტავენ, რომ ქართული საპროცესო სამართლის სა-
ფუძველებით, ასევე შიდასახელმწიფოებრივი და ევროპული მყარი სა-
სამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, გამართლებული და
მხარდასაჭერია ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის სასა-
მართლოს მხრიდან დაკმაყოფილება. ანალოგიური დასაბუთება სრუ-
ლად გაზიარებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიის 25.11.2014 წ. №2/15800-2014 შემაჯამებელი გადაწყ-
ვეტილებით. ამავე საკითხზე საინტერესოა ასევე თბილისის სააპელა-
ციო სასამართლოს 19.06.2015 წ. გადაწყვეტილება (საქმე №3ბ/698-2015
№190310015716798), რომელიც შესულია კანონიერ ძალაში.

კასატორები საგულისხმოდ მიიჩნევენ, რომ საქართველოს უზენაე-
სი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, წერილობითი მტკიცე-
ბულების გარეშე ადვოკატის ხარჯს აკუთვნებს მოწინააღმდეგე მხა-
რეს მაშინაც, როდესაც კასატორის საკასაციო პრეტენზია განუხილვე-
ლი რჩება დაუშვებლობის გამო (№ას-444-423-2015 საქმეზე 30.10.2015
წ. მიღებული განჩინებები). ამასთან, კასატორების განმარტებით, მნიშ-
ვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 14.07.2016წ. №776-768(2კ-4კს-15) განჩინებით დადგენილი პრაქტიკა.

კასატორების განმარტებით, ჯერ კიდევ გადაუხდელი საადვოკატო მომსახურების საფასური, კანონით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში, მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრებას ექვემდებარება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 11.02.2008 წ. №ას-792-1114-07 განჩინება). საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების წერილობით დადების ვალდებულება კანონმდებელს არ დაუდგენია, სახელშეკრულებო თავისუფლების იდეიდან გამომდინარე, შესაბამისად, არ გამოირიცხება მისი არსებობა ზეპირი გარიგების საფუძველზე. გარიგების არსებობა გარეგნული გამოხატულებით მინიმუმ უნდა დგინდებოდეს. სამივე ინსტანციის სასამართლოში ერთი და იგივე ადვოკატის მონაწილეობა და საადვოკატო ხარჯების მოთხოვნის ფაქტი, სხვა არაფერს ადასტურებს, თუ არა საადვოკატო მომსახურების გარიგების დადებისა და არსებობის ფაქტს.

კასატორები შუამდგომლობის სახით მიუთითებენ, რომ მოწინააღმდეგე მხარეს, კასატორების სასარგებლოდ, ინდივიდუალურად უნდა დაეკისროს მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების საწარმოო წესით დამოწმებისათვის გაღებული სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურება – 70 ლარის ოდენობით, ასევე საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას კასატორისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება, მტკიცებულებათა მოძიებამოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 20 ლარის ოდენობით, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად, მე-3 ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცეფლოლოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 70 ლარის, საკასაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 40 ლარის, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისათვის – 0.10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის – 60 ლარის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯის – 10 ლარის, ასევე კასატორების და მისი

წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული გაზრდილი დანახარჯების ანაზღაურება – 100 ლარის, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება – 4 000 ლარის ოდენობით, საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 500 ლარის ოდენობით. კასატორების განმარტებით, ხსენებული მოთხოვნები გაზიარებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.09.2019 წ. №ას-1054-2019, №330310018002614430 განჩინებით, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.05.2018 წ. №ას-316-316-2018, №210210012000152909 განჩინებით.

მითითებული შუამდგომლობის დასაბუთების მიზნით, კასატორები მიუთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე და მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ, 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ განზოგადებულ სასამართლო პრაქტიკაზე.

კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.01.2014 წ. გადაწყვეტილებით, №ას-165-158-2013 საქმეზე დადგინდა ერთიანი, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების საპროცესო შეცდომათა გაანალიზების შედეგად. მითითებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით.

კასატორები მიუთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე, 53-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე და აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ნორმის საფუძველზე გამოუყენებელ საპროცესო უფლებაზე ცალკე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს კანონი, ანუ სამართლებრივად დაუშვებელია საპროცესო უფლების მატერიალურ უფლებასთან გათანაბრების სამართლებრივი შესაძლებლობის დაშვება და თანმდევ საპროცესო უფლებაზე სარჩელის წარდგენა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.2009 წ. №ბს-1665-1619(კ-08) გადაწყვეტილება). საგულის-

ხმოა მოცემულ საკითხთან დაკავშირებული მყარი, სტაბილური და 2012 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული განზოგადებული სასამართლო პრაქტიკაც. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.01.2014 წ. №ას-165-158-2013 გადაწყვეტილებით დადგინდა ერთიანი, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა საპროცესო შეცდომების გაანალიზების შედეგად. ხსენებული მოთხოვნები გაზიარებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.09.2019 წ. №ას-1054-2019, №330310018002614430 განჩინებით.

კასატორები ასევე შუამდგომლობენ საკასაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საბანკო სერვისით მომსახურებაზე გაწეული 1 ლარის დაკისრებას მოწინააღმდეგე მხარისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ის, გ. ჟ-ის და რ. ც-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 9 სექტემბრის განჩინებით ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ის, გ. ჟ-ის და რ. ც-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა ინტერესსა და სასამართლოს მიერ შესაფასებელ გარემოებას წარმოადგენს, კასატორთა (მოსარჩელეთა) სასარგებლოდ სახელმწიფოსთვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების დაკისრება, რაც გამომდინარეობს მათთან მართებაში მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ზ. კ-ა ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა 2017 წლის 15 ნოემბერს 11:40 საათზე და 2017 წლის 15 ნოემბერს მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №აკ 000022647, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე

მუხლის საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 იანვრის დადგენილებით, ზ. კ-ას (დაბ. ... ნ. მის.: ქ. თბილისი, ...ის ქ. №57, ბინა 9, 3/6 ...) მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომაზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა.

ბ. გ-ი ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა 2017 წლის 2 ოქტომბერს 16:50 საათზე. 2017 წლის 3 ოქტომბერს მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №ბე000019848, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა.

თ. მ-ი ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა 2017 წლის 29 სექტემბერს 15:30 საათზე. 2017 წლის 29 სექტემბერს მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №ბე000021800, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე. თ. მ-ის მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა.

რ. ც-ე ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა 2017 წლის 10 ოქტომბერს 14:55 საათზე. 2017 წლის 11 ოქტომბერს მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №ბე000022168 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის საფუძველზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება რ. ც-ის (დაბ. ... ნ. მის.: ქ. თბილისი, ... 98/40, ბ. 20; 3/6 ...) მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ გადაცდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო შეწყდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ

მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდული პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლით განმტკიცებულია ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა: ა) კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა; ბ) კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის, ან/და კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად; ც) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა; დ) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად; ე) პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მანანწალის კანონიერი დაპატიმრება; ფ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია). „თავისუფლების უფლების“ დადგენით, მე-5 მუხლი ითვალისწინებს პირის ფიზიკურ თავისუფლებას; მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ არავის ჩამოერთვას ეს თავისუფლება თვითნებურად. უსაფრთხოება გულისხმობს დაკავების, დაპატიმრების მიმართ თვითნებობის აკრძალვას (ENGEL AND OTHERS v. THE NETHERLANDS (Application no. 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72) § 58). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის შედეგად კომპენსაციის მიღების უფლე-

ბას ასევე განამტკიცებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შე-
სახეზ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის
პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგა-
ნოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელ-
მწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-
2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამ-
სახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის
პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ
კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს
მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს
სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდე-
ბულების დაკისრებას უკავშირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექ-
სის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებ-
ლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიან-
ისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიან-
ის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გა-
მომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიან-
ის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მარ-
თლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში,
ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგე-
ნით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს
საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და
ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ
ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურობოდეს სახელ-
მწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა
ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხ-
ლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის
ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გა-
რეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებ-
ლობის თაობაზე. კერძოდ, 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,
რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სა-
მართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების
სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმ-
რობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების
სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად
მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკუ-
რატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრა-
ლის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს

პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, კასატორების ინტერესსა და სასამართლოს მიერ შესაფასებელ გარემოებას სწორედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის შესაბამისად კასატორთა (მოსარჩელეთა) სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება წარმოადგენს, რაც გამომდინარეობს მათი ადმინისტრაციული დაკავებიდან და მათთან მიმართებაში მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. ამ მუხლის მიზნებისათვის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა. ამ შემთხვევაში, რელევანტურია, დადგინდეს პირობა, ურომლისოდაც ზიანის გამომწვევი შედეგი არ დადგებოდა. შეფასების საგანს სცილდება ბრალეული მიზეზობრიობის (კონკრეტული პირის ბრალეული ქმედების არსებობის) დადგენა, რამაც გამოიწვია ზიანი. ბრალი არ წარმოადგენს უკანონო ბრალდების/მსჯავრდების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას. „...დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992-ე, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში...“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება). მნიშვნელოვანია, რომ სკ-ის 1005.3 მუხლიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, რომლის განსაზღვრებაც 1005.3 მუხლში არ არის მოცემული. კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე რეაბილიტირებულ პირთათვის კომპენსაციის გარანტიას, შესაბამისად, ნებისმიერ თავისუფლების შეზღუდვის ფორმას (მათ შორის

– ადმინისტრაციულ დაკავებას) უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში. საგულისხმოა, რომ „ადმინისტრაციული დაკავება“, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზემოქმედების ღონისძიება, ნაკლები ინტენსივობით და ხარისხით განსხვავდება „ადმინისტრაციული პატიმრობისაგან“, რომელიც ამავე კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის სახეა, თუმცა ორივე შემთხვევა ცალსახად უკავშირდება კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვას და მისგან გამომდინარე ნეგატიურ შედეგებს. ისევე, როგორც ადმინისტრაციული პატიმრობა, ადმინისტრაციული დაკავებაც თავის არსით ექცევა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემადგენლობაში. ნორმის ფართოდ განმარტებით, არარელევანტურად უნდა ჩაითვალოს მასში მითითებული შეზღუდვის ფორმების ამომწურავი ხასიათი. 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილში „ადმინისტრაციული დაკავების“ შესახებ ჩანაწერის არარსებობა არ ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ დაკავებას, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ფორმას, არ გააჩნია მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის.“ (სუსგ №ბს-222(კ-კს-20)).

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს და მიიჩნევს, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევაში, გარანტირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე რეაბილიტირებულ პირთათვის – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პირის თავისუფლების შეზღუდვის შედეგები შეიძლება დაუკავშირდეს სულიერ განცდებს და ფიზიკურ ტანჯვას. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები (კონვენციის მე-5 მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი) არ შეიცავენ პირდაპირ მითითებას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და უკანონო გადაწყვეტილების მიღების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლების თაობაზე, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლით გათვალისწინებულ, ასანაზღაურებელ ზიანში მოაზრებულ უნდა იქნეს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი, რამდენადაც პირის მიმართ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება უკავშირდება მისი საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვას. ადმინისტრაციული დაკავების შემთხვევაში, შეიძლება შეილახოს

სუბიექტის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რომლის დაცვის შესაძლებლობაც კანონით არის გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან). „...პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, სისხლის სამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ქმნის ერთგვარ დისკომფორტულ, სტრესულ სიტუაციას. არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვა.“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429 (2კ-17) გადაწყვეტილება). მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც (მაგ.: საქმეზე – „თეიმურაზიანი სომხეთის წინააღმდეგ“ (Teymurazyan v. Armenia), სასამართლოს განმარტებით, „...კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ ის მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლებას ითვალისწინებს, ის ასევე მოიცავს კომპენსაციის უფლებას ნებისმიერი შფოთვისა და გაბრაზებისთვის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს კონვენციის მე-5 მუხლის სხვა დებულებების დარღვევით..“).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დაკავება, როგორც საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომა, ადამიანის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევას წარმოადგენს. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მიზნებისათვის. ამასთანავე, ადმინისტრაციული დაკავება ექცევა კონვენციის მე-5 მუხლით დაცულ სფეროში, მისი ხანგრძლივობის სიმცირის მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 5.1 მუხლის ა-ფ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, რომელთა დროსაც გამართლებულია თავისუფლების შეზღუდვა, ცალკე არ მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ასპექტებზე, თუმცა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ადასტურებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევების თავსებადობას კონვენციის მე-5 მუხლთან. ამდენად, კონვენციის 5.1 მუხლის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტერმინები: „პირის კანონიერი დაკავება ან და-

პატიმრება“, „სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი“, „სამართალდარღვევის ჩადენის აღკვეთის აუცილებლობის საფუძვლიანად მიჩნევა“, კავშირშია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებასთან (იხ. მაგ.: S., V. and A. v. Denmark [GC]). კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისათვის, ტერმინები: „დაკავება“ და „დაპატიმრება“ მოიაზრებს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც პირს თავისუფლებას უზღუდავს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. კ.-ას, ბ. გ.-ის, თ. მ.-ისა და რ. ც.-ის მიმართ დაკავების ღონისძიება განხორციელდა ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტების საფუძველზე, ისინი, კანონით დადგენილი წესით, წარდგენილ იქნენ სასამართლოში, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებებით შეწყდა საქმეთა წარმოება, სამართალდარღვევის შემთხვევების არარსებობის გამო. ამდენად, დადგენილებებით დადასტურდა მოსარჩელეთა არაბრალებულობა და წარმოიშვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (უკანონო დაკავება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, ვინაიდან დადგენილების გამოტანამდე ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის, მიიჩნევიან უკანონოდ. რაც შეეხება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დაკავების გასაჩივრების წესს, საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაკავების გასაჩივრებას და დაკავების უკანონოდ აღიარებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, როდესაც პირი ცნობილი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, რაც იმთავითვე არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული დაკავების უკანონობას, ან როდესაც სადავოდ არის ქცეული ადმინისტრაციული დაკავების პროცედურა და მისი უკანონობა დამოუკიდებლად წარმოადგენს დავის საგანს ისე, რომ არ უკავშირდება საქმეზე საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას – საქმის წარმოების შეწყვეტას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება დაკავებული პირების მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოს მიერ შეწყვეტის ანუ მათი მარეაბილიტირებელი გარემოების დადგომით მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ იმ გარემოების გათ-

ვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიზნებისთვისაც, მარეაბილიტირებელი გარემოებების არსებობა წარმოშობს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, მოპასუხეთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველების არსებობის პირობებში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აღარ დასტურდება მოსარჩელეთა ინტერესი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2018 წლის 21 მარტის №MIA41800665210 გადაწყვეტილებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 7 თებერვლის №MIA11800001/52 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიმართ (რასაც თავად კასატორებიც მიუთითებენ), რამდენადაც მათ მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები შეწყდა.

ამასთან, რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს მოსარჩელის – გ. ჟ-ის მიმართ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთს ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, თუმცა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე, მეორე მხარე არ თავისუფლდება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულებებისაგან, რომლებზეც იგი ამყარებს საკუთარ მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამდენად, კანონის მითითებული დანაწესი მოსარჩელეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, ამტკიცოს მის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა/კანონშესაბამისობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობიდან, 2017 წლის 29 სექტემბერს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყვანილი იქნა გ. ჟ-ი და მის მიმართ 2017 წლის 30 სექტემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №ბე 000021825, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით, გ. ჟ-ის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, შეწყდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული დადგენილების მიხედვით, 2017 წლის 29 სექტემბერს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობიდან, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყვანილი იქნა მოქალაქე გ. ჟ-ი, მის მიმართ ადმინისტრაციული დაკავების ოქმი შედგენილი არ არის. მისი დაკავების ფაქტი, ასევე არ დასტურდება საქმეზე წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, ისე მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა (მოსარჩელე) გ. ჟ-მა ვერ წარმოადგინა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები. მისი მოთხოვნა ემყარება უკანონო დაკავებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას, თუმცა სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება შესაბამისი ეპიზოდში მისი ადმინისტრაციული დაკავების ფაქტი. ამასთანავე, მათი დაკავების შესახებ მითითებას არ შეიცავს სასამართლოს დადგენილებები ან სხვა კონკრეტული მტკიცებულებები. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებას, რომ განსახილველ საქმეში არ დასტურდება გ. ჟ-ის ადმინისტრაციული დაკავების ფაქტი. შესაბამისად, მოსარჩელე – გ. ჟ-ის მოთხოვნა, უკანონო ადმინისტრაციული დაკავების გამო, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება კასატორთათვის (გარდა, გ. ჟ-ისა, რომლის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები არ არსებობს) ასანაზღაურებელი მორალური ზიანის ოდენობას: საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.“ (სუსგ №ბს-972-936(3კ-08) განჩინება; (08.04.09წ.).

ამდენად, სასამართლომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების ოდენობა უნდა დაადგინოს ინდივიდუალურ შემთხვევასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებების (მიყენებული ფსიქოლოგიური ზიანის სიმძიმე; მოპასუხეთა ქმედების ხასიათი და ინტენსივობა და ა.შ) გათვალისწინებით და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. საკასაციო პალატა თვლის, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკის გათვალისწინებით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 მაისის №ბს-222(კ-კს-20) გადაწყვეტილება), მოსარჩელების მიმართ გამოყენებული თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიების ნაკლებად ინტენსიური ხასიათის, მათი თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობისა და საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეთა მიერ არ არის მითითებული, მიყენებული ფსიქოლოგიური/მორალური ზიანის ინდივიდუალური ასპექტები, მახასიათებლები და თავისებურებები, მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად მიჩნეულ უნდა იქნეს თითოეულთან მიმართებაში – 150 ლარი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა დაეკისროს უშუალოდ ამ ზიანის გამომწვევ, ოქმის შემდგენ, დამკავებელ და სასამართლოში წარმდგენ ორგანოს. განსახილველ შემთხვევაში – ზ. კ-ას სასარგებლოდ 150 ლარის ანაზღაურება უნდა დაეკისროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, ხოლო ბ. გ-ის, თ. მ-ისა და რ. ც-ისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილების; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილებისათვის დაკისრების შესახებ.

ოქმის შემდგენი და მოსარჩელეთა (გარდა გ. ჟ-ისა) დამკავებელი პირები მოქმედებდნენ, მათთვის სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №747 ბრძანებითა (ძალადაკარგულია – „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება 2019 წლის 1 თებერვლის №9 ბრძანებით) და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. აღნიშნული ორგანოები დამოუკიდებლად არიან პასუხისმგებლობაუნარიანები, ამდენად უსაფუძვლოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მოთხოვნები, ხოლო, მოპასუხედ მითითებული თბილისის უზნების სამმართველოები და განყოფილებები წარმოადგენენ მოპასუხე –

ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის რაიონულ დანაყოფებს და მათ ერთეულებს.

რაც შეეხება, საქმეთა გაერთიანება – გამოყოფის შესახებ განჩინებების გაუქმების შესახებ საკასაციო მოთხოვნას, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლზე, რომლის თანახმად, 1. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძველზე ემყარება ეს მოთხოვნები, თუ – არა. 2. სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია. 3. რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია. 4. თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

მითითებული მუხლის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და აღნიშნავს, რომ სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულებისა და პროცესის ეკონომიურობის პრინციპებიდან გამომდინარე, საქმეთა გაერთიანებისა თუ გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი საქმის განმხილველი მოსამართლის, დისკრეციის ფარგლებში შესაფასებელი და გადასაწყვეტი საკითხია, ყოველი კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით.

რაც შეეხება, საკასაციო პრეტენზიას – საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისთვის გადადების ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს, და განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღს.

საკასაციო სასამართლო, მოცემულ საქმეზე მხარეებისა და სასარჩელო მოთხოვნათა სიმრავლის, ასევე საქმის მოცულობისა და დავის საგნის სპეციფიკურობის გათვალისწინებით ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების უსაფუძვლობის თაობაზე.

ამასთან, სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

ამავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სა-

სამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ №ბს-776-768(2კ-4კს-15) საქმეზე გაკეთებულ განმარტებაზე: „მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების არსებობა, მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს განეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დადაე-ვა რუსეთის წინააღმდეგ“, §145, 146) ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაშიც, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 11.02.08წ. №ას-792-1114-07 განჩინება), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „პინკოვი და პინკი ჩეხეთის წინააღმდეგ“).

საკასაციო სასამართლო განსახილველი საქმის სირთულისა და მნიშვნელობის, წარმომადგენლობის ინტენსივობის გათვალისწინებით, წარმომადგენლისათვის განეული ხარჯის გონივრულ ოდენობად მიიჩნევს, მოპასუხეებისათვის – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტისათვის სოლიდარულად – 500 (ხუთასი) ლარის ანაზღაურების დაკისრებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან, საქ-

მის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სსკ-ის 102-ე მუხლი).

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს მოთხოვნას, რომელიც შეეხება მოწინააღმდეგე მხარისათვის მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული ხარჯის ანაზღაურების დაკისრებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეზე არ არის წარმოდგენილი უტყუარი ცნობა და მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ დოკუმენტების დამოწმება და გაცემა ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის წარმოების მიზნით იყო გაცემული, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნება მიჩნეული უშუალოდ განსახილველ საქმეზე განეულ ხარჯად.

რაც შეეხება, მოსარჩელეთა წარმომადგენლის გადაადგილების გამო ტრანსპორტირებისათვის განეული ხარჯების 100 (ასი) ლარის ანაზღაურებას – საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების ყველა ეტაპზე ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ისა და რ. ც-ის წარმომადგენლის მონაწილეობა, ადასტურებს მისი გადაადგილებისათვის გარკვეული ხარჯის განევას, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მგ ზავრობის მანძილისა და ტრანსპორტის სავარაუდო სახეობის გათვალისწინებით, ამასთან, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ, მითითებული ხარჯის ოდენობა საკასაციო სასამართლოს საფუძვლიანად მიაჩნია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორების შუამდგომლობას, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე (20 ლარი), საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე, წერილობით განცხადებებზე, შუამდგომლობებზე დახარჯულ ქალაქის ფურცლებზე (70 ლარის), მათ ასლებზე (40 ლარი), აკინძვაზე (0,10 ლარი) განეული ხარჯის, ასევე საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის (60 ლარი), მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯის (10 ლარის), კასატორების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისთვის და მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე განეული გაზრდილი დანახარჯების (100 ლარი), სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის (4 000 ლარი), სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ხარჯის (500 ლარი) მოპასუხეებისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარ-

მოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად) გაწეულ (გასაწევ) ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა. საკასაციო პალატა თვლის, რომ რამდენადაც მოცემული საქმე საკასაციო სასამართლომ განიხილა სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, უსაფუძვლოა მოთხოვნა ტრანსპორტის, კვების, სასამართლოში დროის დაკარგვის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. რაც შეეხება ქალაქის ფურცლებთან, მათ ასლებთან, მასალების აკინძვასთან და საფოსტო მომსახურებასთან დაკავშირებულ დანახარჯის ანაზღაურებას, კასატორს არ წარმოუდგენია ამ მიმართულებით დანახარჯების განევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია. ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯის მოპასუხე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობაზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება სასამართლოში საქმის წარმოების პერიოდში მარწმუნებლის სახელით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უსაფუძვლოა კასატორების მოთხოვნა, საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისას საბანკო სერვისით მომსახურებაზე გაწეული 1 ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც განსახილველ საქმეზე, კასატორები კანონის საფუძველზე გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, შესაბამისად, საქმეზე არ არის წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევისათვის გადახდილი თანხის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ის, რ. ც-ისა და გ. ჟ-ის საკასაციო საჩივარი

დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ნაწილობრივ, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ჟ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ისა და რ. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ზ. კ-ას სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება – 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს – ბ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება – 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს თ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება – 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს რ. ც-ის სასარგებლოდ დაეკისროს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება – 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

9. ზ. კ-ას, ბ. გ-ის, თ. მ-ისა და რ. ც-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

10. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 მარტის განჩინება;

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს სოლიდარულად დაეკისროთ, იურიდიული მომსახურებისათვის განეული საპროცესო ხარჯის ანაზღაურება 500 (ხუთასი) ოდენობით და ტრანსპორტირებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება – 100 (ასი) ლარის ოდენობით;

12. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო ადმინისტრაციული დაკავების გამო მიუღებელი შემოსავლის და მორალური ზიანის ანაზღაურება

განმარტება საქართველოს სახელმწიფო

№ ბს-200(კ-21)

25 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერძე**

დავის საგანი: მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 20 ნოემბერს ლ. ქ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდგომ, საბოლოოდ, მოითხოვა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიუღებელი შემოსავლის – 53 430 ლარის, ადვოკატის დახმარებისათვის გადახდილი ჰონორარის – 5000 აშშ დოლარის, გირაოს სახით შეტანილი თანხის – 5000 ლარის, საზღვარგარეთ ცხოვრების ხარჯის – 35 100 ევროს და მორალური ზიანის 50 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 19 თებერვალს უკანონოდ დააკავეს და მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. 2005 წლის 22 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბრძანებით გათავისუფლდა სხდომათა დარბაზიდან, ხოლო 2005 წლის 25 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეუფარდა პატიმრობა და დააკავეს სასამართლო სხდომის დარბაზში. წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა გირაოს საფუძველზე, 2005 წლის 9 ივლისს. საერთო ჯამში, პატიმრობაში გაატარა 139 დღე. საქმის განხილვა გაგრძელდა 12 წელი და თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 26 სექტემბერს გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ 2009 წლის 20 ოქტომბერს გაემ-

გზავრა საზღვარგარეთ, რაც საგამოძიებო ორგანოებისათვის ცნობილი იყო, თუმცა მის წინააღმდეგ აღძრულ მეორე სისხლის სამართლის საქმეზე 2009 წლის 21 ოქტომბერს უკანონოდ მისცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, დაუსწრებლად შეუფარდეს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა და ძებნა გამოაცხადეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 იანვრის განაჩენით ცნობილ იქნა უდანაშაულოდ წარდგენილ ბრალდებაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 აპრილის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, უცვლელი დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით.

ლ. ჭ-ის განმარტებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე მუშაობდა შპს „ბ...ს“ და შპს „ბი...ის“ დირექტორად. მისი ყოველთვიური ანაზღაურება შპს „ბი...აში“ შეადგენდა 630 ლარს (დაბეგრილი), ხოლო შპს „ბ...ში“ – 740 ლარს (დაბეგრილი). საერთო ჯამში, ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 1370 ლარს (დაბეგრილი). სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის და უკანონო დევნის გამო ვერ დაბრუნდა საქართველოში 39 თვის განმავლობაში, რის გამოც ხელფასის სახით მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 53 430 ლარი ($1370 \times 39 = 53\,430$).

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატის მომსახურებისათვის გაიღო ხარჯი – 5000 აშშ დოლარი, ხოლო საზღვარგარეთ იძულებით ცხოვრებისათვის ყოველთვიურად – 900 ევრო, რამაც 39 თვის განმავლობაში შეადგინა 35 100 ევრო ($39 \times 900 = 35\,100$).

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 9 ივლისს აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა შეიცვალა გირაოთი, 5000 ლარის ოდენობით და გათავისუფლდა პატიმრობიდან, თუმცა სამი წლის განმავლობაში საქმე არ განხილულა. სასამართლოსთვის ცნობილი იყო მისი საზღვარგარეთ წასვლის შესახებ და მიუხედავად ინფორმაციის მიწოდებისა, 2009 წლის 22 ოქტომბერს დაინიშნა სასამართლო სხდომა, სასამართლოში გამოუცხადებლობა ჩათვალა არასაპატიოდ, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება შეიცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით, ხოლო გირაოს თანხა – 5000 ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. სარჩელის ავტორი ითხოვს გირაოს თანხის დაბრუნებას, რადგან დადგინდა მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უსაფუძვლობა.

ლ. ჭ-ემ ასევე მიუთითა, რომ ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაგრძელდა 12 წელი, საიდანაც 139 დღე გაატარა პატიმრობაში, მეორე სისხლის სამართლის საქმის განხილვამ კი გასტანა 5 წელი და 2

თვე. 3 წელი და 3 თვე იმყოფებოდა იძულებით დევნილობაში. დაპატიმრებამდე ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას და იყო საქართველოს ...ის თავმჯდომარის მოადგილე. სისხლის სამართლის საქმე აქტიურად შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რითაც შეილახა მისი პატივი, ღირსება და რეპუტაცია, რის გამოც ითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის 50 000 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებით საქმეში მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 თებერვლის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურას მოსარჩელე ლ. ჭ-ეის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 12 000 ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის – 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის გამოძიების სამმართველოს გამომძიებელმა 2005 წლის 19 თებერვალს დააკავა ლ. ჭ-ე და შეადგინა დაკავების ოქმი, რადგან ლ. ჭ-ე ეჭვმიტანილი იყო წინასწარი შეთანხმებით სხვა პირებთან ერთად არაერთგზის, დიდი ოდენობით, თაღლითობის ჩადენაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 22 თებერვლის ბრძანებით საქმეზე №2/02-73, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის ზ. ფ-ეის შუამდგომლობა – ბრალდებულ ლ. ჭ-ეისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ, არ დაკმაყოფილდა. ბრალდებულ ლ. ჭ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 თებერვლის განჩინებით, პროკურორ ნ. ჟ-ის კერძო საკასაციო საჩივრის მოთ-

ხოვნა დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლის 2005 წლის 22 თებერვლის ბრძანება ლ. ჭ-ის მიმართ შეიცვალა, ბრალდებულ ლ. ჭ-ეს ალკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა 3 (სამი) თვის ვადით. ბრალდებულ ლ. ჭ-ისა და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 9 ივლისის ბრძანებით, ბრალდებულ ლ. ჭ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 თებერვლის განჩინებით შეფარდებული ალკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება შეიცვალა გირაოთი, გირაოს თანხად განისაზღვრა 5000 ლარი და ლ. ჭ-ე გათავისუფლდა სხდომათა დარბაზიდან.

საქმეზე ასევე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა შუამდგომლობა, განსასჯელ ლ. ჭ-ის მიმართ არასაპატიმრო ალკვეთის ღონისძიების – გირაოს, დაპატიმრებით შეცვლის შესახებ. განსასჯელ ლ. ჭ-ისათვის შერჩეული ალკვეთის ღონისძიება – გირაო შეიცვალა დაპატიმრებით. ამავე დადგენილების მიხედვით, ლ. ჭ-ის მიმართ გამოყენებული ალკვეთის ღონისძიება გირაო – 5000 ლარის ოდენობით, საქართველოს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 6 ივნისის დადგენილებით (საქმე № 1/3244-06) სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეწყდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ლ. ჭ-ის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენით, საქმეზე № 1ბ/599-17, ლ. ჭ-ის კერძო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 6 ივნისის დადგენილება გაუქმდა. ლ. ჭ-ე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში და გამართლდა.

2019 წლის 12 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობის (№ 49/6/1/1/2-01833199) მიხედვით, ლ. ჭ-ემ, ...ის გავლით, სახელმწიფო საზღვარი დატოვა 2009 წლის 20 ოქტომბერს და 2013 წლის 31 იანვარს დაბრუნდა

საქართველოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს 2009 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ლ. ჭ-ე საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსი გამომძიებლის შუამდგომლობები – ლ. ჭ-ეისა და სხვა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შესახებ, დაკმაყოფილდა; ბრალდებულ ლ. ჭ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა ორი თვის ვადით. ბრძანებაში პატიმრობის გამოყენების საფუძველად მიეთითა ის გარემოება, რომ იგი ემალებოდა გამოძიებას, კერძოდ, მას გადაკვეთილი ჰქონდა საქართველოს საზღვარი და მისი ადგილსამყოფელი სასამართლოსათვის უცნობი იყო.

ბრალდებულის დაკავების 2013 წლის 31 იანვრის ოქმის მიხედვით, ლ. ჭ-ე 2013 წლის 31 იანვარს 05:35 საათზე დაკავებულ იქნა ქალაქ თბილისის ...ის ადმინისტრაციულ შენობაში და გადაყვანილ იქნა ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში. 2013 წლის 1 თებერვალს ლ. ჭ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 იანვრის განაჩენით, საქმეზე № 1/2127-12, ლ. ჭ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ლ. ჭ-ეის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. ამავე განაჩენით დადგენილ იქნა, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, გაუქმდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 თებერვლის დადგენილებით დადებული ყადაღა, რომლითაც ყადაღა დაედო ლ. ჭ-ეის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს სახით განსაზღვრული შესატანი თანხის, კერძოდ, 5000 ლარის სანაცვლოდ სხვა პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენით, საქმეზე № 1/ბ-172-15, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 იან-

ერის განაჩენი დარჩა უცვლელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით, დაზარალებულ სს „ბა...ს“ წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

საქალაქო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შპს „ბი...ის“ მიერ, 2019 წლის 19 ივლისს გაცემული №010 ცნობის მიხედვით, ლ. ჭ-ე 2007-2009 წლებში მუშაობდა შპს „ბი...აში“ დირექტორის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენდა 787,5 ლარს. ლ. ჭ-ე-სათვის ხელფასის დარიცხვა შეწყდა 2009 წლის 1 ნოემბრიდან, ვინაიდან მან დატოვა საქართველოს ტერიტორია. 2009 წლის გამომუშავებული, მაგრამ გაუცემელი ხელფასის ნაწილი გაიცა ლ. ჭ-ე-ის ნდობით აღჭურვილ პირზე 2010 წელს. შპს „ბ...ს“ მიერ 2019 წლის 19 ივლისს გაცემული №005 ცნობის მიხედვით, ლ. ჭ-ე 2000-2009 წლებში მუშაობდა შპს „ბ...ში“ დირექტორის პოზიციაზე. მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენდა 925 ლარს. 2009 წლის 1 ნოემბრიდან ანაზღაურების გადახდა შეწყდა საქართველოს ტერიტორიის დატოვების გამო.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 28 ივნისის ცნობის მიხედვით, შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემებით, 2018 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, 2009 წელს ლ. ჭ-ე-ის მიღებული შემოსავალი შეადგენდა 85499,91 ლარს. სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2018 წლის 27 ივნისს გაცემული ცნობის მიხედვით, შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემებით 2018 წლის 27 ივნისის მდგომარეობით, ლ. ჭ-ე-ის მიერ 01.01.2010 – 31.12.2010 წლებში მიღებული შემოსავალი შეადგენდა 6077,8 ლარს. 2018 წლის 26 ივნისს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, შემოსავლების სამსახურში არსებული მონაცემებით 2018 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, ლ. ჭ-ე-ის მიერ 2011 წელს მიღებული შემოსავალი შეადგენდა 241,68 ლარს.

2012 წლის 14 მაისის სალარო შემოსავლის ორდერის მიხედვით დ. დ-ეის მიერ გადახდილია სპს „დ...ის“ ანგარიშზე 4861,20 ლარი, ლ. ჭ-ე-ის ინტერესების დაცვისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში (3000 აშშ დოლარი). 2012 წლის 1 ივნისის სალარო შემოსავლის ორდერის მიხედვით დ. დ-ეის მიერ გადახდილია სპს „დ...ის“ ანგარიშზე 3 254.80 ლარი, ლ. ჭ-ე-ის ინტერესების დაცვის საფასური საქალაქო სასამართლოში (2000 აშშ დოლარი).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებზე და განმარტა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია, დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლო განაჩენით წყდება პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საპროცესო დოკუმენტით სასამართლო ადგენს, ჩაიდინა თუ არა პირმა ინკრიმინირებული ქმედება და რა სახის სასჯელი უნდა დაეკისროს მას. სასამართლოს მოსაზრებით, პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. გამამართლებელი განაჩენის არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე – სასამართლოს ეს აქტი ეხება სწორედ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. რაც შეეხება ზემოაღნიშნული მუხლის მეორე კომპონენტს – ქმედების უკანონობას, სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს კანონის აღნიშნული მოთხოვნის იმგვარად ინტერპრეტაცია, რომ ქმედების უკანონობა შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საპროცესო თუ მატერიალური ნორმის დარღვევით, ვინაიდან არ შეიძლება ნორმა განიმარტოს ისე, რომ გამართლებულს არ მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ უნდა გადაწყდეს.

სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ასანაზღაურებელ ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალუ-

რია და განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით.

სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის სოციალური მდგომარეობა, მის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმები, სახელდობრ, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი ფაქტობრივად 4 თვისა და 18 დღის განმავლობაში (ორივე საქმეზე ერთად: 4 თვე და 17 დღე + 1 დღე), ლ. ჭ-ე იყო ადვოკატი და მას ბრალად ედებოდა თაღლითობა. ამასთან, მის მიმართ სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობდა ორ საქმესთან დაკავშირებით, ერთ საქმეზე 12 წლის განმავლობაში, მეორე საქმეზე კი, დაახლოებით, 5 წელი და მიიჩნია, რომ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი და მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობად განსაზღვრა 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის სახით მიუღებელი შემოსავლის – 53 430 ლარის, ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი ჰონორარის – 5 000 აშშ დოლარის, გირაოს სახით შეტანილი თანხის 5000 ლარის, საზღვარგარეთ ცხოვრების ხარჯის – 35 100 ევროს ანაზღაურების თაობაზე, სასამართლომ განმარტა, რომ საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯის – 35 100 ევროს გაღების დამადასტურებელი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი და მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია. გირაოს სახით შეტანილი 5000 ლარის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (პირველ სისხლის სამართლის საქმეზე) სასამართლომ მიუთითა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ გირაოს თანხის დაბრუნება არ არის დამოკიდებული პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანაზე. ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად უბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაშიც მას დაუბრუნდებოდა მის მიერ გადახდილი თანხა). ლ. ჭ-მ თავის ქმედებით თავადვე შეუწყო ხელი მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს შეცვლას პატიმრობით, რის შემდგომაც მის მიერ გადახდილი გირაოს თანხა – 5000 ლარი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გადახდილი 5000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია. მიუღებელი შემოსავლის – 53430 ლარის მოპასუხისათ-

ვის დაკისრებასთან მიმართებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ ლ. ჭ-ისთვის ანაზღაურების გადახდა შეწყდა მის მიერ საზღვრის კვეთის გამო. მან, ნებაყოფლობით დატოვა საქართველოს ტერიტორია 2009 წლის 20 ოქტომბერს, შესაბამისად, სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ფულად ზარალსა და მოპასუხის ქმედებას შორის.

ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი ჰონორარის – 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოიხბო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მატერიალური ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, 2012 წლის მაისსა და ივნისში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ადვოკატისათვის ჰონორარის გადახდის ქვითრები. სასამართლო აღნიშნა, რომ 2012 წლის 14 მაისის სალარო შემოსავლის ორდერით (№...) დ. დ-ის მიერ გადახდილია სპს „დ...ის“ ანგარიშზე 4 861,20 ლარი, ლ. ჭ-ის ინტერესების დაცვისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში (3000 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარში ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით 1,6204). 2012 წლის 1 ივნისის სალარო შემოსავლის ორდერის მიხედვით (№...) დ. დ-ის მიერ გადახდილია სპს „დ...ის“ ანგარიშზე 3 254.80 ლარი, ლ. ჭ-ის ინტერესების დაცვის საფასური საქალაქო სასამართლოში (2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი 1.6274). ამდენად, წარმოდგენილი ქვითრების მიხედვით, ადვოკატისათვის ჰონორარის სახით გადასახდელი თანხა შეადგენდა 5000 აშშ დოლარს, რომლის გადახდაც განხორციელდა იმ დროისათვის არსებული კურსით. შესაბამისად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობა ფულად ზარალსა და მოპასუხეთა ქმედებას შორის და მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა მოსარჩელისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურება 5000 აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, 2018 წლის 20 ნოემბერს სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირებულ სარჩელთან მიმართებაში და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საქმეზე საბოლოო განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულია 2015 წლის 19 ნოემბერს და სარჩელი სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირებულია 2018 წლის 20 ნოემბერს, თუმცა სარჩელი გაგზავნილია ფოსტის მეშვეობით. სარჩელს ერთვის

ფოსტის ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ შპს „ო...ს“ მიერ გზავნილი მიღებულია/ ფოსტაში ჩაბარებულია 2018 წლის 19 ნოემბერს, შესაბამისად, სასამართლომ სარჩელი სკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებულ სამწლიან ვადაში წარდგენილად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ასევე ლ. ჭ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ლ. ჭ-ეის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის სახით 53 430 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას ლ. ჭ-ეის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის – 53 430 ლარის ანაზღაურება; ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრდა როგორც ლ. ჭ-ეის (სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, კერძოდ, გირაოს სახით გადახდილი თანხისა და მიუღებელი შემოსავლის ნაწილში), ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის (სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში) მიერ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 53 430 ლარის, ადვოკატის დახმარებისათვის გადახდილი ჰონორარის – 5 000 აშშ დოლარის, გირაოს სახით შეტანილი თანხის 5 000 ლარის და საქართველოს გენერალურ პროკურატურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით თანხის დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ, საზღვარგარეთ ცხოვ-

რების ხარჯის – 35 100 ევროს ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, მოსარჩელე ლ. ჭ-ის მიერ არ გასაჩივრებულა.

ლ. ჭ-ის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 408-ე, 411-ე, 412-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობს მის მიუღებლობაში, მაგრამ სასამართლომ უნდა შეაფასოს, რომ არა ზიანის მიმცემბლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ სარგებელს და რამდენად რეალური იქნებოდა აღნიშნული. ამრიგად, მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს აბსტრაქტულ, მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით. პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ შპს „ბი...ის“ მიერ 2019 წლის 19 ივლისის გაცემულ №010 ცნობაზე, რომლითაც დგინდება, რომ ლ. ჭ-ე 2007-2009 წლებში მუშაობდა შპს „ბი...აში“ დირექტორის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენდა 787,5 ლარს. ლ. ჭ-ისათვის ხელფასის დარიცხვა შეწყდა 2009 წლის 1 ნოემბრიდან, ვინაიდან მან დატოვა საქართველოს ტერიტორია. 2009 წლის გამომუშავებული, მაგრამ გაუცემელი ხელფასის ნაწილი გაიცა ლ. ჭ-ის ნდობით აღჭურვილ პირზე 2010 წელს. შპს „ბი...ის“ მიერ 2019 წლის 19 ივლისის გაცემული №005 ცნობით, პალატამ ასევე დადგინოდა მიჩნია, რომ ლ. ჭ-ე 2000-2009 წლებში მუშაობდა შპს „ბ...ში“ დირექტორის პოზიციაზე. მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენდა 925 ლარს. 2009 წლის 1 ნოემბრიდან შეწყდა მისთვის ანაზღაურების გადახდა. პალატამ ყურადღება გაამახვილა აპელანტის ლ. ჭ-ის მიერ სააპელაციო საჩივარში გაკეთებულ იმ განმარტებაზე, რომ მნიშვნელოვანია არა ის, რომ მან დატოვა ქვეყანა, არამედ ის, რატომ ვეღარ დაბრუნდა. სააპელაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ასევე აპელანტის მოსაზრება, რომ სამსახურის დაკარგვა და ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავლის წარმოშობა გამოიწვია არა ქვეყნის დატოვებამ, არამედ იმ ფაქტმა, რომ უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და მასზე გამოცხადებული იყო ძებნა, რაც შეუძლებელს ხდიდა ქვეყანაში მის დაბრუნებას.

პალატამ დაადგინა, რომ ლ. ჭ-ეს სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და მასზე გამოცხადებული იყო ძებნა, რაც ცალსახად ადასტურებდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ქმედებას (ქვეყნიდან წასვლა) და ფულად ზარალს

შორის. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი და საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის – 53 430 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ.

ლ. ქ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურისათვის გირაოს სახით შეტანილი 5 000 ლარის ანაზღაურებაზე, პალატამ განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით, ლ. ქ-ისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო შეიცვალა დაპატიმრებით. ამავ დამდგენილების მიხედვით გირაოს თანხა 5 000 ლარი, საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. 2009 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბრძანებით, ლ. ქ-ს, დაუსწრებლად აღკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა ორი თვის ვადით. ბრძანებაში პატიმრობის გამოყენების საფუძვლად მიეთითა ის გარემოება, რომ იგი ემალებოდა გამოძიებას, კერძოდ, მას გადაკვეთილი ჰქონდა საქართველოს საზღვარი და მისი ადგილსამყოფელი სასამართლოსათვის უცნობი იყო. პალატამ მოიხმო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილები და მიიჩნია, რომ ვინაიდან, გირაოს თანხის დადგენა განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკანონმდებლო რეგულაციით, აღნიშნული ვერ მიიჩნეოდა მხარისთვის მიყენებულ მატერიალურ ზიანად. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გირაოს თანხის დაბრუნებაზე მსჯელობა უნდა მოხდეს არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლთან დაკავშირებით. პალატის განმარტებით ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია, დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და

სამართლიანი ანაზღაურების სახით. პალატამ გაითვალისწინა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 იანვრის განაჩენით, საქმეზე № 1/2127-12, ლ. ჭ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენით, საქმეზე № 1ბ/599-17, ლ. ჭ-ის კერძო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 6 ივნისის დადგენილება გაუქმდა. ლ. ჭ-ე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ „ბ“ „გ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში და გამართლდა. პალატამ მიუთითა, რომ გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. პალატამ მტკიცებულებათა შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად არ გაიზიარა აპელანტის – საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის განმარტება, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მორალური ზიანის – 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის დაკისრება არ გამომდინარეობდა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებიდან. სააპელაციო პალატამ მიუთითა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენებაზე, ასევე იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე იყო ადვოკატი და მას ბრალად ედებოდა თაღლითობა. ამასთან, მის მიმართ სისხლის სამართალწარმოება მიმდინარეობდა ორ საქმესთან დაკავშირებით, ერთ საქმეზე 12 წლის განმავლობაში, მეორე საქმეზე კი, დაახლოებით, 5 წელი. ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ლ. ჭ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი ჰონორარის – 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარე იძულებული იყო საკუ-

თარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატი და ესარგებლა მისი მომსახურებით საგამოძიებო ორგანოებსა თუ სასამართლოში. აღნიშნული ხარჯების გაწევა ცალსახად გამოწვეული იყო პირის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნითა და მოპასუხის ქმედების უკანონოობით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ 2012 წლის მაისსა და ივნისში ლ. ჭ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ადვოკატისათვის ჰონორარის გადახდის ქვითრებზე და აღნიშნა, რომ ადვოკატისათვის ჰონორარის სახით გადასახდელი თანხა შეადგენდა 5000 აშშ დოლარს, რომლის გადახდაც განხორციელდა იმ დროისათვის არსებული კურსით. შესაბამისად, მეორე ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ფულად ზარალსა და მოპასუხის ქმედებას შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, მორალური ზიანის საკითხის განხილვისას სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ლ. ჭ-ე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №35195/05), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ეს, მხოლოდ ბრალდების სიმძიმეზე დაყრდნობით, შეეფარდა პატიმრობა და სასამართლომ არ შეაფასა არგუმენტები მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა და სახელმწიფოს დაეკისრა ლ. ჭ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1000 ევროს ოდენობით. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლო იყო მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ჭ-ის მიმართ გამოყენებული პატიმრობის ვადის მხედველობაში მიღება. კასატორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას პრესით არ გაუვრცელებია ინფორმაცია ლ. ჭ-ის ბრალდებასთან დაკავშირებით და სტატიების შინაარსის განსაზღვრაში მონაწილეობა არ მიუღია.

მიუღებელი შემოსავლის სახით 53430 ლარის ანაზღაურებასთან დაკავშირებით კასატორმა განმარტა, რომ ლ. ჭ-ემ სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა 2009 წლის 20 ოქტომბერს და 2013 წლის 31 იანვარს დაბ-

რუნდა საქართველოში. 2009 წლის 21 ოქტომბერს ლ. ჭ-ის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. 2009 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა, რადგან იგი ემალებოდა გამოძიებას.

კასატორს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე მითითება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს კონკრეტული ოდენობით მატერიალური ზიანის დასამტკიცებლად. სააპელაციო სასამართლოს არ შეუძლებია ფაქტობრივი გარემოებების სისწორე, არ გამოუკვლევია მოთხოვნილი თანხის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ასევე, არ დაუდგენია, თუ რა თანხა იქნა გაცემული ლ. ჭ-ის ნდობით აღჭურვილ პირზე და არ მიიღო მხედველობაში ლ. ჭ-ის სამუშაო ადგილიდან წარმოდგენილი ცნობები.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო პალატის განმარტებას, რომ მნიშვნელოვანი იყო არა ის, თუ რატომ დატოვა ლ. ჭ-ემ ქვეყანა, არამედ ის, თუ რატომ ვერ დაბრუნდა იგი საქართველოში. საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2013 წელს, როდესაც ლ. ჭ-ე დაბრუნდა საქართველოში, მის მიმართ კვლავ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება და გამოყენებული იყო აღკვეთის ღონისძიების სახე პატიმრობა. თუ 2013 წელს არ შეუშალა ხელი ლ. ჭ-ის დაბრუნებას სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობამ, მას მანამდეც შეეძლო დაბრუნებულიყო ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ არ არსებობდა მიუღებელი შემოსავლის სახით 53 430 ლარის გადახდის დაკისრების საფუძველი.

რაც შეეხება მატერიალური ზიანის სახით 5000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას, კასატორმა მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქვითრებით დასტურდება ადვოკატისათვის გადახდილი თანხის ოდენობა, რაც შეადგენს 8 116 ლარს. კასატორმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და აღნიშნა, რომ წარმომადგენლისათვის განეული ხარჯის ოდენობის განსაზღვრისას მოქმედებს გონივრული და სამართლიანი შეფასების სტანდარტი, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დავის საგანი (საქმის კატეგორია), საქმის სირთულე, განხილვის ხანგრძლივობა და ა.შ. განმცხადებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ხარჯების და დანახარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, იყო თუ არა იგი რეალური და აუცილებელი. აქედან გამომდინარე, კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურების დაკისრება 5000 აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ნოემბრის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დაინიშნა 2021 წლის 9 დეკემბერს, 12:00 საათზე. 2021 წლის 9 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა გადაიდო და დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 1 თებერვლის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემით და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლებით გათვალისწინებული მატერიალური ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის

თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლი წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას უკანონოდ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან მსჯავრდებულ პირთათვის შექმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტური და რეალური სამართლებრივი ნორმები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს; ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რეაბილიტაცია, თავისი არსით, შელახული ღირსების აღდგენას, ჩამორთმეული უფლებების დაბრუნებას გულისხმობს. სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი წარმოადგენს გარანტიას რეაბილიტირებული პირებისათვის, მიიღონ სახელმწიფოსაგან ზიანის ანაზღაურება მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, როგორიცაა გამართლებელი განაჩენი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის უდანაშაულობის გამომრიცხავ ან მისი სახელის გამტეხ ფორმულირებებს. გამართლებელი განაჩენი ნიშნავს, რომ აღარ არსებობს დანაშაულის შე-

საძლო ჩადენის მტკიცების შესაძლებლობა. გამამართლებელი განაჩენი უარყოფს ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის დამადასტურებელ, საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას და აღარ ტოვებს სივრცეს გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების კანონიერების მტკიცებისათვის. სხვაგვარი განმარტება შეენიხაღმდეგება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებულ უდანაშაულობის პრეზუმფციას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლი გამომდინარეობს კონსტიტუციის 13.6 მუხლში ასახული პრინციპიდან, რომელიც ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ნებისმიერ უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდულ პირთან მიმართებაში ადგენს სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, ზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმოყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვე-

ვაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის გამოძიების სამმართველოს გამოძიებელმა 2005 წლის 19 თებერვალს, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დააკავა ლ. ჭ-ე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 22 თებერვლის ბრძანებით ლ. ჭ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 თებერვლის განჩინებით, პროკურორ ნ. ჟ-ის კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლის 2005 წლის 22 თებერვლის ბრძანება ლ. ჭ-ის მიმართ შეიცვალა და ბრალდებულ ლ. ჭ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა 3 (სამი) თვის ვადით. ბრალდებულ ლ. ჭ-ისა და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატთა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 9 ივლისის ბრძანებით, ბრალდებულ ლ. ჭ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 თებერვლის განჩინებით შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება შეიცვალა გირაოთი, გირაოს თანხად განისაზღვრა 5000 ლარი და ლ. ჭ-ე გათავისუფლდა სხდომათა დარბაზიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა შუამდგომლობა, განსასჯელ ლ. ჭ-ის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების – გირაოს, დაპატიმრებით შეცვლის შესახებ. განსასჯელ ლ. ჭ-ისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო, შეიცვალა დაპატიმრებით. ამავე დადგენილების მიხედვით, ლ. ჭ-ის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს თანხა 5000 ლარის ოდენობით, საქართველოს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

კოლეგიის 2017 წლის 6 ივნისის დადგენილებით (საქმე № 1/3244-06) სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეწყდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ლ. ჭ-ის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლებრივი დევნა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენით, საქმეზე № 1ბ/599-17, ლ. ჭ-ის კერძო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 6 ივნისის დადგენილება გაუქმდა. ლ. ჭ-ე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში და გამართლდა.

საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ 2019 წლის 12 ივლისს, ლ. ჭ-ემ, ...ის გავლით სახელმწიფო საზღვარი დატოვა 2009 წლის 20 ოქტომბერს და 2013 წლის 31 იანვარს დაბრუნდა საქართველოში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს 2009 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით, მეორე სისხლის სამართლის საქმეზე ლ. ჭ-ე ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსი გამომძიებლის შუამდგომლობები – ლ. ჭ-ისა და სხვა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შესახებ, დაკმაყოფილდა; ბრალდებულ ლ. ჭ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა ორი თვის ვადით. ბრძანებაში პატიმრობის გამოყენების საფუძველად მიეთითა ის გარემოება, რომ იგი ემალებოდა გამოძიებას, კერძოდ, მას გადაკვეთილი ჰქონდა საქართველოს საზღვარი და მისი ადგილსამყოფელი სასამართლოსათვის უცნობი იყო. ლ. ჭ-ე საქართველოში დაბრუნდა და იგი დააკავეს 2013 წლის 31 იანვარს 05:35 საათზე ქალაქ თბილისის ...ის ადმინისტრაციულ შენობაში. 2013 წლის 1 თებერვალს ლ. ჭ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 იანვრის განაჩენით, საქმეზე № 1/2127-12, ლ. ჭ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კო-

დექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში. ლ. ჭ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენით, საქმეზე №1/ზ-172-15, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით, დაზარალებულ სს „ბა...ს“ წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, ლ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ლ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 12 000 ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის – 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ჭ-ემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში – საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ლ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის 53 430 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას ლ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით – 53 430 ლარის ანაზღაურება; ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით მხოლოდ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გაასაჩივრა, ხოლო გადაწყვეტილება ლ. ჭ-ეს, სააპელაციო საჩივრის (სარჩელის) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, არ გაუსაჩივრებია. ამდენად, გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შესულია კანონიერ და-

ლაში, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პირობებში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მოსარჩელე ლ. ჭ-ეის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 12 000 ლარის, მატერიალური ზიანის – 5 000 აშშ დოლარის და მიუღებელი შემოსავლის სახით 53 430 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემასა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენებას. მოსარჩელე აგრეთვე მიუთითებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შედეგად მისი პატივის, ღირსების და რეპუტაციის შელახვაზე და ასევე იმ გარემოებაზე, რომ 3 წელი და 3 თვე იმყოფებოდა იძულებით დევნილობაში, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა გაგრძელდა 12 და 5 წელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.), რომ არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა და-

ზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით მორალური განცდების შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემა იწვევს მორალურ ზიანს და ადასტურებს მიზეზობრივ კავშირს სახელმწიფო ორგანოების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რამდენადაც მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მორალური ზიანის მოცულობა სასამართლოს მიერ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღები, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა მოწყდეს რეალობას. მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრულად აღდგენა.

კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ჭ-ეის მიმართ გამოყენებული პატიმრობის ვადის მხედველობაში მიღება, რამდენადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის გა-

დანყვეტილებით (საქმე ლ. ჭ-ე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №35195/05), სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა ლ. ჭ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1000 ევროს ოდენობით. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას და განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2016 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ის საჩივართან დაკავშირებით დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა და მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა სამი თვის ვადაში მომჩივნისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გადაეხადა 1000 ევრო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება არ ზღუდავს და არ ართმევს გამართლებულს უფლებას მოითხოვოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას მასზედ, რომ პირის მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ვინაიდან პირი, რომლის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა და რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, გამამართლებელი განაჩენის არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე – სასამართლოს ეს აქტი ეხება სწორედ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, გამამართლებელი განაჩენი ადგენს პირის უდანაშაულობას, რაც იწვევს მისი უფლებების აღდგენას ანუ მის რეაბილიტაციას. მართალია, სისხლის სამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, საქართველოს პროკურატურა წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა, მიუხედავად ამისა, ინდივიდს, რომლის მიმართაც დადგა მარეაბილიტირებელი გარემოება, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის (სუსგ №ბს-1301(2კ-22) 23.02.2023წ.; №ბს-1330(კ-22) 23.02.2023წ.; №ბს-770(კ-22) 10.11.2022წ.; №ბს-402(2კ-22) 10.11.2022წ.).

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმის სიმძიმეს, კერძოდ, მის უკანონო ბრალდებას, რის გამოც მოსარჩელე ვეღარ დაბრუნდა საქართველოში 3 წლის და 3 თვის განმავლობაში, ასევე იმ გარემოებას, რომ პირველი სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაგრძელდა 12 წელი, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახეს და ხანგრძლივობას და ეთანხმება

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის ლ. ჭ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 12 000 ლარის დაკისრებას. კასატორის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით გამოთქმულ განმარტებაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებაში სასამართლოს მიერ არამატერიალური (მორალური) ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, მორალური ზიანის მიმართ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულების, ობიექტური გარემოებების (დაზარალებულის საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.) და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის კუთხით საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს მოსარჩელის პროფესიულ საქმიანობასა და მის რეპუტაციაზე წლების განმავლობაში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გავლენას.

რაც შეეხება კასატორის განმარტებას მიუღებელი შემოსავლის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა. ამასთანავე მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემული ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის მიუღებელი შემოსავალი, რომლის ანაზღაურებაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იყო მისი მიღება მოსალოდნელი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ ქონებრივ ნამეტს, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღა-

ურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. სავარაუდოა შემოსავალი, რომლის მიღებაც მოსალოდნელი იყო (სუსგ №ბს-1031(კ-20), 21.06.2021წ.; №ას-154-2021, 01.04.2022წ.). მართალია, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, თუმცა მისი დადგენისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. ზიანის დადგომის შესაძლებლობა უნდა დასტურდებოდეს ყველა იმ გარემოების და მტკიცებულების შეფასებიდან, რომელიც ქმნის მისი წარმოშობის მტკიცების მაღალ ალბათობას. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია, რომ ზიანი უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. მართალია, მიუღებელი შემოსავლის არსი მდგომარეობს მის მიუღებლობაში, მაგრამ სასამართლომ უნდა შეაფასოს, რომ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება, რამდენად მიიღებდა მხარე ამ სარგებელს. შესაბამისად, მიუღებელი შემოსავლის მტკიცება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მოსაზრებაზე დამყარებულ გარემოებებს, არამედ უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ შპს „ბი...ის“ მიერ 2019 წლის 19 ივლისის გაცემული №010 ცნობაზე, რომლითაც დგინდება, რომ ლ. ჭ-ე 2007-2009 წლებში მუშაობდა შპს „ბი...აში“ დირექტორის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენდა 787,5 ლარს. ლ. ჭ-ისათვის ხელფასის დარიცხვა შეწყდა 2009 წლის 1 ნოემბრიდან, საქართველოდან წასვლის გამო. 2009 წლის გამომუშავებული, მაგრამ გაუცემელი ხელფასის ნაწილი გაიცა ლ. ჭ-ის ნდობით აღჭურვილ პირზე 2010 წელს. შპს „ბ...ს“ მიერ 2019 წლის 19 ივლისის გაცემული №005 ცნობით ასევე დადგენილია, რომ ლ. ჭ-ე 2000-2009 წლებში მუშაობდა შპს „ბ...ში“ დირექტორის პოზიციაზე. მისი ყოველთვიური დარიცხული ხელფასი შეადგენდა 925 ლარს. საქართველოს ტერიტორიის დატოვების გამო 2009 წლის 1 ნოემბრიდან შეწყდა მისთვის ანაზღაურების გადახდა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მნიშვნელოვანია არა ის, რომ ლ. ჭ-ემ დატოვა ქვეყანა, არამედ ის, რატომ ვეღარ დაბრუნდა. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამსახურის დაკარგვა და ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავლის წარმოშობა გამოიწვია არა ქვეყნის დატოვებამ, არამედ იმ ფაქტმა, რომ უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგად ლ. ჭ-ეს შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და მასზე გამოცხადებული იყო ძებნა, რაც შეუძლებელს ხდიდა ქვეყანაში ლ. ჭ-ის დაბრუნებას. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტაციას, რომ ლ. ჭ-ემ ნებაყოფლობით დატოვა საქართველოს ტერიტორია 2009 წლის 20 ოქტომბერს. თუმცა 2009 წლის 21 ოქტომბერს ლ. ჭ-ე მეორე სისხლის სა-

მართლის საქმეზე იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული და 2009 წლის 23 ოქტომბერს აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა, რის გამოც იგი ველარ დაბრუნდა საქართველოში. ხოლო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უსაფუძვლობა კი დადგინდა 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენით (საქმე № 13/599-17) და 2015 წლის 5 იანვრის განაჩენით (საქმე № 1/2127-12). სისხლის სამართლის საქმეებზე დამდგარი შედეგებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის შედეგად ლ. ჭ-ის შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და მასზე გამოცხადებული იყო ძებნა, რაც ადასტურებს პირდაპირ მიზეზობრივ კავშირს მოპასუხის ქმედებას და ფულად ზარალს შორის. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას მიუღებელი შემოსავლის ოდენობის შეცდომით დაანგარიშებასთან დაკავშირებით, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი შპს „ბი...ის“, შპს „ბ...ს“ და შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე დაადგინა ლ. ჭ-ის ხელფასის ოდენობა სადავო პერიოდში დარიცხული ხელფასის ოდენობისა და სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდგომ მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით 53 430 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ. საკასაციო სასამართლო განუმარტავს კასატორს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დამატებითი, დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება), რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ზემოაღნიშნული გარემოების სარწმუნოობას, ვერ წარმოადგინა.

სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, შეთანხმებით დაცვის შემთხვევაში, გამართლების მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადვოკატის ხარჯი შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სუსგ №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). საკასაციო სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, იურიდიული მომსახურების ანაზღაურების ამსახველი ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტაციის წარუდგენლობა, არ გამოორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას, უკეთუ აშკარაა, რომ პირის უფლების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება გაწეულია (სუსგ №ბს-809-805(3კ-17), 17.01.2019წ; №ბს-432-429(2კ-17), 07.02.2019წ.). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამოორიცხავს გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“, №55723/00, §145, 146, 09.06.2005წ.). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე არა მხოლოდ ზოგადად მიუთითებს ადვოკატის მომსახურებისათვის გაღებულ ხარჯზე, არამედ წარმოადგინა და საქმის მასალებს ერთვის 2012 წლის 14 მაისის სალარო შემოსავლის ორდერი (...), რომლის თანახმად დ. დ-ის მიერ გადახდილია სპს „დ...ის“ ანგარიშზე 4 861,20 ლარი ლ. ჭ-ის ინტერესების დაცვისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში (3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი 1,6204) და 2012 წლის 1 ივნისის სალარო შემოსავლის ორდერი (...), რომლის შესაბამისადაც, დ. დ-ის მიერ გადახდილია სპს „დ...ის“ ანგარიშზე 3 254.80 ლარი ლ. ჭ-ის ინტერესების დაცვის საფასური საქალაქო სასამართლოში (2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი 1.6274). ამდენად, წარმოდგენილი ქვითრების მიხედვით, ადვოკატისათვის ჰონორარის სახით გადასახდელი თანხა სისხლის სამართლის საქმეებზე შეადგენდა 5000 აშშ დოლარს, რომლის გადახდაც განხორციელდა იმ დროისათვის არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეთანხმებით დაცვის განხორციელების შემთხვევაში ბრალდებული თავად ირჩევს ადვოკატს, რომელ-

თან შეთანხმებითაც განსაზღვრავს ანაზღაურების წესსა და ოდენობას. ბრალდებულს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა ჯეროვნად და ეფექტიანად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან. ყველა პირს აქვს უფლება მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება თავისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისათვის. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 6.3 მუხლის „ც“ ქვეპუნქტით ასევე გარანტირებულია ბრალდებულის უფლება დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით. ამასთან, დაცვა არის სისხლის სამართლებრივი დევნის საწინააღმდეგო ფუნქცია, სწორედ ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებას და ბრალდებულის ინტერესების დაცვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. პალატა განმარტავს, რომ, როგორც საქმის მასალებით დგინდება, მოსარჩელე მხარე იძულებული იყო საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატი და ესარგებლა მისი მომსახურებით საგამოძიებო ორგანოებსა თუ სასამართლოში, სრულყოფილად ესარგებლა სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება – მოვალეობებით. ამრიგად, აღნიშნული ხარჯების გაწევა ცალსახად გამოწვეულია პირის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნითა და მოპასუხის ქმედების უკანონოობით. რაც შეეხება ადვოკატის მომსახურებისთვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას, საკასაციო სასამართლოს მითითებით, საადვოკატო მომსახურების მიღებისას პირი სარგებლობს თავისუფალი არჩევანით, თუმცა მატერიალური ზიანის სახით საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული თანხის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს აუცილებლად გასაწევი ხარჯი, დავის საგნის, ამ დავის სირთულისა და სხვა ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (სუსგ №ბს-1301(2კ-22), 23.02.2023წ.). განსახილველ შემთხვევაში, განხორციელებული საადვოკატო მომსახურების ინტენსივობის, დავის საგნისა და საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოპასუხისთვის დაკისრებული თანხა გონივრულ შესაბამისობაშია გაწეულ საადვოკატო მომსახურებასთან. რაიმე გარემოება, რომელიც მოცემული თანხის შეუსაბამობაზე მიუთითებდა, განსახილველ საქმეზე დადგენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად გაამახვილეს ყურადღება მხარის მიერ წარდგენილი მატერიალური ზიანის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. საქ-

მეზე უდავოდ დასტურდება, რომ ლ. ჭ-ის სისხლის სამართლის საქმეებში წარმოადგენდა ადვოკატი, საქმეში დაცულია 2012 წლის მაისსა და ივნისში ლ. ჭ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ადვოკატისათვის ჰონორარის გადახდის ქვითრები. ლ. ჭ-ის მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე იმსჯელა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ და ლ. ჭ-ის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა არ დადასტურდა, იგი სრულად გამართლდა წაყენებულ ბრალდებაში. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი შედეგის გათვალისწინებით საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეს მართებულად დაეკისრა სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ანაზღაურება 5000 აშშ დოლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, რის გამოც საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის
პასუხისმგებელი უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული
მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება**

**გადანყვეთილება
საქართველოს სახელმით**

№ბს-363(კ-22)

5 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2019 წლის 13 მაისს ი. პ-იმ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: 1. დაევალოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე ი. პ-ის სასარგებლოდ, როგორც რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული მორალური ზიანის – 50 000 ლარის ოდენობით ანაზღაურება; 2. დაევალოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მოსარჩელე ი. პ-ის სასარგებლოდ, როგორც რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება: ა) სიღნაღის რაიონულ სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ადვოკატების მომსახურებაზე ინსტანციურად გაღებული ხარჯის – 17 500 ლარის ოდენობით; ბ) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ი. პ-ის მიერ დაკვეთილ და ჩატარებულ ალტერნატიულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯის – 1500 ლარის ოდენობით; გ) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ი. პ-ის მიერ დაკვეთილ და ჩატარებულ ალტერნატიულ საექსპერტო კვლევებში მონაწილე ექსპერტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი, უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების (მტკიცებულებების) დიპლომირებული თარჯიმნის მეშვეობით

საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნისას გაღებული ხარჯის – 184 ლარის ოდენობით, ხოლო დიპლომირებული თარგმანის თარგმანის სანოტარო წესით დამონმებაზე გაღებული სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაურის ხარჯის – 92 ლარის ოდენობით; დ) ქ. თბილისიდან ქ. სიღნაღში, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ – სიღნაღის რაიონულ სასამართლოში გამართლებულ ი. პ.-ისა და მისი ადვოკატების გამოსაცხადებლად მოსარჩელის მიერ 220 კმ. მანძილზე 64-ჯერ გამოცხადებისას 64-ჯერ სანავის შესაძენად გაღებული ხარჯის – მთლიანობაში 9 400 ლარის ოდენობით; ე) ქ. თბილისიდან ქ. სიღნაღში, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ – სიღნაღის რაიონულ სასამართლოში გამართლებულ ი. პ.-ისა და მისი ადვოკატების გამოსაცხადებლად მოსარჩელის მიერ 220 კმ. მანძილზე 64-ჯერ გამოცხადებისას 64-ჯერ კვებაზე გაღებული ხარჯის – 5 500 ლარის ოდენობით; ვ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას საფოსტო მომსახურებაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯის – 2000 ლარის ოდენობით; ზ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ დახარჯული ცელულოზა ქაღალდის ფურცლის ხარჯის – 800 ლარის ოდენობით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. პ.-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. დაევალა საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ი. პ.-ის სასარგებლოდ, როგორც რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული მორალური ზიანის – 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურება. დაევალა საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ი. პ.-ის სასარგებლოდ, როგორც რეაბილიტირებული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მიყენებული მატერიალური ზიანის 16 036 ლარის ოდენობით ანაზღაურება, კერძოდ: ა) სიღნაღის რაიონულ სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ადვოკატების მომსახურებაზე ინსტანციურად გაღებული ხარჯის – 4500 ლარის ოდენობით; ბ) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ი. პ.-ის მიერ დაკვეთილ და ჩატარებულ ალტერნატიულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯის – 1060 ლარის ოდენობით; გ) სსიპ ლევან სამხარაულის სახე-

ლობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ი. პ-ის მიერ დაკვეთილ და ჩატარებულ ალტერნატიულ საექსპერტო კვლევებში მონაწილე ექსპერტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი, უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების (მტკიცებულებების) დიპლომირებული თარჯიმნის მეშვეობით საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნისას გაღებული ხარჯი – 184 ლარის ოდენობით, ხოლო, დიპლომირებული თარჯიმნის თარგმანის სანოტარო წესით დამოწმებაზე გაღებული სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაურის ხარჯი – 92 ლარის ოდენობით; დ) ქ. თბილისიდან ქ. სიღნაღში, სისხლის სამართლის საქმის განხილველ – სიღნაღის რაიონულ სასამართლოში გამართლებულ ი. პ-ისა და მისი ადვოკატების გამოსაცხადებლად მოსარჩელის მიერ 220 კმ. მანძილზე 64-ჯერ გამოცხადებისას 64-ჯერ სანავის შესაძენად გაღებული ხარჯის – მთლიანობაში 9 400 ლარის ოდენობით; ე) სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ დახარჯული ცელულოზა ქაღალდის ფურცლის ხარჯის – 800 ლარის ოდენობით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ამავე გადაწყვეტილებით, მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურება 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ასევე – სასამართლოსგარეშე ხარჯის, მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯის – 70 ლარის ოდენობით, სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის ოდენობით, მტკიცებულებათა მოძიება მოპოვებაზე გაღებული ხარჯების, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 120 ლარის ოდენობით ანაზღაურება. ასევე დაევალა, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის გაღებული ხარჯის – 90 ლარის ოდენობით, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 200 ლარის, მათ აკინძვაზე გაღებული ხარჯებისათვის – 10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის – 80 ლარის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯის – 20 ლარის, ასევე, სატელევიზიო ვიდეოსიუჟე-

ტების მხარისათვის გადასაცემად „ფულეშ მეხსიერების მონყობილობის“ შესაძენად გაღებული ხარჯის – 39.98 ლარის ოდენობით, შსს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში, სსიპ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში, კერძო სატელევიზიო სამაუწყებლო კომპანიებში ფასიან ანაზღაურებას დაქვემდებარებული მტკიცებულებების მისაღებად გაღებული ხარჯის – 404.04 ლარის ოდენობით და ანაზღაურებას დაქვემდებარებულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის – 200 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

სხვა ნაწილში სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) 2012 წლის 22 ნოემბერს, მოსარჩელე ი. პ.-ის წარდგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 164³ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენისათვის. სიღნაღის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელე ი. პ.-ის შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება – გირაო. გირაოს თანხად განისაზღვრა 5000 ლარი, ხოლო, მისი შეტანის ვადად – 20 დღე; ბ) სიღნაღის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის განაჩენით, მოსარჩელე ი. პ.-ი გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში და ცნობილ იქნა უდანაშაულოდ. ამასთან, აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 02 მარტის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი თბილისის პროკურორის პროკურორ გ. შ.-ის საკასაციო საჩივარი; გ) მოსარჩელე ი. პ.-ის ინტერესებს, სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე, იცავდა ხუთი ადვოკატი – თ. ჯ.-ი, შ. გ.-ი, გ. მ.-ი, ლ. პ.-ი და მ. ჩ.-ი. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი, 2012 წლის 30 ნოემბრის სალაროს შემოსავლის ორდერებით დასტურდება, რომ ი. პ.-იმა მ. ჩ.-ის საადვოკატო მომსახურებისათვის აუნაზღაურა ჯამში 3313 ლარი; დ) მოსარჩელე ი. პ.-ის მიერ მოცემული სისხლის სამართლებრივი საქმისათვის ჩატარებული იქნა არაერთი ალტერნატიული ექსპერტიზა, დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზა. საქმეში წარმოდგენილი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და მოსარჩელის ადვოკატ ლ. პ.-ის შორის დაიდო საექსპერტო ხელშეკრულებები 2012 წლის 3,

4 და 24 დეკემბერს. წარმოდგენილი შემოსავლის ორდერებით დასტურდება, რომ 2012 წლის 5 დეკემბერს ლა. პ-იმა გადაიხადა საექსპერტო მომსახურების საფასური – 55 ლარი, 2012 წლის 10 დეკემბერს – 100 ლარი, 2012 წლის 28 დეკემბერს – 825 ლარი. 2019 წლის 6 ივნისს მოსარჩელესა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის დაიდო საექსპერტო მომსახურების შესახებ კონტრაქტი, რის საფუძველზეც, მოსარჩელემ მომსახურების მისაღებად, 2019 წლის 24 ივლისს გადაიხადა 80 ლარი; ე) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოსარჩელის მიერ დაკვეთილ და ჩატარებულ ალტერნატიულ საექსპერტო კვლევებში მონაწილე ექსპერტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი, უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების (მტკიცებულებების) დიპლომირებული თარჯიმნის მეშვეობით საქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნისას გაღებული ხარჯი შეადგენს 184 ლარს, ხოლო დიპლომირებული თარჯიმნის თარგმანის სანოტარო წესით დამონებზე გაღებული სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაურის ხარჯი – 92 ლარს; ვ) ქ. თბილისიდან ქ. სილნალში, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ – სილნალის რაიონულ სასამართლოში ი. პ-ისა და მისი ადვოკატების გამოსაცხადებლად მოსარჩელის მიერ 220 კმ. მანძილზე 64-ჯერ გამოცხადებისას 64-ჯერ სანავაის შესაძენად გაღებულმა ხარჯმა მთლიანობაში შეადგინა 9 400 ლარი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და 31-ე მუხლებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ შესაბამის თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, უკანონოდ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის, ასევე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების გამო მიყენებული ზიანისათვის, კანონით განსაზღვრულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ასეთი დევნის უკანონობას, მის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს გულისხმობს, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემული პირისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, რადგან პირს, რომელსაც არ დაუდასტურდა ამა თუ იმ ქმედების ჩადენა, სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს ფორმალურად, კანონშესაბამისი ქმედებებით, ობიექტურად უსაფუძვლოდ მიადგა კონკრეტული ზიანი. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის, წარდგენილი ბრალდების დაუდასტურებ-

ლობის გამო სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იმთავითვე გულისხმობს პირის სამართლებრივ რეაბილიტაციას და წარმოშობს მის უფლებას – მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია. მორალური ზიანი არაქონებრივ ზიანს წარმოადგენს და მას ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია, იგი დაკავშირებულია პირის პატივისა და ღირსების შელახვასთან, განცდილ სტრესთან, შიშთან, უარყოფით ემოციებთან და ა.შ. თავისთავად პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ბუნებრივად იწვევს პირის სტრესს, შიშს, უარყოფით ემოციებს, ლახავს მის პირად და საქმიან რეპუტაციას და ა.შ., თუმცა მორალური ზიანის და მისი ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ხარისხის, მასშტაბის განსაზღვრა, ასევე პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში გამოყენებული ღონისძიებების (დაკავება, აღკვეთის ღონისძიებები და ა.შ.) მოცულობის მხედველობაში მიღება. მორალური ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს პირისათვის მიყენებული ფსიქო-ემოციური ზიანის სრულად აღმოფხვრას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ მის მიზანს შესაბამისი პირის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება და განცდილი სტრესით, შიშით, უარყოფითი ემოციებით მიღებული მდგომარეობის შემსუბუქება წარმოადგენს და მის ოდენობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავს სასამართლო. ამასთან, პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ერთ-ერთ სპეციფიკურ ფუნქციას წარმოადგენს და მისი შედეგის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია წინასწარ უცნობ ფაქტორებზე, თუ სამართლებრივ გარემოებებზე. შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველზე წარმოშობილი უარყოფითი ემოციების, განცდების, თუ სხვა სამართლებრივი შედეგების გარკვეულწილად თმენის ვალდებულება აქვს ყველას, რაც არ გამოორიცხავს შემდგომ, უკანონო გამართლებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუმცა გავლენას ახდენს მორალური ზიანის ოდენობაზე.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში, მოსარჩელე ი. პ-ის მიმართ გამოყენებული ღონისძიებებისა და აქედან გამომდინარე, მის მიერ განცდილი სტრესის, შიშის და უარყოფითი ემოციების ხარისხის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის მოთხოვნილი 50 000 ლარი არ წარმოადგენს ადეკვატურ ოდენობას, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაევალოს მო-

რალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-17 მუხლებზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ მხარისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რომლის არსებობა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და ზიანის წარმოქმნას შორის დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით, ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას. განეული ხარჯების ანაზღაურებასთან მიმართებით მოსარჩელემ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ხარჯების განევის ნამდვილობის დადასტურება, ხოლო, მეორე მხრივ, მათი განევის აუცილებლობა. მოსარჩელე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გამო, იძულებული იყო საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატი და ესარგებლა მისი მომსახურებით საგამოძიებო ორგანოებსა თუ სასამართლოში, სრულყოფილად ესარგებლა სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ამრიგად, აღნიშნული ხარჯების განევა ცალსახად გამოწვეულია პირის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. საქმეში წარმოდგენილი, 2012 წლის 30 ნოემბრის, სალაროს შემოსავლის ორდერებით დასტურდება, რომ ი. პ-მა მ. ჩ-ის საადვოკატო მომსახურებისათვის აუნაზღაურა ჯამში 3313 ლარი. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ასევე, დადგენილია, რომ მოსარჩელე ი. პ-ის ინტერესებს სისხლის სამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე იცავდა ხუთი ადვოკატი – თ. ჯ-ი, შ. გ-ი, გ. მ-ი, ლ. პ-ი და მ. ჩ-ი. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ, ზეპირსიტყვიერი შეთახმების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოში საქმეში მონაწილეობისთვის, სამ ადვოკატს გადაუხადა, ჯამში – 6000 ლარი, ხოლო, საკასაციო სასამართლოში – 3000 ლარი. მის მიერ საადვოკატო მომსახურებისთვის განეული ხარჯი მოთხოვნილია 17500 ლარის ოდენობით. დადგენილია, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა მხოლოდ ერთ-ერთ ადვოკატთან გაფორმებული იურიდიული მომსახურების მიღების შესახებ ხელშეკრულება და ასევე, მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან, უდავოა, რომ მას მომსახურებას უწევდნენ სხვა ადვოკატებიც, თუმცა, სხვა ადვოკატებთან მიმართებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ არის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. მომსახურება, როგორც წესი, ანაზღაურებადია და მას იხდის ის პირი, რომელიც იღებს ადვოკატის მომსახურებას, შესაბამისად, კონკრეტული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს ასეთი მომსახურებისათვის განეული ხარჯის

სამართლიან ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. სამართლიანი დაკმაყოფილება მოიცავს მოსარჩელისთვის ადვოკატის მომსახურებისთვის გადახდილი თანხის სწორად განსაზღვრას, მოცემულ შემთხვევაში, კი საქმეში 3313 ლარის გადახდის ქვითრის წარმოდგენისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი სხვა ადვოკატების მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს, მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის ანაზღაურებული თანხიდან, უნდა დაეკისროს ჯამში 4500 ლარი.

სასამართლოს განმარტებით, საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოებისას მის მიერ ჩატარებული ალტერნატიულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯების დასაკმაყოფილებლად მოთხოვნილია 1500 ლარი, ხოლო, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დასტურდება, რომ მოსარჩელემ გადაიხადა 1060 ლარი. საქმეში წარმოდგენილია, ასევე, თარჯიმნის მომსახურებისა და სანოტარო მომსახურების მიღებისთვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, სულ 276 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში გამოცხადებისას მისთვის და დამცველი ადვოკატებისთვის, გაწეული საწვავის შესაძენად გაღებულ ხარჯებს, საქმეში წარმოდგენილია არაერთი ქვითარი, რომლითაც დასტურდება, სისხლის სამართლებრივი საქმის მიმდინარეობის პერიოდში, მოსარჩელის მიერ საწვავის საფასურის გადახდა, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი, სრულად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული – 9400 ლარის ოდენობით. ხოლო, რაც შეეხება, კვების ხარჯებს, მართალია, საქმეში წარმოდგენილია რამდენიმე მტკიცებულება კვების ხარჯების განევასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელემ ხარჯების განევის ნამდვილობის დადასტურებასთან ერთად, უნდა დაადასტუროს მისი განევის აუცილებლობა. კვების ხარჯები არ აკმაყოფილებს მეორე კრიტერიუმს და ვერ ჩაჯდება მიყენებული ზიანის მოთხოვნის ნაწილში, რადგან კვების გადახდა, მხარის მიერ ისეთი სახის გაწეული ხარჯია, რომელიც არ არის კავშირში ბრალდებულის სახით პასუხისგებასთან, რადგან, პირი ბრალდებული იქნებოდა თუ არა, აღნიშნული თანხის განევა ისედაც წარმოადგენს მხარის ყოველდღიურ ხარჯს. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოებისას – 800 ლარის ცელულოზა ქაღალდის ფურცლის ხარჯს, მართალია, აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი საქმეში არ არის წარმოდგენილი, თუმცა, საქმის მიმდინარეობის პერიოდისა და მისი მოცულობითობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა საფუძველიანია და სრულად

უნდა დაკმაყოფილდეს. ხოლო საქმის წარმოებისას საფოსტო მომსახურებაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯის - 2000 ლარის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა, არ არის დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით და შესაბამისად, მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი დაუსაბუთებელია.

საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისთვის მის სასარგებლოდ სასამართლოს გარეშე ხარჯის – ადვოკატის მომსახურებისთვის გადასახდელი ჰონორარის თანხის ანაზღაურება 7 000 ლარის ოდენობით. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, გონივრული ოდენობის სახით საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს: სასამართლოს გარეშე ხარჯის, მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯი – 70 ლარის ოდენობით, სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯი 100 ლარის ოდენობით, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 120 ლარის ოდენობით, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის დახარჯული თანხა 90 ლარის ოდენობით, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯები 200 ლარის ოდენობით, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის აკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯი 10 ლარის ოდენობით, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯი – 80 ლარის ოდენობით, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯი – 20 ლარის ოდენობით, ასევე, სატელევიზიო ვიდეოსიუჟეტების მხარისათვის გადასაცემად „ფლემ მეხსიერების მოწყობილობის“ შესაძენად გაღებული ხარჯის ანაზღაურება 39.98 ლარის ოდენობით (საგარანტიო ტალონი და

საფასურის გადახდის ქვითარი), შსს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში, სსიპ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში, კერძო სატელევიზიო სამაუწყებლო კომპანიებში ფასიან ანაზღაურებას დაქვემდებარებული მტკიცებულებების მისაღებად გაღებული ხარჯი 404.04 ლარის ოდენობით (გადახდის ქვითრები) და ანაზღაურებას დაქვემდებარებულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით. სხვა ნაწილში სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 თებერვლის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე მითითებით პალატამ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებების დარღვევასთან, ხოლო ქონებრივი უფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. შესაბამისად, არსებობს გამართლებული პირის უფლების დაცვის მექანიზმი და გამართლებულ პირს შეუძლია, აღიდგინოს დარღვეული უფლებები, კერძოდ, გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით.

მიყენებული მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, უკანონო ბრალდების/პატიმრობის ან მსჯავრდების საქმეებთან მიმართებით სასამართლოს მიერ არამატერიალური ზიანის თანხის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება თითოეულ საქმეში

ინდივიდუალურად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია: დამდგარი ზიანის სიმძიმე, შელახული უფლების მნიშვნელობა, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, საპატიმრო დაწესებულებაში პირის ყოფნის დრო და სხვა. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ი. პ.-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობდა 2012 წლიდან, ხოლო განაჩენი დადგა 2016 წლის 18 მაისს და ამასთან, სასამართლო საქმის წარმოება 2016 წელს არ დამთავრებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურა არ დაეთანხმა გამამართლებელ განაჩენს, გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციებში, რის გამოც, საბოლოოდ, 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით დასრულდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. აღნიშნული დროის ხანგრძლივობით მიმდინარე სისხლის სამართლის წარმოება ადასტურებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური ზიანის ანაზღაურების თანხა არ არის შეუსაბამოდ მაღალი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის 5 000 ლარის დაკისრება მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია და ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 412-ე მუხლებზე მითითებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელე, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების გამო, იძულებული იყო საკუთარი უფლებებისა და ინტერესების ეფექტურად დაცვისა და რეალიზებისათვის აეყვანა ადვოკატი, ესარგებლა მისი მომსახურებით სასამართლოში, ჩაეტარებინა ექსპერტიზა, სილნალის რაიონულ სასამართლოში გამოსაცხადებლად გაეღო საწვავის ხარჯები და სხვა ხარჯი, რომელიც აუცილებელი იყო საქმის წარმოებისთვის, რათა სრულყოფილად ესარგებლა სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ამრიგად, ი. პ.-ის მხრიდან აღნიშნული ხარჯების განევა ცალსახად განპირობებულ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მის მიმართ გატარებული ღონისძიებებით, რის გამოც არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო განცხადება შეიცავდა შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებს შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით. აპელანტს მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საკმარისი მტკიცებულებების გარეშე დააკმაყოფილა სარჩელის მოთხოვნა მატერიალური

ზიანის ანაზღაურების ნაწილში, თუმცა ამავე დროს აპელანტი ვერ უთითებს იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზეც გაქარწყლებოდა სარჩელში მითითებული მტკიცებულებებისა და გარემოებების არსებობა.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია მასზედ, რომ ხარჯის განევის დადასტურების გარეშე დაეკისრა მოპასუხე მხარეს ჯამში 4500 ლარის ანაზღაურება და განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი ქვითრები ჯამში 3312.70 ლარის ოდენობისაა. ამასთან, საქმეში საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების არარსებობის პირობებშიც კი, არ წარმოიშობოდა მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან კანონმდებლობა არ უზღუდავს მხარეებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გააფორმონ როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით, ხოლო ის ფაქტი, რომ ი. პ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმის წარმოების სხვადასხვა სტადიებზე იცავდა რამდენიმე ადვოკატი, რომელთა მომსახურებაც, თავის მხრივ, სასყიდლიანია, უდავოდ მართებულს ხდის მოპასუხისთვის ადვოკატის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების დაკისრებას 4500 ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოებისას მის მიერ ჩატარებული ალტერნატიულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯების დასაკმაყოფილებლად მოთხოვნილი იყო 1500 ლარი, ხოლო, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელემ გადაიხადა 1060 ლარი. გასაჩივრებული გადანყევტილებით ასევე სწორი შეფასება მიეცა საქმეში წარმოდგენილ თარჯიმნის მომსახურებისა და სანოტარო მომსახურების მიღებისთვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომელთა მიხედვითაც გაღებულმა ხარჯმა სულ 276 ლარი შეადგინა. ხსენებული ხარჯები უდავოდ დაკავშირებულია სისხლის სამართლის წარმოებასთან და ექვემდებარება ანაზღაურებას.

სილნალის რაიონულ სასამართლოში ი. პ.-ისა და მისი დამცველი ადვოკატების გამოცხადებისათვის საწვავის შესაძენად გაღებული ხარჯების ანაზღაურებასთან მიმართებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილია არაერთი ქვითარი, რომლითაც დასტურდება სისხლის სამართლებრივი საქმის მიმდინარეობის პერიოდში, მოსარჩელის მიერ საწვავის საფასურის გადახდა, შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი გაწეულია სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით და ექვემდებარება ანაზღაურებას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, რაც შეეხება მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოებისას 800 ლარის ცელუ-

ლოზა ქალაღდის ფურცლის ხარჯს, მართალია, აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი საქმეში არ არის წარმოდგენილი, თუმცა, საქმის მიმდინარეობის პერიოდისა და მისი მოცულობითობის, სარჩელისა და თანდართული მტკიცებულებების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილშიც დასაბუთებულია.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 207-ე მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე, 33-ე, მე-3, მე-19, 37-ე, 166-ე, 167-ე მუხლებზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ერთ-ერთ სპეციფიკურ ფუნქციას წარმოადგენს და მისი შედეგის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია წინასწარ უცნობ ფაქტობრივ, თუ სამართლებრივ გარემოებებზე. სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს საზოგადოების, მისი წევრების უსაფრთხოების დაცვას, მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი/გამამართლებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველზე წარმოშობილი უარყოფითი ემოციების, განცდებისა თუ სხვა სამართლებრივი შედეგების გარკვეულწილად თმენის ვალდებულება აქვს ყველას.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა. მოცემულ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობისას მოსარჩელის მიმართ საპროცესო ღონისძიებების გამოყენება მოხდა კანონით დადგენილი წესის დაცვით, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ეფუძნებოდა კანონს და კანონის საფუძველზე მიღებულ საპროცესო დოკუმენტს – სასამართლო განჩინებას. ამდენად, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ვინმეს მხრიდან განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ქმედებით ზიანის მიყენებად.

კასატორის განმარტებით, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია. დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა მთლიანად სასამართლოს გონივრული განსჯისათვის არის მინდობილი. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ კომპენსაციის ოდენობა ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად, ოდენობა უნდა გამომდინარეობდეს გონივრული და სამართლიანი განსჯის შედეგად. აუცილებელია შეფასდეს, როგორც კონკრეტული პიროვნება და მისი სუბიექტური დამოკიდებულება ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე ობიექტური გარემოებები. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში არსებული ჩანაწერით – „მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა მიანდოს სასამართლოს.

კონკრეტულ შემთხვევაში ი. პ-ის სასამართლო განჩინების საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ მიმდინარეობდა დაახლოებით 3 წლისა და 6 თვის განმავლობაში. შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სამართლებრივი ნორმების, ასევე, მსგავს საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მორალური ზიანის სახით – 5 000 ლარის დაკისრება უსაფუძვლოა, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების არაპროპორციულია, არ ექცევა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

კასატორი არ ეთანხმება მატერიალური ზიანის სახით 16 036 ლარისა და საპროცესო ხარჯის სახით 1 634.02 ლარის მასზე დაკისრებას და განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უპირობოდ სრულად ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ ადვოკატის მონაწილეობის ფაქტი არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას ამგვარი მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის დასადასტურებლად და შემდგომ ასანაზღაურებლად. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ ხსენებული ხარჯები დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმესთან და ექვემდებარება ანაზღაურებას მაშინ, როდესაც 4500 ლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება წარ-

მოდგენილი არ ყოფილა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის 1060 ლარის, როგორც საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯის, დაკისრებას და აღნიშნავს, რომ ი. პ-ის მიერ გაღებული ხარჯების არსებობა და მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი საქმის მასალებით არ დასტურდება. ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორს, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის 276 ლარის, როგორც ექსპერტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების, თარგმნისა და დამოწმებისათვის გაღებული ხარჯის დაკისრება და განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ პირადი სურვილით დამატებით გაღებული ხარჯი არანაირ კავშირში არ არის მოსარჩელის მიმართ წარმოებულ სისხლისსამართლებრივ დევნასთან, რასაც არანაირი გავლენა არ მოუხდენია სისხლის სამართლის საქმის შედეგზე. რაც შეეხება ქალაქის ფურცლის ხარჯს (800 ლარი), გაუგებარია, რა მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინა სასამართლომ, რომ მოსარჩელის მიერ გახარჯულ იქნა 800 ლარის ქალაქი. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, სასამართლომ გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულების გარეშე დააკისრა მოპასუხე მხარეს აღნიშნული თანხა.

სანგავის ხარჯის – 9400 ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მსჯელობა და მხოლოდ იმ ფაქტზე მითითება, რომ ი. პ-ი 64-ჯერ გამოცხადდა სასამართლოში და ესწრებოდა სხდომებს, არ არის დასტური იმისა, რომ მან ნამდვილად გასწავა ხარჯი 9400 ლარის ოდენობით. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ქვითრები (დუბლირებული) არ არის დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნული ხარჯი უშუალოდ ი. პ-ის მიერ იქნა გაწეული და, საერთოდ, იქნა თუ არა გაწეული ამ ოდენობის ხარჯი, შესაბამისად, მიადგა თუ არა მას ამ ოდენობის მატერიალური ზიანი. პირისთვის ზიანის ანაზღაურების დავალების სამართლებრივ საფუძველს კუმულატიურად რამდენიმე სამართლებრივი პირობის ობიექტურად არსებობა წარმოადგენს, კერძოდ, პირის მოქმედება, რამაც ზიანი გამოიწვია, უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო (კანონშეუსაბამო), პირს უნდა ჰქონდეს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა და ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი, მამასადამე, სისხლის სამართლის დევნის ორგანოსა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი და უტყუარი მიზეზშედეგობრივი კავშირი. მატერიალური ზიანის ანაზღაურებისას უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ზიანის გამომწვევ გაჩემოებებსა და განსაზღვრავდნენ მიყენებული ზიანის ოდენობას. მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე მი-

თითება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, რათა დადგინდეს ბრალდების გამო კონკრეტული ოდენობით მატერიალური ზიანის დადგომის ფაქტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის და ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მოსარჩელის მიერ შუამდგომლობის სახით მოთხოვნილ და ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით დაკისრებულ თანხებს, ჯამში 1634,02 ლარს, სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორი და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მიმდინარე დავაზე მოსარჩელე ადვოკატით წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, გაუგებარია ადვოკატის მომსახურებასა და მით უმეტეს, გადახდილ თანხაზე – 300 ლარზე მითითება. რაც შეეხება სასამართლოს მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის ხარჯების სახით სხვა თანხების დაკისრებას, ასევე მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს. განუხილავს ხარჯები უნდა იყოს აუცილებელი, ანუ, მისი განევა, დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან მის გამოსასწორებლად აუცილებელი უნდა იყოს. თანხა უნდა იყოს გონივრული ოდენობის. სასამართლო საჭიროებს მტკიცებულებას ქვითრებისა და ზედნადების სახით. ეს უკანასკნელი უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რათა სასამართლომ შეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის დასაკმაყოფილებელი მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია არაერთი დოკუმენტი, რომელსაც არანაირი შემხებლობა და კავშირი არ აქვს არც მიმდინარე ადმინისტრაციულ დავასთან და არც მოსარჩელის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან. აღნიშნული ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს – სარჩელის გადატვირთვას. მეტიც, საქმეში წარმოდგენილია არაერთი დუბლირებული დოკუმენტი, ასევე, ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ინფორმაცია დისკის, ფლეშ მეხსიერების, წერილის, ლინკის თუ სხვა ფორმით. ყველა აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენისა და მათზე ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა და არც ასეთი ხარჯის განევის აუცილებლობა დასტურდება. მათი უმრავლესობა არარელევანტური და საქმესთან კავშირში არმყოფი დოკუმენტებია, რომლებსაც არც საქმის შედეგზე ჰქონია გავლენა.

კასატორი მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-13 პუნქტზე და უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააღსრულებო ხარჯის სახით საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის თანხის დაკისრებას.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის განჩინებით, საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შე-
საბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებუ-
ლი საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2022 წლის 22 დეკემბრის განჩინებით (ა) საქართველოს
გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი სისხლის სამართლის
საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ ქალაქის გაღებული ხარჯის
– 800 ლარის ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, სსიპ
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ
ბიუროში მოსარჩელის დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო კვლევებ-
ზე გაღებული ხარჯის – 1060 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნა-
წილში, ასევე, წინამდებარე საქმეზე პროცესის ხარჯების მოპასუხი-
სათვის დაკისრების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო (ბ) და-
ნარჩენ ნაწილში (იმ ნაწილში, რომლითაც გასაჩივრებულია: ა) დაევა-
ლოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ი. პ-ის
სასარგებლოდ მორალური ზიანის – 5000 ლარის ოდენობით ანაზღაუ-
რება; ბ) დაევალოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარ-
ჩელე ი. პ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, კერ-
ძოდ: 1. სიღნაღის რაიონულ სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატასა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ად-
ვოკატების მომსახურებაზე გაღებული ხარჯის – 4500 ლარის ოდენო-
ბით; 2. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-
ზის ეროვნულ ბიუროში ი. პ-ის დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო
კვლევებში მონაწილე ექსპერტების კვალიფიკაციის დამადასტურებე-
ლი, უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების (მტკიცებულებების) სა-
ქართველოს სახელმწიფო ენაზე თარგმნისას გაღებული ხარჯის – 184
ლარის ოდენობით, ხოლო თარგმანის სანოტარო წესით დამოწმებაზე
გაღებული სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაურის ხარჯის –
92 ლარის ოდენობით; 3. ქ. თბილისიდან ქ. სიღნაღში, სისხლის სამარ-
თლის საქმის განმხილველ – სიღნაღის რაიონულ სასამართლოში ი. პ-
ისა და მისი ადვოკატების გამოსაცხადებლად მოსარჩელის მიერ სანვა-
ვის შესაძენად გაღებული ხარჯის – 9 400 ლარის ოდენობით) საქარ-
თველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ
იქნა დაუშვებლად და მოცემულ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის
სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022
წლის 22 თებერვლის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების და საკასაციო საჩივ-

რის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი (სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ დახარჯული ქალაქის ხარჯის – 800 ლარის ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ი. პ.-ის დაკვეთით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯის – 1060 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, წინამდებარე საქმეზე პროცესის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი

თვითმმართველობის სახსრებიდან. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 ნაწილი ხაზს უსვამს ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ნორმა კონკრეტულად შეეხება უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდული პირის უფლებას, მოითხოვოს სახელმწიფო ორგანოებისა და მოსამსახურეთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კონსტიტუციის მე-13 მუხლთან კავშირშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი, რომლითაც აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება.

ამდენად, სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. ამასთან, კოდექსის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი („ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული..“ (სუს 10.04.2014წ. №ბს-

648-623(2კ-13) გადანყვეტილება).

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე, კერძოდ, 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურორატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. მნიშვნელოვანია, რომ 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე უნდა იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებიდან გამომდინარე, „...პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს..“ (სუს 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429 (2კ-17) გადანყვეტილება და სხვ.).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ გარემოე-

ბეზე: ა) 2012 წლის 22 ნოემბერს მოსარჩელე ი. პ-ის წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 164³ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენისათვის; ბ) სიღნაღის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 ნოემბრის განჩინებით ბრალდებულ ი. პ-ის მიმართ გამოყენებულ იქნა გირაო 5000 ლარის ოდენობით, რომლის შეტანის ვადად 20 დღე განისაზღვრა; გ) სიღნაღის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის განაჩენით ი. პ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში; დ) აღნიშნული განაჩენი უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 2 მარტის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით თბილისის პროკურორის პროკურორ გ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ გამოტანილი სიღნაღის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც ი. პ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, წარმოადგენს მისი რეაბილიტაციის საფუძველს. განაჩენით უტყუარად დასტურდება დანაშაულის ჩადენის ფაქტის არარსებობა, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიმართ ფორმალურად კანონიერად გამოყენებული ზემოქმედების ღონისძიებები, მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისთვის, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ზიანი ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმეების მწარმოებელ ცალკეულ თანამდებობის პირთა ბრალეულობის დადგენის გარეშე. „...ამ მუხლის მიზნებისათვის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისია პირის მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა და შესაბამისი ქმედების უკანონობის დადგენა. ამ შემთხვევაში, რელევანტურია, დადგინდეს პირობა, ურომლისოდანაც ზიანის გამომწვევი შედეგი არ დადგებოდა. შეფასების საგანს სცილდება ბრალეული მიზეზობრიობის (კონკრეტული პირის ბრალეული ქმედების არსებობის) დადგენა, რამაც გამოიწვია ზიანი. ბრალი არ წარმოადგენს უკანონო ბრალდების/მსჯავრდების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობას..“ (სუს 2021 წლის 27 მაისის

№ბს-222(კ-კს-20) გადაწყვეტილება). „...დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში..“ (სუს 07.02.2019წ. №ბს-432-429(2კ-17) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

წინამდებარე საკასაციო საჩივრის ფარგლებში დავის საგანია მოპასუხეს დაეკისროს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ დახარჯული ქალაქის ხარჯის – 800 ლარის და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ი. პ-ის დაკვეთით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯის – 1060 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოებისას – 800 ლარის ცელულოზა ქაღალდის ფურცლის ხარჯის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი საქმეში არ არის წარმოდგენილი, თუმცა, საქმის მიმდინარეობის პერიოდისა და მისი მოცულობითობის გათვალისწინებით, აღნიშნული მოთხოვნა საფუძვლიანია და სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ განმარტებას და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერია-

ლურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (ასკ-ის მუხლი 17.1). მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოთა მითითებას სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პერიოდისა და მისი მოცულობითობის გათვალისწინებით მოსარჩელის მიერ გაწეული ქალაქის ხარჯის გონიერულობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, გათვალისწინებით იმისა, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას 800 ლარის ღირებულების ცელულოზა ქალაქისათვის გაღებული ხარჯის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაუსაბუთებელია მოთხოვნა აღნიშნული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე და სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოსარჩელის დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯის – 1060 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა განმარტებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და მოსარჩელის ადვოკატ ლ. პ-ის შორის დაიდო საექსპერტო ხელშეკრულებები 2012 წლის 03, 04 და 24 დეკემბერს. წარმოდგენილი, შემოსავლის ორდერებით, დასტურდება, რომ 2012 წლის 05 დეკემბერს, ლა. პ-იმა გადაიხადა საექსპერტო მომსახურების საფასური – 55 ლარი, 2012 წლის 10 დეკემბერს – 100 ლარი, 2012 წლის 28 დეკემბერს – 825 ლარი. ხოლო, 2019 წლის 6 ივნისს, მოსარჩელესა და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის დაიდო საექსპერტო მომსახურების შესახებ კონტრაქტი, რის საფუძველზეც, მოსარჩელემ მომსახურების მისაღებად 2019 წლის 24 ივლისს გადაიხადა – 80 ლარი.

საკასაციო პალატა პირველ რიგში მიუთითებს, რომ 2019 წლის 6 ივნისს, მოსარჩელესა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის დადებული საექსპერტო მომსახურების შესახებ კონტრაქტი, რის საფუძველზეც, მოსარჩელემ მომსახურების მისაღებად 2019 წლის 24 ივლისს გადაიხადა – 80 ლარი, შეეხებოდა წინამდებარე დავაზე მტკიცებულების მოპოვებას სანვა-

ვის ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებით და ექსპერტიზა ჩატარებულია სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ შემდეგ მასალებზე: ა) 2012 წლის 3 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმა №1010194212 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა. 2012 წლის 3 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010091712. ამასთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 19 დეკემბრის №5010110612 მიმართვის თანახმად, განცხადება დატოვებული იქნა შეუსრულებლად გამოსაკვლევი დოკუმენტის (დედანი) და ნიმუშების წარუდგენლობის შეუძლებლობის გამო. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ არის; ბ) 2012 წლის 3 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმა №1010193912 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 3 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010091512. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 5 დეკემბრის №5010118812 აქტის თანახმად, ექსპერტიზა ვერ ჩატარდა ჩანაწერის უხარისხობის გამო. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დასადასტურებლად წარმოდგენილია 55 ლარის გადახდის დამადასტურებელი შემოსავლის ორდერი, თუმცა მასში მითითებულია, რომ თანხა გადახდილია №3010084312 ექსპერტიზის ჩატარების მიზნით; გ) 2012 წლის 4 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმა №1010211412 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 4 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010097412. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 7 დეკემბრის №010099012 დასკვნის თანახმად, ხელწერის ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დასადასტურებლად წარმოდგენილია 100 ლარის გადახდის დამადასტურე-

ბელი შემოსავლის ორდერი, თუმცა მასში მითითებულია, რომ თანხა გადახდილია №3010097012 ექსპერტიზის ჩატარების მიზნით; დ) 2012 წლის 20 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმა №1010395912 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 20 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010146612. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 28 დეკემბრის №5010307212 მიმართვის თანახმად, განცხადება დატოვებულ იქნა შეუსრულებლად გამოსაკვლევი დოკუმენტის (დედანი) და ნიმუშების წარუდგენლობის შეუძლებლობის გამო. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ არის; ე) 2012 წლის 24 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმა №1010436612 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010157212. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დასადასტურებლად წარმოდგენილია 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი შემოსავლის ორდერი; ვ) 2012 წლის 24 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმა №1010437312 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010157612. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დასადასტურებლად წარმოდგენილია 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი შემოსავლის ორდერი; ზ) 2012 წლის 24 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმა №1010437512 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010157712. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დასადასტურებლად წარმოდ-

გენილია 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი შემოსავლის ორდერი; თ) 2012 წლის 24 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმ №1010436912 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010157412. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დასადასტურებლად წარმოდგენილია 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი შემოსავლის ორდერი; ი) 2012 წლის 24 დეკემბერს ი. პ-ის ადვოკატმა ლ. პ-იმ №1010437212 განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა (დაჩქარებული წესით). 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ი. პ-ის ადვოკატ ლ. პ-ის შორის გაფორმებულია ხელშეკრულება №2010157512. აღნიშნული ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების დასადასტურებლად წარმოდგენილია 25 ლარის გადახდის დამადასტურებელი შემოსავლის ორდერი;

ამდენად საქმის მასალების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოსარჩელის დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯი დასტურდება 825 ლარის ოდენობით, რომლის ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37.1 მუხლის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. ამავე კოდექსის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გაწეული საწვავის ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებით წინამდებარე დავაზე მტკიცებულების მოპოვების მიზნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-

ზის ეროვნულ ბიუროში ჩატარებული ექსპერტიზისათვის მოსარჩელის მიერ გადახდილი იქნა 80 ლარი. ამდენად, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ დასახელებული თანხა გაღებულია წინამდებარე დავაზე მტკიცებულების მოპოვების მიზნით, შესაბამისად, მოპასუხეს აღნიშნული თანხის ანაზღაურება უნდა დაეკისროს, როგორც განსახილველ საქმეზე სასამართლოს გარეშე საპროცესო ხარჯი.

რაც შეეხება წინამდებარე დავის ფარგლებში მოსარჩელე ი. პ-ის სასარგებლოდ საქართველოს გენერალურ პროკურატურისათვის გაწეული სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურებას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა სასამართლოს გარეშე შემდეგი ხარჯების ანაზღაურება: მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამონმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯი – 70 ლარის ოდენობით, სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩეელებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯი – 100 ლარის ოდენობით, მტკიცებულებათა მოძიება მოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 120 ლარის ოდენობით, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 90 ლარის ოდენობით, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 200 ლარი, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისათვის – 10 ლარი, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კაეშირისათვის გაღებული დანახარჯის – 80 ლარი, საფოსტო კაეშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯი – 20 ლარი, ასევე, სატელევიზიო ვიდეო სიუჟეტების მხარისათვის გადასაცემად „ფლემ მეხსიერების მონყობილობის“ შესაძენად გაღებული ხარჯის ანაზღაურება – 39.98 ლარის ოდენობით, მსს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში, სსიპ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში, კერძო სატელევიზიო სამაუწყებლო კომპანიებში ფასიან ანაზღაურებას დაქვემდებარებული მტკიცებულებების მისაღებად გაღებული ხარჯი

404.04 ლარის ოდენობით და ანაზღაურებას დაქვემდებარებულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 200 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, კერძოდ, მოცემულ საქმეზე მინდობილობის სანოტარო წესით დამონმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯი – 13,8 ლარის ოდენობით, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯი – 73,9 ლარის ოდენობით, სატელევიზიო ვიდეოსიუჟეტების მხარისათვის გადასაცემად „ფლემ მესხიერების მოწყობილობის“ შესაძენად გაღებული ხარჯი – 39.98 ლარის ოდენობით, შსს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში, სსიპ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში, კერძო სატელევიზიო სამაუწყებლო კომპანიებში ფასიან ანაზღაურებას დაქვემდებარებული მტკიცებულებების მისაღებად გაღებული ხარჯი 404.04 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ამ ნაწილში მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა დაეკისროს მოპასუხეს მოცემულ საქმეზე დავალების ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამონმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯის, მტკიცებულებათა მოძიება მოპოვებაზე გაღებული ხარჯების, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის ხარჯების, მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯების, მათ აკინძვაზე დახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯების, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯის ანაზღაურება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასევე უსაფუძვლოა მოთხოვნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯის მოპასუხე მხარისათვის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობაზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება სასამართლოში საქმის წარმოების პერიოდში მარნმუხნების სახელით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობას.

რაც შეეხება, გადაადგილების გამო ტრანსპორტირებისათვის გაწეული ხარჯების 100 (ასი) ლარის ანაზღაურებას – საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების ყველა ეტაპზე მოსარჩელის მონა-

გებლოდ ამ უკანასკნელის მიერ 300 (სამასი) ლარის ოდენობით ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურების დაკისრება, რაც უკვე დაკმაყოფილებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოწინააღმდეგ მხარის მიერ საკასაციო შესაგებლით მოთხოვნილი 7000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ ქალაქის გაღებული ხარჯის – 800 ლარის ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოსარჩელის დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯის – 1060 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მოსარჩელე ი. პ-ის სასარგებლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ ქალაქის გაღებული ხარჯის – 800 ლარის ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრების, ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოსარჩელის დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯის – 1060 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. ი. პ-ის სარჩელი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელის მიერ ქალაქის გაღებული ხარჯის – 800 (რვაასი) ლარის ოდენობით მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. ი. პ-ის სასარჩელო მოთხოვნა – საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს ი. პ-ის სასარგებლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საექსპერტო კვლევებზე გაღებული ხარჯის ანაზღაურება, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ – დაეკისროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას ი. პ-ის სასარგებლოდ 825 (რვაას ოცდახუთი) ლარის ანაზღაურება.

5. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი წინამდებარე საქმეზე პროცესის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

6. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მოსარჩელე ი. პ-ის სასარგებლოდ სასამართლოს გარეშე ხარჯის დაკისრების თაობაზე, კერძოდ, მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულებისა და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამონმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯი – 70 ლარის ოდენობით, მტკიცებულებათა მოძიება მოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 120 ლარის ოდენობით, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 90 ლარის ოდენობით, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 200 ლარის, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისათვის – 10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის – 80 ლარის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯის – 20 ლარის, ანაზღაურებას დაქვემდებარებულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 200 ლარის ოდენობით და ამ ნაწილში მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.

7. საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისროს ი. პ-ის სასარგებლოდ მოცემულ საქმეზე მინდობილობის სანოტარო წესით დამონმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯი 13,8 ლარის ოდენობით, ასევე, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯები 73,9 ლარის ოდენობით.

8. დაეკისროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას ი. პ-ის სასარგებლოდ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-

სპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოსარჩელის დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო კვლევაზე გაღებული ხარჯის 80 (ოთხმოცი) ლარის ანაზღაურება.

9. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 თებერვლის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მოსარჩელე ი. პ-ის სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის 300 (სამასი) ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ, სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას მოსარჩელებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის ანაზღაურების შესახებ, სატელევიზიო ვიდეო სიუჟეტების მხარისათვის გადასაცემად „ფლეშ მეხსიერების მოწყობილობის“ შესაძენად გაღებული ხარჯის – 39.98 ლარის ანაზღაურების შესახებ და შსს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში, სსიპ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში, კერძო სატელევიზიო სა-მაუწყებლო კომპანიებში ფასიან ანაზღაურებას დაქვემდებარებული მტკიცებულებების მისაღებად გაღებული ხარჯის 404.04 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

10. სხვა ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge